# ლიტერატურული საქართველო

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე — მთელი ქვეყანა

საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველკვირეული გაზეთი

პარასკევი, 25 მაისი | № 21 (2749), გამოცემის 58-ე წელი, 1990 | ფასი 20 კაპ.


ეროვნული ბიბლიოთეკა



## მურმან ლებანიძე

### „ადამონ ნიხასს“, ყრილობას ლიხნის!

მე მინდა ვუთხრა „ადამონ ნიხასს“,
რომ თვისი ხალხი მცდარი გზით მიჰყავს,
და შევახსენო ყრილობას ლიხნის
კანონი ბრძნული —
სისხლის წილ სისხლის!

ოსო, შენ ვოლგის ზვირთი დაგიყეფს,
აფხაზთან ერთად ანდერძს აგიგებს...
ჩემი ლიახვი შენ არას გერჩის, —
დიდი მდინარე,
ოსო, წაგიღებს!..

ერთხელაც ვეტყვი „ადამონ ნიხასს“,
რომ დალუპვისკენ თვისტომი მიჰყავს,
და შევახსენებ ყრილობას ლიხნის —
ჩვენს კანონს ურყევს,
სისხლის წილ სისხლის!

●

«Кому на Руси жить хорошо?!».
ნეკრასოვი

ნაზად გავკიკნე მტევანი ყურძნის
(რუსები მისხდნენ სალონში ალყად!)
ყურში ჩამესმა შენიშვნა რუსის:
„აი, ვინ ცხოვრობს
რუსეთში კარგად!“

სტიუარდესას, კეკლუცს, ვუჭვრეტდი.
მე შევბრუნდი და რუსს ვკითხე უცბად:
„მერედა, განა საქართველო არის რუსეთი?!“
„აპა, რა ჩემი ფეხებია!“ —
მოჰიგო რუსმა.

### გვიან გავიღვიძეთ!

გვიან გავიღვიძეთ — ბორბლებაშვერილი,
გადაბრუნებული ლაფში წევს ურემი...
საკუთარ სამშობლოში ობოლი ბავშვები ვართ.
სახლის პატრონობას ჩემობენ მდგმურები.

დროდადრო ლამის ტვინი ავასხა ცამდე, —
ეს ჩემი წყალ-ჭალა რომ მიაქვს, ვისთან მიაქვს!
მწადს თავი გავუპო პრიმიტივს ამდენს,
ზედ გადავუარო ამდენ ხისთავიანს!

გვიან გავიღვიძეთ — ჭიშკრები დალეწული!
(ტყემალზე თუ არა, ხომ ვსხედით ჭადარზე?!),
რის თავისუფლება — სამშობლო წაგებული,
მიწები დაყიდული ლეკზე და თათარზე!

ანაზდად სულს შესძრავს ყმუილი სისხლის,
სისხლი საკუთარი ანაზდად აყვირდება, —
საკუთარ სიგლახის მხილება გვიხსნის,
საკუთარ თვისტომის თავდალმა დაქცევა!

გვიან გავიღვიძეთ — ბორბლებაშვერილი.
გადაბრუნებული ლაფში წევს ურემი...
საკუთარ სამშობლოში ობოლი ბავშვები ვართ, —
სახლის პატრონობას ჩემობენ მდგმურები!

●

დაბნელებულა — მეზობლის ტვინი,
დაბნელებულა — მეზობლის გონი...
სისხლს ბიჭბუჭისგან დანთხეულს ვტირი,
შეურაცხყოფის სიმძიმეს ვწონი...
ამას როგორმე მოუვლის კაცი
(მოგვეცემიან უთუოდ დრონი!),
საანგარიშო ეს არის აწი —
ვისი იმედის ვინ იყო მქონი...
ვეჰვ, სამტრო გზაზე დამყენებელი,
მეზობლის ტვინის დამბნელებელი
მეზობელია
აგრეთვე, მგონი!

1990



ნოე ჟორდანია



კარლო ჩხეიძე

# კაცი ბჭობდა — ღმერთი იცინოდაო

## ჭაბუა ამირეჯიბი

დღეს ყველაზე გულგრილი ადამიანებიც კი საქართველოს მომავალზე ფიქრობენ. ფიქრობენ და გაჩუმებულან, რადგან ალუსრულებელი წინასწარმეტყველება შეუსრულებელ სიტყვაზე უარესია. მკვიდრ დაპირებებს ვერც ისინი იძლევიან, ვინც აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობა იტვირთა — გონიერთ ვგულისხმობ. კაცი ბჭობდა — ღმერთი იცინოდაო, ნათქვამია. ეგ არის, როცა კაცს თავისი ერის მომავალი აწუხებს, ანდაზებსა და გამოცდილებას ანგარიშს აღარ უწევს, ბჭობს.

მეც სხვებივით ვისმენ, ვფიქრობ და ვბჭობ. ქვემომოყვანილი ნაფიქრალი სხვებთან საუბრების შედეგია, პროგნოზის პრეტენზია არა აქვს, ვარაუდია.

მკითხველს ვთხოვ, გაითვალისწინოს, ათასცხრაას ოთხმოცდაათი წლის მაისია! მოვლენებმა, შესაძლოა, ისეთი განვითარება მიიღონ, რომ ითქვას „ამაოდ დაშვრა“ ჭაბუაო. დღეის გადასახედიდან ვწერ.

ზოგი რამ გავიხსენოთ.

ჩვენ მრავალეროვანი იმპერიების ნგრევის ეპოქაში ვცხოვრობთ. ეს მსოფლიო-ისტორიული პროცესი ცივილიზაციის განვითარების მორიგი საფეხურია. ამ მოვლენის შესწავლასა და დასკვნების გამოტანას არაერთი ფუნდამენტური ნაშრომი სჭირდება. ჩვენ მხოლოდ ის აღვნიშნოთ, რომ მეოცე საუკუნეში, სულ რაღაც ორმოციოდე წლის მანძილზე, დაიშალა: გერმანიის, ოთომანის, ავსტრო-უნგრეთის, რუსეთის, იტალიის, იაპონიის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, ნიდერლანდების, ესპანეთის, ბელგიის, პორტუგალიის და სხვა მრავალეროვანი სახელმწიფო — იმპერია. ასე მოკლე ხანში ამდენი ერთგვაროვანი მოვლენა მხოლოდ კანონზომიერებით შეიძლება აიხსნას.

შევთანხმდეთ, რომ სიტყვა „იმპერია“ ამ სტატიაში გამოიყენება სინონიმად მრავალეროვანი სახელმწიფოსი, რომელსაც მპყრობელი ერი **(Державный народ)** ჰქმნის, და ჯერ შევეცადოთ, გავცეთ პასუხი კითხვას: წარსულში ვინ როგორ გამოიყენა ისინი.

რუსული **„Держава“** მოდის სიტყვიდან **„Держать“**, რაც ქართულად პყრობად ითარგმნება. ცნობილია, ცხრა ზღვას იქითა თუ მეზობელი დაპყრობილი ხალხი იხდიდა ხარკს. მასვე ევალებოდა როგორც მტრის პირველი დარტყმების მოგერიება, ისე ახალ დაპყრობებში მონაწილეობა. უნდა აღინიშნოს პყრობის კიდევ ორი ფუნქცია — დიდმპყრობელობა, როგორც საკუთარი ხალხის მორჩილების, მობილიზაციური მზადყოფნის საშუალება და თვითმპყრობელის და მასთან ერთად მთელი ერის ძლევამოსილების რწმენა, რაც იმპერიის არსებობის აუცილებელი პირობათაგანია.

ახალ საუკუნეებში, მსოფლიო სახალხო მეურნეობის ინტენსიფიკაციის, საზღვაო გზების ათვისებისა და აღებ-მიცემობის განვითარებასთან ერთად, პყრობის კიდევ ერთი დანიშნულება გამახვილდა, — ნედლეულის წყაროებითა და საქონლის გასაღების ბაზრებით მეტროპოლიური ეკონომიკის უზრუნველყოფა. ამ საჭიროებამ თავის რიგში სტრატეგიული პოზიციების, ძლიერი საზღვაო ფლოტებისა და სახმელეთო სამხედრო ძალების ყოლა მოითხოვა. მეოცე საუკუნის დამდეგისთვის მპყრობელ ერებს მსოფლიო დანაწილებული ჰქონდათ. დამონებული ხალხების ეროვნულ-გამათავისუფლებელმა ბრძოლამ და, მეორე მხრივ, მპყრობელ ერებს შორის მძაფრმა ეკონომიკურმა წინააღმდეგობებმა პირველი მსოფლიო ომი და დიდი ნგრევა გამოიწვია. მაგრამ ამას მათი ეკონომიკისთვის კატასტროფული ზიანი არ მიუყენებია. კოლონიური ნედლეულითა და ბაზრებით ხანგრძლივი სარგებლობის შედეგად ისინი დამარცხებას მაღალი ტექნოლოგიური მაჩვენებლებით შეხვდნენ, ხოლო კაპიტალის ინტერნაციონალური ბუნების გამო გამარჯვებულებმა დამარცხებულთა სახალხო მეურნეობის ინტენსიური განვითარება უზრუნველყვეს. ასე მოხდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგაც. გავიხსენოთ განადგურებული დასავლეთ ევროპის ეკონომიკური აღმავლობის მიზეზები,

რუსეთის იმპერიამ ზღვებსიქითა ტერიტორიებისა და ხალხების დაპყრობა დროულად, სხვებთან ერთად ვერ მოახერხა. პეტრე დიდი, შეიძლება ითქვას, პირველი რუსი მოღვაწე იყო, რომელმაც სერიოზული ნაბიჯები გადადგა მსოფლიოს სავაჭრო და სტრატეგიულ კომუნიკაციებზე რუსეთის გასაყვანად. ამ მხრივ მან საკმაოდ ბევრი შეძლო, მაგრამ სამხრეთის ლაშქრობაში ჯანმა უმტყუნა, თუ მომავალი მარცხი იგრძნო — ქართველი მოკავშირე ირანს მძვინვარებას შეატოვა და ჩრდილოეთისკენ გაბრუნდა. მას მერე რუსეთის მეზობელი სამეფოების მიერთების პოლიტიკას დაადგა. ამასაც ინდოეთის ოკეანესა და ხმელთაშუა ზღვაზე გასვლის მიზანი ჰქონდა. საკუთარი თუ დაპყრობილი მეზობლების ნედლეული რუსეთის იმპერიამ თავის უზარმაზარ ტერიტორიებზე უგზოობის, ტექნიკური ჩამორჩენილობისა და ეროვნული თუ უცხოური ინვესტიციური კაპიტალის უქონლობის გამო მეცხრამეტე საუკუნის მანძილზე თითქმის ვერ გამოიყენა და რუსული საქონლით ვაჭრობა საკუთარ სამფლობელოებშიც კი უცხოელებთან მძაფრი კონკურენციის პირობებში უხდებოდა.

ამგვარად, თუ დასავლეთის იმპერიებმა კოლონიური სახელმწიფოებრიობის ფორმა საკუთარი მრეწველობის, ტექნიკის, კულტურის, საფინანსო მეურნეობის გასავითარებლად, მსოფლიოში გავლენის სფეროების გაფართოებისთვის გამოიყენეს, რუსეთის იმპერიის ახალი ტერიტორიების შეძენამ, თითქმის, არაფერი მისცა, გარდა შემდგომი დაპყრობებისთვის საჭირო სამხედრო პლაცდარმების, ხალხთა საპყრობილის სახელისა და სოციალური წინააღმდეგობებით გამოწვეული კონვულსიებისა.

ვფიქრობ, ასეთია პასუხი კითხვაზე ვის რისთვის სჭირდებოდა და როგორ გამოიყენა კოლონიები.

რუსეთის მრავალეროვანი სახელმწიფოს დაშლის პროცესმა მეცხრამეტე საუკუნეშივე იჩინა თავი. გოგოლის შემოქმედება რუსული თვითმპყრობელობის მარაზმის მაუწყებელი ზარიც იყო, მის საძირკველში სამკვდროდ შემარჯვებული ნაღმიცა და ველიკორუსული პოლიტიკური აზროვნების ინტენსიფიკაციის ბიძგიც. რუსი ერის იმპერიულად მოაზროვნე ნაწილმა ნათლად დაინახა თავისი სახელმწიფოს ტრაგიკული აღსასრული. დაიწყო გამოსავლის ძებნის მშფოთვარე პერიოდი, უნდა გამონახულიყო ფანტასტიკური საშუალება, რომელიც შინაიმპერიული სოციალური ვითარების მოწესრიგებას, დაპყრობილი ერების განმათავისუფლებელი მოძრაობის დაშოშმინებას და ეკონომიკისა და კულტურის ინტენსიურ განვითარებას უზრუნველყოფდა.

ხუთი, ექვსი ათწლეულის ძიებები ოქტომბრის გადატრიალებით დაგვირგვინდა. ბოლშევიკების პროგრამამ გაიმარჯვა, რადგან იმპერიაში შემავალ ხალხთა დიდი უმრავლესობისთვის მათი კულტურული განვითარების იმ საფეხურისთვის მიმზიდველი იყო ექსპლოატატორთა კლასების ლიკვიდაცია, ფაბრიკა-ქარხნები — მუშებს, მიწა — გლეხობას, ომი — ომს, საკუთარი დამწერლობა, ლიტერატურა, ხელოვნება და ყოველივე ეს განახლებული, თავისუფალი სახელმწიფოს ფარგლებში. ასეთი პერსპექტივები ჩამორჩენილი ხალხების, განსაკუთრებით მათი მოწინავე ფენების საუკუნოვან ოცნებას შეადგენდა. სოციალიზმმა მათი სახით საიმედო დასაყრდენი ჰპოვა. მაღალი კულტურული და სახელმწიფოებრივი ტრადიციების მქონე ერების მხარდაჭერისა და თანაგრძნობის მოსაპოვებლად ბოლშევიკებმა თვითგამორკვევისა და კავშირიდან გასვლის შეუზღუდავი უფლებებიც აღთქვეს. განვითარებული ერების ზომიერმა ფენებმა, ეკონომიკური ჩამორჩენილობის გამო, თუ ძლიერი მეზობლების მიერ ტერიტორიების მიტაცების შიშით, ახალი სახელმწიფოს შემადგენლობაში ყოფნა არჩიეს მანამდე, სანამ შეიქმნებოდა თვითგამორკვევისა და დამოუკიდებლობისთვის საჭირო წინაპირობები. ქართველი და კიდევ რამდენიმე ერის შემთხვევაში პრობლემა სამხედრო ძალამ გადაჭრა. მპყრობელი ერის პოლიტიკური აზროვნების მოქნილობამ, თითქმის ყველასთვის ხელსაყრელი კომპრომისის გზით, სახელმწიფოს მთლიანობა შეინარჩუნა.

ასე გადაურჩა რუსეთის იმპერია დანგრევის პირველ რეალურ საფრთხეს.

მაგრამ აღმოჩნდა, რომ რუსეთის მრავალეროვანი სახელმწიფოს მმართველობის ფორმისა და ხალხთა უფლებრივი სტატუსის შეცვლამ მხოლოდ დროებით შეაჩერა მისი დაშლისკენ ისტორიულად კანონზომიერი სვლა. სამოცდაათი წლის მანძილზე დიქტატურის პირობებში ჩატარებულმა პოლიტიკურმა თუ კულტურულმა ღონისძიებებმა საყოველთაო ნასწავლობა, ინტელექტუალური ნახტომი და, როგორც ამის სულიერი შედეგი, ეროვნული თვითშეგნების გამახვილება მოიტანა. მეორე მხრივ, სტალინისტურმა სოციალიზმმა დანარჩენი მსოფლიო რუსეთის აგრესიის საშიშროების წინაშე დააყენა. მკაფიოდ ჩამოყალიბდა ბირთვული ომის პირდაპირი საშიშროება. რუსეთის გამალებულ შეიარაღებას სახალხო მეურნეობის ცალმხრივი განვითარება, ხალხების დაბალი საყოფაცხოვრებო დონე, შრომის ნაყოფიერების ვარდნა, კორუფცია, ხაზინის ძარცვა, ქონებრივი უთანასწორობა, დაბალხარისხოვანი საქონელი, სასურსათო კრიზისი, ზნეობის დაცემა და, ცხადია, ხალხების საყოველთაო უკმაყოფილება და ხელისუფლების მხრივ ტერორის ესკალაცია მოჰყვა, უუფლებობამ, რუსიფიკაციის პოლიტიკის გააქტიურებამ, სიღატაკემ და რუსული სოციალიზმის იმპერიული არსის გაცნობიერებამ ერები პასიურ საბოტაჟამდე მიიყვანა. საწერ მაგიდაზე გამოგონილმა წყობილებამ კაცობრიობის პროგრესს მხარი ვერ აუბა, ბირთვული იარაღის მეტი ველარაფერი დაუპირისპირა და ეს საშუალებაც უქმი აღმოჩნდა, რადგან იარაღი, რომელსაც ვერ გამოიყენებ, იარაღი აღარ არის. რუსეთის მრავალეროვანი სახელმწიფოს დანგრევის სიმპტომები ისევ ცხადად წარმოჩინდნენ და მისი მთლიანობის შენარჩუნების მომხრე ძალებმა კვლავ მიჰყვეს ხელი გამოსავლის ძებნას, რაც სტალინის სიკვდილისთანავე დაიწყო და დღემდე გრძელდება.

კომუნისტური პარტია მართვის სისტემის, ეკონომიკისა და ადამიანის აზროვნების გარდაქმნის გზით რომ სახელმწიფოს მთლიანობისა და ხელისუფლების შენარჩუნებას ისახავს მიზნად, ამაზე საჭიროზე მეტია ნათქვამიცა და დაწერილიც. გარდაქმნის პოლიტიკის მომხრეებს სხვადასხვა მიდგომა შეიძლება ჰქონოდათ მხოლოდ იმაზე, თუ როგორი ხერხი აჯობებდა — დიქტატურის პირობებში განხორციელებულიყო გარდაქმნა, თუ გარდაქმნა საჯაროობისა და მოქალაქეობრივი თავისუფლებების ატმოსფეროს დაეჩქარებინა. ლენინმა ანალოგიურ ნაბიჯს **„Спуск на тормозах“** უწოდა და გარდაქმნის განხორციელება მმართველთაგან „ურწმუნოთათვისაც“ კი არცთუ მძიმე, ერთხელ უკვე შესრულებულ ოპერაციად გამოიყურებოდა.

გორბაჩოვის პოზიციამ გაიმარჯვა, რადგან უწინარეს ყოვლისა საჭირო იყო კაცობრიობის დარწმუნება, რომ რუსეთის იმპერია ერთხელ და სამუდამოდ დაადგა დემოკრატიის, ჰუმანიზმისა და მშვიდობიანი საერთაშორისო თანამშრომლობის გზას. ამას გარდა, შინაგანი გარდაქმნები კაპიტალისტურ მსოფლიოსთან მჭიდრო ეკონომიკურ, მეცნიერულ, ტექნიკურ და კულტურულ კონტაქტებს მოითხოვდნენ.

მმართველ პარტიას გარდაქმნის პოლიტიკამ მოულოდნელი შედეგი მოუტანა. სიტყვის, თავყრილობების თავისუფლება არარუსმა ხალხებმა კავშირიდან გასვლის კონსტიტუციური უფლების განსანაღდებლად გამოიყენეს. მპყრობელმა ერმა იმპერიის შენარჩუნება და ნაციონალისტური მმართველობის შემოღების საკითხი დააყენა. მმართველი პარტიის მიზნისა და შედეგის დაპირისპირება მოხდა. მთლიანობისთვის ჩატარებულმა ღონისძიებებმა დაშლა-დანაწევრების რეალურ საფრთხემდე მიიყვანა სახელმწიფო!

შეძლებს თუ ვერა მპყრობელი ერი, მმართველი პარტია რეალიების გათვალისწინებას, რუსეთის იმპერიის ნებაყოფლობით დაშლას, თუ იმპერიის შენარჩუნება მისთვის სასიცოცხლო აუცილებლობაა?

სხვა მპყრობელმა ერებმა თითქმის ყველა შემთხვევაში სცადეს იმპერიების შენარჩუნება, რამაც დიდძალი მატერიალური და ადამიანური რესურსები შეიწირა.

რეაქციული ძალები, კოლონისტების მრავალრიცხოვანი ფენა და მთლიანად ხალხები ფსიქოლოგიურად მოუმზადებელი აღმოჩნდნენ იმისთვის, რომ მპყრობელი ერის საუკუნეებით შესისხლხორცებულ როლს გამომშვიდობებოდნენ. დასაშვებია ვიფიქროთ, კოლონიურ ომებში დამარცხებებმა დაარწმუნეს ის ხალხები, რომ ყველაზე გონივრული გამოსავალი ომის შეწყვეტა და იმპერიის დაშლა იყო.

რუსი მპყრობელი ერისთვის ასეთი გაკვეთილები არავის ჩაუტარებია. მისი დიდი ნაწილი ძველებურად დიდმპყრობელური სულისკვეთებით ცხოვრობს. რუსეთში ნახევარი სიცოცხლე მაქვს გატარებული. საქმე მქონია საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელთან. აბა, რომელიმე რუსთან საუბარში ორი სიტყვით მაინც შეეხეთ იმპერიიდან გასვლის კონსტიტუციურ უფლებას!.. მპყრობელი ერის მოქალაქე არსებული სოციალური ვითარების თავის სასარგებლოდ გადაკეთებისათვის მუდამ მზად არის, მაგრამ ყოველთვის წინააღმდეგია თავისი იმპერიის დანგრევისა. ამას წარსულიც ადასტურებს და აწმყოც.

არის კიდევ ერთი მარადიული გარემოება: ვინც წინაპრებისგან დაპყრობილ მიწას თუნდ გოჯს მოაკლებს — ანათემა, მოკვეთა და ჯოჯოხეთი მას! სახელმწიფოს ის ხელმძღვანელობა, რომელიც შექმნილი გარემოებიდან, ანუ იმპერიის დაშლის აუცილებლობიდან გამოსავალს ვერ იპოვის, მხოლოდ იმ შემთხვევაში შესძლებს ძალაუფლების შენარჩუნებას, თუ თავის ხალხს მოვლენის ისტორიულ გარდუვალობაში დაარწმუნებს, თუნდაც კოლონიებში ამაო ძალადობითა და სისხლის ღვრით.

ახლა თვით რუსი ერისთვის იმპერიის შენარჩუნების საჭიროებაც განვიხილოთ.

ინგლისელების მიერ ინდოეთში მცირე წაკინკლავების შემდეგ მთელი იმპერიის ნებაყოფლობითი დაშლა, უპირველეს ყოვლისა, იმ უბრალო არითმეტიკის შედეგი იყო, რომ კოლონიების პყრობასთან დაკავშირებული მატერიალური და მორალური დანაკარგი აღემატებოდა იმ სარგებელს, რაც დიდ ბრიტანეთს კოლონიების პყრობით ჰქონდა. ჩიტი ბდღვნად აღარ ღირდა! კოლონიები თვითვე იყვნენ დაინტერესებული ყოფილ მპყრობელებთან ეკონომიკური ურთიერთობების უწყვეტობაში, იმ სრულიად რეალური იმედით, რომ დამოუკიდებლობის ვითარებაში ურთიერთობა სამართლიანი, ორმხრივ ხელსაყრელი არსით წარიმართებოდა და ეს დადასტურდა კიდეც. საერთოდ, მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ეპოქა იმ ეკონომიკური სიტუაციით აღინიშნა, რომ ნედლეულის წყაროებითა და ბაზრებით მეტროპოლიური ეკონომიკის უზრუნველყოფა დამოკიდებული იყო არა სამხედრო ბაზებისა და ფლოტების რაოდენობაზე, არამედ ნედლეულის შემსყიდველთა გადამხდელუნარიანობასა და ბაზარზე გამოტანილი საქონლის ხარისხსა და ფასზე.

საფიქრებელია, დღევანდელი რუსეთი, ინგლისელებივით რომ ჰქონდეს საქმე დალაგებული, რომელიღაც სამფლობელოს დაკარგვას არ შეიცხადებდა.

წარმოვიდგინოთ, რომ რუსეთის იმპერია დაიშალა და მპყრობელი ერი თავის ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ საზღვრებში აღმოჩნდა. სად უნდა გაასაღოს მან თავისი უხარისხო საქონელი საბჭოთა ბაზარს გარეთ და საიდან, რა სავალუტო სახსრებით უნდა შემოიტანოს აუცილებელი ნედლეული, მანქანა-მოწყობილობები და.. პური! რით უნდა გადაფაროს ის სავალუტო შემოსავალი, რომელსაც რესპუბლიკებიდან უცხოეთში ექსპორტირებული ნედლეული იძლევა და კავშირიდან მათი გასვლის შემთხვევაში აღარ იქნება? ეკონომისტებს მიაჩნიათ, რომ რუსეთის დამოუკიდებელი ფედერაცია საკუთარი რესურსებით, ნედლეულის გატანით, მომსახურების საერთაშორისო სახეებითა და სხვა საშუალებებით ტექნოლოგიურ გადაიარაღებასა და საერთაშორისო ბაზრებზე მაღალხარისხოვანი ნაწარმით გასვლას მხოლოდ ოცი, ოცდაათი წლის შემდეგ მოახერხებს. მანამდე კი მას სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური წინააღმდეგობებით აღსავსე არსებობა,

მძაფრი პარტიული ბრძოლები, სამთავრობო კრიზისები, გადატრიალებები, შიმშილი, საერთაშორისო პრესტიჟის დაცემა და მხოლოდდა განვითარებადი ქვეყნის ხვედრი მოდის.

დასასრულ, რამდენადაც ვიცი, კაცობრიობის ისტორიაში ვერ მოიძებნება მაგალითი, როცა მპყრობელმა ერმა თუ იმპერიის ერთპიროვნულმა მმართველმა იმთავითვე ნებაყოფლობით დასთმო ხელისუფლება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, გავბედავ და ვიტყვი, რომ მპყრობელი ერის დაყოლიება იმპერიის დაშლაზე, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ამის ისტორიულ გარდუვალობას ხელმძღვანელი წრეები გაიზიარებენ, მხოლოდ საყოველთაო ტერორის ან სამოქალაქო ომის შედეგად არის შესაძლებელი, რაც ორივე შემთხვევაში ისევ იმპერიის დანგრევაა.

რაც ითქვა, არც ვითარების დრამატიზებაა და არც იმის მტკიცებაა, რომ საქართველოსთვის დამოუკიდებლობა საერთოდ ზედმეტია. დამოუკიდებლობა აუცილებელია, უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ რუსეთის იმპერია ვერ უზრუნველყოფს ჩვენი ერის სრულფასოვან პროგრესს, დამთრგუნველად მოქმედებს მის ეროვნულ თვითმყოფადობაზე, ინგრევა, ქართველებმა თავს უნდა მივხედოთ.

დიახ, რუსი მპყრობელი ერისთვის იმპერიის შენარჩუნება სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს, მაგრამ ამასთან ერთად ჩამოყალიბდა ვითარება, როცა იმპერიაში შემავალი ხალხების განმათავისუფლებელი მოძრაობა, ბრძოლა კულმინაციას აღწევს. მმართველი პარტიისა და მპყრობელი ერის ხალად მოაზროვნე, მაგრამ, ვაი რომ, მცირე ნაწილისთვის ცხადი გახდა, სახელმწიფოს არსებული ფორმის შენარჩუნება, კანონების გამოცემით იქნება ეს, თუ სამხედრო ძალის გამოყენებით — შეუძლებელია. კანონები საბოტირებულია, ძალადობა იმპერიის საერთაშორისო პრესტიჟს ლახავს, უკიდურესობამდე ძაბავს შინაპოლიტიკურ ვითარებას, სამოქალაქო ომის რეალურ საშიშროებას ჰქმნის. დიდი მნიშვნელობა აქვს ფაქტორს, რასაც „საკუთარ ძლევამოსილებაში ეჭვის გაჩენა“ ჰქვია. ავღანეთში განცდილმა კრახმა ამ მხრივ დიდი როლი შეასრულა, ხოლო თვით იმპერიის ისტორიულად კანონზომიერმა ლპობამ შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობა დასცა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ არმიაში სოციალური თუ ეროვნული წინააღმდეგობებით დამუხტული შევსება მოდის. ხალხთა მორჩილებისათვის ასეთი კონტინგენტის გამოყენება სარისკოა და ისიც მკაფიოდ გამოიკვეთა, რომ რუსეთის იმპერიას მისი ნგრევის მიმდინარე პერიოდში დასავლეთთან ურთიერთობის წახდენას კომპრომისი ურჩევნია, სამხედრო ძალის გამოყენება ხელს არ აძლევს, ამას ლიტვის მაგალითიც ადასტურებს:

არსებობს ვარაუდი, რომ ერთაშორისო ურთიერთობების გამწვავება, სეპარატისტული ტენდენციების ფარული წაქეზება ზემოდან არის ინსპირირებული, ხოლო სათანადო კანონმდებლობითი ღონისძიებებით თანხლებული „ერთა ფედერაციის“ იდეის პროპაგანდა პოლიტიკური ტრიუკია და რეაქციის დაშოშმინებისთვის, ოპოზიციაში, მასებში იმ შეხედულების გამოსამუშავებლად ხორციელდება, რომ რუსეთის საერთაშორისო პოზიციების შესანარჩუნებლად, გარდაქმნის წარმატებისთვის, თვით რუსი ხალხის მომავალი კეთილდღეობისთვის სახელმწიფოებრიობის ახალი ფორმების გამონახვაა საჭირო. ეს ვარაუდი, იქნება, მართებულიც იყოს. ზემოთაც ითქვა, რომ ყველა დაშლილმა იმპერიამ გაიარა ეს გზა და სწორედ ასე გაინახლდა პროგრესი.

რუსეთს უახლოესი ათი წლის მამძილზე მაინც სჭირდება მშვიდობა, თავისი სამფლობელოებისა თუ ვასალების ნედლეული, საქონელი, საკუთარი ნაწარმის გასაღების ბაზრები და დასავლეთთან ისეთი სახის ურთიერთობები, რომ მისი შემწეობით თანამედროვე ეკონომიკა ჩამოაყალიბოს, მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი საქონლით გავიდეს. რუსი მპყრობელი ერისთვის იმპერიის ამჟამად დაშლა თვითმკვლელობას ნიშნავს. ჩვენ მას ვჭირდებით! მეორე მხრივ, იმპერიის არსებული ფორმით შენარჩუნება შეუძლებლად გამოიყურება და კიდეც თუ მოხერხდა, დროებითი მოვლენა იქნება, სად უნდა ეძებოს რუსეთმა გამოსავალი?

მაგრამ, როგორც იტყვიან, „ვინც რა უნდა თქვასო და ბუზულამა ფქვასო“ — ჩვენ საქართველოს მივხედოთ.

ცნობილია, ყოველ საგანსა თუ მოვლენას, მიზეზსა თუ შედეგს, თავისი ფუნქცია აქვს, საერთო სისტემაში თავის როლს ასრულებს, რასაც ფუნქცია აღარ აქვს, ის რუდიმენტია, ისპობა. ეს ერსა და მის სახელმწიფოზეც ვრცელდება. დავაკვირდეთ: გორგასლის სახელმწიფო იმის შედეგად გაძლიერდა, რომ სამხრეთის იმპერიებისთვის ჩრდილოეთის მომთაბარეთა წინააღმდეგ ალმართული დაბრკოლების, ბუფერის ფუნქცია იკისრა. ძლიერი საქართველოს არსებობაში სამხრეთი იმ მიზეზითაც იყო დაინტერესებული, რომ რეგიონში ზღვისა თუ ხმელეთის სავაჭრო გზებზე სტაბილურობა სჭირდებოდა. შემდეგი ჩვენი ძლიერი სახელმწიფოს არსებობა მეთერთმეტე-მეთოთხმეტე საუკუნეების მონაკვეთზე მოდის. ამ პერიოდში საქართველომ ბიზანტიის იმპერიისა და მთელი ქრისტიანული სამყაროს აღმოსავლეთის წინამბრძოლის როლი იკისრა, ამით მსოფლიო სავაჭრო-ეკონომიკური სისტემის მნიშვნელოვან შემადგენლად იქცა.

ქართველთა სახელმწიფოს ძლიერება ორივე შემთხვევაში მისი საერთაშორისო ფუნქციის არსებობით უნდა აიხსნას, უამისოდ ვერც მომავალში ვიზოგინებთ და ისიც გავიხსენოთ, რომ ჩვენი სამეფოს დაცემა ბიზანტიის იმპერიის დაცემას მოჰყვა. ჩვენი სახელმწიფოს არსებობით ვისიმე დაინტერესებას, საერთაშორისო ფუნქციის მოპოვებას მხოლოდ იმით ვერ შევძლებთ, რომ საბჭოთა კავშირს გამოვეყოფით და დამოუკიდებლობას გამოვაცხადებთ. ფუნქციაა საძებნელი!

გამოვაქვეყნეთ კავშირიდან გასვლისა და დამოუკიდებლობის დეკლარაცია. არა მგონია, ასეთ კომპრომისზე წასულმა იმპერიამ თავისი თავი დაივიწყოს. იგი, რა თქმა უნდა, პრეტენზიას განაცხადებს საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ყოველგვარ ობიექტზე, სადაც კი სასხრები საკავშირო დაწესებულებების სახელით დაბანდებულა — კურორტები, საზღვაო ფლოტი, გაზის მაგისტრალები, ქარხანა-ფაბრიკები... თუ გავუძალიანდით, წასაღებს ძალით წაიღებს. დავუშვათ ისიც, რომ ყველაფერი დაგვიტოვა და მხოლოდ ვალი დაგვადო. რით, როგორ და რამდენ ხანში მოვახერხებთ კაბალიდან თავის დაღწევას?

ჩვენი ეკონომიკის ავ-კარგზე ლაპარაკი, დიახაც, ვერაფერი სასიამოვნოა, მაგრამ ზოგი რამ მაინც უნდა ითქვას. სოფლის მეურნეობას გლეხი აღარა ჰყავს, მიწა გამოფიტულია და მოწამლულია. დავუშვათ, რომ გაქალაქელებული გლეხი სოფელს დაუბრუნდა. მანქანა-იარაღები, სასუქი, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი მოწყობილობა, საწვავ-საპოხი, გაზი, ხე-ტყე, სათადარიგო ნაწილები, მარცვლეული და ვინ იცის, კიდევ რამდენი რამ გარედან უნდა შემოვიტანოთ. ჩვენი მრეწველობა საკავშირო ინდუსტრიაში ისე მჭიდრად არის ჩახლართული, რომ მარტო მანქანათმშენებლობისთვის ათეულ ათასობით დეტალის შემოტანა, ანუ შესყიდვაა საჭირო. რა გავყიდოთ? ტურიზმი. ზოგი რამ ისეთი საქონელიც არის, საერთაშორისო ბაზარზე კარგად რომ ფასობს, მაგრამ ყოველივე ეს წვეთია მხოლოდ. მართალია, ქართველებმა მიზნის მიღწევა ვიცით, ბოლოსდაბოლოს ყველაფერი გვექნება — ეგ არის, როგორ პირობებში მოგვიხდება ახალი სახელმწიფოს მშენებლობა.

დიდ იმედებს ამყარებენ სესხის მიღებაზე. სწორია და სხვაგვარად ვერაფერი მოხერხდება, მაგრამ საერთაშორისო თუ მავანი ქვეყნის ბანკებიდან სესხის მიღებას შევძლებთ მხოლოდ მაშინ, როცა მოხდება ჩვენი, როგორც სახელმწიფოს იურიდიული და ფაქტიური აღიარება, ცნობა. ჩვენმა პირველმა დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, ორწელიწადნახევარი მოანდომა ამ საქმეს. ვფიქრობ, არც ჩვენ დაგვჭირდება ნაკლები. მივაღწიეთ, გვცნეს. ბანკები სესხს აძლევენ მხოლოდ გადამხდელუნარიან კლიენტებს. შეგვამოწმეს, დარწმუნდნენ, დაგვეხმარნენ. დახმარება, სესხი ჩუქებას არ ნიშნავს, ნასესხები თანხის ვახში ყოველწლიურად გადასახდელი გვექნება და მოგებაც უნდა დაგვრჩეს.

ორმხრივი კაბალა! საფიქრებელია, უარეს მდგომარეობაში აღმოვჩნდებით, ვიდრე სხვა განვითარებადი ქვეყნები.

მთავარი მაინც ის არის, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე მტრულ გარემოცვაში აღმოვჩნდებით. ეს ყველაზე მნიშვნელოვანი რამ არის. ნუ დავივიწყებთ ჩვენი რესპუბლიკის ეთნიკურ შემადგენლობას, სეპარატისტთა ძირგამომთხრელ საქმიანობას და ნურც იმას, რომ წაქეზებულიც არაერთი გამოჩნდება. დღესდღეობით კიდევ მოქმედებს საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია, ასე თუ ისე, დაცული ვართ უცხო თესლის მოძალებისგან. დამოუკიდებლობის პირობებში სხვათა მიერ წაქეზებულ, მშვენივრად აღჭურვილ მოჯანყეს რა შეიარაღებული ძალა უნდა დავუპირისპიროთ? რით უნდა დავიცვათ საზღვრები და დავამყაროთ მშვიდობა საკუთარ სახლში? მავანთა დაპირებები, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე, ატლანტიკური ბლოკის შეიარაღებული ძალები შემოვლენ, რეალიზმს მოკლებულია. ყველაფერი თვალ უნდა შევძლოთ და ეს მაშინ, როდესაც სამხედრო კულტურა აღარ გაგვაჩნია. საბჭოთა ხელისუფლებამ რა არ იღონა, რომ ქართველებს ტრადიციულად მრავალრიცხოვანი, ძლიერი საოფიცრო კორპუსი აღარ გვყოლოდა. ახალი შეიარაღებული ძალების შექმნას, თუ ეს დამოუკიდებლობამდე ვერ მოხერხდა სულ ცოტა ათი წელიწადი დასჭირდება.

დასასრულ, თავს იმითაც ვიიმედებთ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მიგვიღებენ და, საჭიროების შემთხვევაში. რომელიმე სამხედრო ბლოკშიც შევალთ. შესაძლებელია, მაგრამ აქ ორი რამ არის გასათვალისწინებელი: შესვლასაც დიდი დრო სჭირდება და სანამ ეს მოხერხდება, მანამდე გაგვწეწავენ. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და რომელიც გნებავთ, სამხედრო ბლოკი, პრაქტიკულად, ხელშეუხებლობის გარანტიას არ იძლევა. თურქეთი ყველა ბლოკსა და ორგანიზაციაში საბერძნეთის გვერდით ზის. ამან მას ხელი არ შეუშალა საბერძნეთისთვის კვიპროსის ნახევარი სამხედრო ძალით წაერთმია.

ჩვენს საზოგადოებას საქართველოს მომავალ წყობილებაზე იმდენი სხვადასხვანაირი შეხედულება აქვს, რომ, შეიძლება ითქვას, დამოუკიდებლობის ლოზუნგის მეტი არაფერი გაგვაჩნია. გაჭირვებას მძაფრი წინააღმდეგობები და მტრობა მოაქვს. ყველა რევოლუცია დამნაშავეთა, უდანაშაულოთა და თვალ ბელადების განადგურებით არის აღნიშნული. ასეთი ვითარება გრძელდება ხოლმე იქამდე, სანამ სხვებზე პირსისხლიანი დაამყარებს ისეთსავე წყობილებას, რომლის დამხობისთვისაც რევოლუცია მოხდა. მგონია, საქართველოში დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე, მრავალთა და მრავალთა მიზეზთა გამო, შინააშლილობა და ტერორი გარანტირებულია.

ასეთი დამოუკიდებლობა და „თავისუფლება“ ქართველ ერს, მის მომავალს არ სჭირდება.

როგორი გვჭირდება?

უპირველესად ყოვლისა, ისეთი, რომ დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე გარემტერთან და მის დივერსანტებთან იარაღით პირისპირობა არ დაგვჭირდეს. ამისთვის ჩვენ დღესდღეობით მზად არა ვართ, საზღვრების ხელშეუხებლობისთვის ქოლგა გვესაჭიროება.

მშვიდობიანი და სტაბილური — ისეთი კონსტიტუციის მეშვეობით, რომელიც უნდა შეიცავდეს ერთავნებათაშორისო ურთიერთობების ორმხრივად დამაკმაყოფილებელ პირობებს.

პიროვნების სურვილიდან გამომდინარე საქმიანობისა და საკუთრების უფლებით.

ეკონომიკით, რომელსაც გარკვეული დროის მანძილზე ექნება არსებულ ტექნოლოგიურ დონეზე, წარმოებული საკუთარი საქონლის ტრადიციული ბაზარი. ნედლეულის, მანქანა-იარაღების, სათადარიგო ნაწილებისა და სახალხო მეურნეობის ნორმალური ფუნქციონირებისთვის აუცილებელი სხვა საქონლის, აგრეთვე ტრადიციული წყაროები.

ეკონომიკით, რომელსაც ფართო, თავისუფალი მეცნიერულ-ტექნიკური, სავაჭრო-ფინანსური ურთიერთობები ექნება განვითარებულ ქვეყნებთან, რის მეშვეობითაც, დროის მინიმალურ მანძილზე, ჩვენი სახალხო მეურნეობის ტექნიკური გადაიარაღება, საერთაშორისო ბაზრებზე კონკურენტუნარიანი საქონლით გასვლა უნდა განხორციელდეს, ეროვნულმა ფულმა საერთაშორისო მსვლელობის უნარი შეიძინოს.

კონსტიტუციით, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ყველა ადამიანური უფლების რეალიზაცია, სარწმუნოების თავისუფლება, ეროვნული შემწყნარებლობა. პიროვნების მატერიალური და სულიერი სიმდიდრე, ყოველი ადამიანისთვის თანაბარი შესაძლებლობები და მონაწილეობა, მრავალპარტიული დემოკრატიისათვის დამახასიათებელი სხვა პირობები.

ასეთი დამოუკიდებელი საქართველო გვინდა.

ვფიქრობ, ჩვენი ერის ისტორიაში პირველი და, ალბათ, უკანასკნელი შესაძლებლობა მოგვეცა საამისოდ და ამის განხორციელება შეიძლება „ხელშეკრულებრივი კონფედერაციით“. ვგულისხმობ, შემდეგ პრინციპებზე შექმნილ კონფედერაციას:

რუსეთის მრავალეროვანი სახელმწიფო უნდა დაიშალოს. რესპუბლიკებში ჩატარებული რეფერენდუმების საფუძველზე, იმ უმაღლესმა საბჭოებმა, ვისაც ასეთი სურვილი ექნება, უნდა გამოიტანონ დადგენილებები კავშირიდან გამოყოფის, სუვერენული, დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნისა და ხელშეკრულებრივი გაერთიანების ნებაყოფლობითი წევრობის შესახებ.

კონფედერაცია განუხრელად უნდა იცავდეს ოთხ მთავარ პრინციპს: ერთმანეთის ყველა სახის შინაურ საქმეებში ჩაურევლობა, იდეოლოგიური შემწყნარებლობა, კეთილმოსურნეობა, გაერთიანებიდან გასვლის უპირობო უფლება.

სამხედრო ბლოკებში გაერთიანებული სახელმწიფოების ანალოგიით, წევრებს ეყოლებათ ეროვნული არმიები, რომელთა გარკვეული კონტინგენტი შევა კონფედერაციის შეიარაღებულ ძალთა შემადგენლობაში, ხოლო ძირითადი ნაწილი დაიცავს საკუთარ საზღვრებს, შეასრულებს წინამბრძოლის მოვალეობებს საერთო სტრატეგიული გეგმის თანახმად.

მშვიდობიანობის პირობებში, სხვა კონფედერირებული სახელმწიფოს საჯარისო ნაწილების ყოფნა საქართველოს ტერიტორიაზე გამორიცხული იქნება.

საერთო შეიარაღებული ძალები, საჭიროების შემთხვევაში და გაერთიანების ამა თუ იმ სუბიექტის თხოვნით, უზრუნველჰყოფენ მის ტერიტორიულ ხელშეუხებლობას. მათი სარდლობა პარიტეტულია, მთავარსარდალი — არჩევითი.

ყოველ სახელმწიფოს, სურვილისა და საჭიროების მიხედვით, აქვს საკუთარი ფულადი ნიშნები, საფინანსო სისტემა.

კონფედერაცია ახორციელებს საერთო ინტერესებიდან გამომდინარე საგარეო პოლიტიკას, რომლის შემუშავებას აწარმოებს საგარეო საქმეთა მინისტრების პარიტეტული საბჭო.

ხელშეკრულებრივ გაერთიანებაში შემავალი სახელმწიფოები სარგებლობენ ერთმანეთის ნედლეულის წყაროებით, საქონლის გასაღების ბაზრებით, საქმიან ურთიერთობათა სხვა სახეებით მხოლოდ საკუთარი საჭიროებებიდან გამომდინარე, ურთიერთ ხელსაყრელი ხელშეკრულებების საფუძველზე, მათი დენონსაციის უფლებით. კონფედერაციაში შემავალი სახელმწიფოები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, საჭიროების მიხედვით ახორციელებენ იგივე ურთიერთობებს სხვა ქვეყნებთან.

კონფედერაციის საქმეებს განაგებს თანასწორ წარმომადგენლობითი ერთპალატიანი სათათბირო — პარლამენტი და თუ საჭიროებამ მოითხოვა, ეკონომიკური საბჭო.

თავისუფლება, სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა კიდევ სხვა რამ არის?

ეს იგივენაირი გაერთიანებაა, როგორებშიც მსოფლიოს ყველა მოწინავე ქვეყანა შედის. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში განმარტოებით ყოფნა ვერც პროგრესს უზრუნველჰყოფს, ვერც უშიშროებას. ქოლგა და ზურგი გამოუკლებლივ ყველას სჭირდება — ძლიერსა და სუსტს, განვითარებულსა და ჩამორჩენილს.

გარკვეული დროის მანძილზე — ჩვენც.

ასეა ეს!

ვიცი, მკითხველს ორასწლოვანი ფსიქოლოგიური თარჯის გადალახვა გაუჭირდება. ბევრი იტყვის, — ეს კაცი საით გვეპატიჟება! რუსეთთან ჩვენს ურთიერთობას მძიმე დაღი აზის, მძიმე, მაგრამ სამწუხაროდ, სხვა, უფრო წესიერ საზოგადოებაში მოხვედრის რეალურ შესაძლებლობას, ჯერჯერობით, ვერ ვხედავ, თორემ, გაგიხარია...

ამჟამად შექმნილ ვითარებაში, რუსი მპყრობელი ერი, ასეთი არჩევანის წინაშე დგას: კონფედერაცია ან სამოქალაქო ომი. საფიქრებელია, რომ რუსეთის იმპერიის დღევანდელ ხელმძღვანელობას ეს გაცნობიერებული აქვს. შეძლებს მპყრობელი ერი ავად სახსენებელი „ფედერაციიდან“ ერთა ხელშეკრულებრივ გაერთიანებამდე ამაღლებას, თუ დიდმპყრობელური სულის სიმძიმე „შთაგდებს გეენიასა შინა“?

გონიერებამ გაიმარჯვოს!

პარადოქსია, მაგრამ პრობლემა, რომელსაც ამ წერილში ვეხები, თვით ვითარებაზე რთულია და ვაქვეყნებ იმისთვის, რომ განსხვავებულ შეხედულებებს გავეცნოთ.

„უჩემოდ ვინ იმღერეთას“ ტონში დაწერილ თვალსაზრისს მხედველობაში არ მივიღებ, პასუხს არ გავცემ.

თბილისი,
1990 წ. 12 მაისი.



ნოე რამიშვილი, კონსტანტინე კანდელაკი.

## კონკურსი

„ლიტერატურული საქართველოს“ რედაქცია აცხადებს ღია კონკურსს, საქართველოს ჰიმნის ტექსტზე.

ჰიმნში უნდა აისახოს:

ქართველი ერის ისტორია.,

დღევანდელი საქართველო — მრავალეროვნული ქვეყანა, რომელიც შეკავშირებულია საერთო მიწითა და საერთო ისტორიით, საერთო მიზნითა და საერთო ოჯახით.,

საქართველო — მშვიდობისა და სიკეთისათვის ასწლეულებში მებრძოლი ქვეყანა.,

საქართველო — თავისი მიწისათვის, თავისი ეროვნული ღირსებისათვის, ქრისტიანული რწმენისა და მომავლისათვის თავდაუზოგავი მებრძოლი...

ყველაზე უფრო საინტერესო ნიმუშები სისტემატურად დაიბეჭდება გაზეთის ფურცლებზე, რომ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას მკითხველთა აზრიც გავითვალისწინოთ.

საკონკურსოდ გამოგზავნილ ლექსებს განიხილავს და შეაჯამებს „ლიტერატურული საქართველოს“ სარედაქციო კოლეგია, რედაქციის სათათბირო და რედაქტორთა საბჭო.

ვაწესებთ სამ პრემიას:

პირველი პრემია — 1000 მანეთი.
მეორე პრემია — 800 მანეთი.
მესამე პრემია — 500 მანეთი.

კონკურსის შედეგები გამოქვეყნდება 1991 წლის 26 მაისისათვის.

პრემირებულ და მოწონებულ ლექსებს, ცალკე წიგნად გამოსცემს გამომცემლობა „მერანი“.

**26 მაისს მერაბ კოსტავას 51 წელი შეუსრულდებოდა. გამომცემლობა „მერანი“ მალე დასტამბავს მისი ლექსების კრებულს, რომელიც შეადგინა და წინასიტყვაობა დაურთო ზვიად გამსახურდიამ.**

**დღეს გთავაზობთ ამ წინასიტყვაობას:**

# ძე ქარიშხლისა

**ზვიად გამსახურდია**

მერაბ კოსტავას, როგორც მამულიშვილს და ეროვნულ მოღვაწეს, ქართველი ხალხის წინაშე წარდგინება არ სჭირდება. მას იცნობენ აგრეთვე, როგორც ნიჭიერ მუსიკათმცოდნეს და თეატრალურ კრიტიკოსს, მაგრამ მისი ნაცნობმეგობრების ვიწრო წრის კიდეგან უცნობია მისი პოეზია, მისი ლექსების გზნება და მადლი...

არ უყვარდა მერაბს თავისი ლექსების პოპულარიზაცია. მიტინგებზეც იშვიათად თუ წაუკითხავს საკუთარი ლექსები; „შიმშილობა“ წაიკითხა ერთხელ ნოემბრის დღეებში, მოშიმშილეთა გასამხნევებლად და „შავი ჯოჯოხეთის კუპრი“, გამოქვეყნებაზე კი ფიქრიც არ სურდა.

ჩვენ, თანაკბილანი, სიყრმიდანვე ვმეგობრობდით. ჯერ პირველ ვაჟთა საშუალო სკოლაში ვსწავლობდით ერთ კლასში, შემდეგ ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ცენტრალურ მუსიკალურ სასწავლებელში. მერაბი ჩინებული პიანისტი იყო, მშვენივრად ასრულებდა გრიგს, ბეთჰოვენს და შუბერტს. ბეთჰოვენის და ვაგნერის გმირული მუსიკა იყო იმჟამად ჩვენი სტიქია. მერაბში თითქოს ორი სული იბრძოდა, ფაუსტის მსგავსად, მუსიკისა და პოეზიისა. ბოლოს პოეზიის სულმა იმძლავრა, მერაბმა მუსიკაზე ხელი აიღო და პოეზიას მისცა თავი, თუმც მისი ლექსები არ გაჰყრია მუსიკას, მუსიკის ტალღათა მძლავრი პულსირება საცნაურია მის სტრიქონებში.

ამასთან, ერის წყლული წყლულად გვაჩნდა და არც პოლიტიკაში ვიყავით უმოქმედონი. მამაჩემი იმთავითვე შთაგვაგონებდა ორივეს ეროვნულ იდეებს, გვათვითცნობიერებდა, თვალს გვიხელდა სინამდვილეზე, დამოუკიდებელი საქართველოს ოცნებით გვზრდიდა, რაც ბრწყინვალედ აისახა მერაბის შესანიშნავ ესსეში კონსტანტინე გამსახურდიას შესახებ („გამოსათხოვარი“, „ოქროს საწმისი“ 1977, № 4). იმჟამინდელი ჩვენი განწყობილებები კი აირეკლა ლექსებში, რომელიც ვუძღვენი მეგობარს 15 წლის ასაკში:

„ჩვენ ძლიერ ხშირად გვიფიქრია, ძმაო, ამაზე,
როდის აღსდგება სამშობლო ჩვენი,
და დაბრუნდება კვლავ სილამაზე
თავისუფლების და აღმაფრენის,

როდის დადგება ის დღე დიადი,
როს ბორკილს შევხსნით ერს დამცირებულს,
და დაუბრმავებს თვალს განთიადი,
ჩრდილეთის წითელ ჯალათთა კრებულს!..

და საქართველო დიდჭირნახული
გამოფხიზლდება ყველა იოგით,
ჩვენ ღვთისმშობელი გვწყალობს ხახულის
და გვიცავს მტრად თეთრი გიორგი“.

ღვთის რწმენა გვქონდა, მაგრამ განსაკუთრებით ინტენსიურად დავადექით რელიგიური და თეოლოგიური შემეცნების გზას 60-იან წლებში. საიდუმლო ღვთისმეტყველებამ და მისტიკამ გაგვიტაცა. ამ პერიოდში მერაბის ლექსები მისტიური სიღრმით და რელიგიური აღმაფრენით გამოირჩევა. სწორედ იმ ხანებში მიძღვნა მან ასეთი ლექსი:

**მეგობარ ზვიადს**

„შენი სამშობლო არის სულეთი,
სხვა სრა-სასახლე, ძმაო, ნუ გინდა,
დე, ხალხის თვალში დარჩი სულელი,
მამის წინაშე იყავი წმინდა,

დაე, გფარავდეს ვარსკვლავთ კრებული
და მიქაელის ცეცხლის მახვილი,
დაე, ღირსად გცნონ, იქმნა ვნებული,
წმინდა ზვარაკის ტკბილი სასმელით,

არ მიიკარო მწიკული ზადის
შენი ტანია თვით ეკლესია,
სცან ღალადისი, გზა განიმზადე,
დედამიწაზე დადის მესსია!“

იმავე პერიოდში მიძღვნა ლექსი „პაემანი“, სადაც საოცრად იწინასწარმეტყველა ის, რომ იგი ჩემზე ადრე დასტოვებდა ამ წუთისოფელს და მე, მის აკლდამასთან, თალხით მოსილი, დაველოდებოდი მეგობრის აჩრდილს! აკი ამიხდა ყოველივე!

მე ვიყავ იმისი ყოველი ნაწარმოების პირველი მკითხველი, ისევე, როგორც იგი იყო ჩემი პირველი მკითხველი და შემფასებელი წლების მანძილზე, ბოლოს მაიძულა (ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით) ჩემი კრებულის მიტანა „მერანში“ 1978 წელს, რაც დამთავრდა მთავლიტის მიერ ამ წიგნის აკრძალვით და ანაწყობის განადგურებით (ხელისუფლება ჩვენს დასაპატიმრებლად გამზადებულიყო და რა დროს ლექსები იყო), თავისი ლექსები კი ვერაფრით მივატანინე ვერც ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში, ვერც გამომცემლობებში.

„ბიჭო, შემიგროვე შენი ლექსები, შენ არაფერში შეგაწუხებ, მე გადავაბეჭდინებ და წიგნსაც მე შეგიდგენ, ახლა მაინც სხვა დროა და გამოსცემენ-მეთქი“, რამდენჯერ ვუთხარი.

„სად მცალია ან შეგროვებისათვის“ — ნიადაგ ასეთი იყო მისი პასუხი.

ახლა ვნანობ, კიდევ მეტი დაჟინებით რად არ მოვთხოვე, თვალით ენახა, გაეხარა ერთხელ მაინც თავის ცხოვრებაში...

დიახ, გაუხარელი იყო მისი ყოფა, ისევე, როგორც ყოველი ჩვენგანისა წლების მანძილზე, ბოლო ხანებში ერთადერთი რამ გვახარებდა: აზვირთებული ახალგაზრდობა, ეროვნული დროშების ფრიალი, ლალი მიტინგები და მსვლელობები, რაც ესოდენ ჩაგვიმწარდა 9 აპრილს! მაგრამ 26 მაისი იმავე წლისა ხომ აღდგომა იყო ნამდვილი... თუმც, ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ, ვინაიდან ეს ცალკე თემაა.

ლექსი მისი საქართველოს გოლიათი ციხეების დუღაბით ნაგებს ჰგავს, ენა ძარღვიანი, ძველ ქართულს ნაზიარები, პოეტური ნეოლოგიზმები თამამი, რითმათა სამყარო უჩვეულო, რიტმი ძლიერი და დაძაბული, როგორც მისი სახის კუნთები.

ო, ამ მრისხანე გამოხედვის ქვეშ რა ჩვილი გული იმალებოდა, რა თანაგრძნობა მოყვასისადმი, ყოველი დევნილისა და ჩაგრულისადმი!

ლექსის აბჯრით არის თითქოს შეჭურვილი, ლექსის შუბით და ლახვრით ემუსება მტერს! ნახეთ მისი „დიდგორი“, „ღირს მამა დავითს“, „დოსტოევსკი“, „გალაკტიონი“ (რა ძეგლები დაუდგა თავის საყვარელ მეფეებს, წმინდანებს, პოეტებს!).

როგორც ვთქვი, ურთიერთის პირველი მკითხველები ვიყავით. სუკ-ის ციხეში ერთწლიანი პატიმრობის შემდეგ შეგვახვედრეს გამომძიებლის კაბინეტში 1978 წლის მარტში, დაპირისპირების ფორმალური პროცედურის ჩასატარებლად (ვინაიდან არაფერი გვქონდა დასაპირისპირებელი, არავითარი ჩვენებები არ მიგვიცია არც ერთმანეთზე და არც სხვებზე). ჩვენი „დაპირისპირება“ გამოიხატა იმაში, რომ ამბის გამოკითხვის შემდეგ ერთმანეთს ვუკითხავდით საკანში დაწერილ ლექსებს, ასე რომ „დაპირისპირება“ პოეზიის საღამოდ გადაიქცა და ამ უჩვეულო საღამოს აუდიტორიას წარმოადგენდნენ ჩვენი გამომძიებლები! ასეთი რამ ნამდვილად არა გვქონია პრაქტიკაში, ღიმმორევით ამბობდნენ ისინი, დაპირისპირებისას თანამოსაქმე პატიმრები ერთმანეთს ლანძღავენ, საცემრად და ზოგჯერ მოსაკლავად იწევენ, ესენი კი ჯერ როგორ შეხვდნენ ერთმანეთს და ახლა კი ლექსებს კითხულობენო.

ციხეში დაწერა „ღირს მამა დავითს“, „დოსტოევსკი“ და სხვა ლექსები. პერმისკენ მიმავალ ეტაპში კი 1978 წლის 12 აგვისტოს დაწერა ჩემდამი მოძღვნილი ლექსი „ძმას ქრისტესმიერს“, რომელიც შემდეგ ლაგერიდან გამომიგზავნა, მაგრამ ჩემამდე ვერ მოაღწია. დედანი ამ ლექსისა გადმომცა 1980 წელს, ციმბირში, სოფელ კვიტოკში, სადაც თავისუფალ გადასახლებაში იმყოფებოდა და სადაც მე და ირაკლიმ, მისმა ვაჟმა ვინახულეთ. მინდა, ეს ლექსი ორიოდე სიტყვით დავახასიათო. აქ არის თითქოს ჩვენი ბრძოლის ისტორია, ჩვენი ბიოგრაფია, პოეტური სიტყვით გადმოცემული და რაოდენ ლაკონურად! აი, სად ასრულდა რუსთაველის ნათქვამი: „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის“!!! რამდენი დატია მან ამ ლექსში, რა გრძნობა, რა განცდები, რა ტრაგედია! „ნამეტანი გადააჭარბე-მეთქი, ჩემი როლის შეფასებისას“ — ესღა ვუთხარი.

შუბლი შეიჭმუხნა, როგორც სჩვეოდა და არაფერი მითხრა.

მცირე ხნის პაუზის შემდგომ მეუბნება:

„გავიგე, ვიღაც პროვოკატორები გარწმუნებენ თბილისში, თითქოს მე შენს ე. წ. მონანიებას ვგმობ და სისუსტედ გითვლი. ხომ გითხარი, არ წამოეგო-მეთქი ეგეთებზე, წერილი მაინც არ დამეწერა საკანში შენი თანდასწრებით! წინასწარ შეთანხმებულნიც რომ არ ვყოფილიყავით შენს უკანდახევაზე, განა არ მესმის, რომ სხვა გზა არ იყო, უცხოეთში შენი გაძევებით ხომ დაიღუპებოდა ჩვენი მოძრაობა! აბა, დაუკვირდი, ამ ლექსის დამწერი განა შეიძლება, რომ სხვაგვარად ვფიქრობდე?!“

მე სახტად დავრჩი. განა არ მსმენოდა ამგვარი რამ, მაგრამ როგორ ვუსაყვედურებდი ჩემს ტანჯულ ძმას, ისიც ისეთ სიტუაციაში, მაგრამ გულთამხილავი თავად მიმიხვდა და წყლულზე მალამოსავით წამაცხო ეს ლექსი, რომელიც, ალბათ, შედევრია მისი პოეზიისა.

თანაც დასძინა, „გახსოვდეს, რომ გამოძიებამ მაჩვენა ორივე ფირი შენზე, სუკ-ის მიერ დამონტაჟებული, რომელსაც ტელევიზიით უჩვენებდნენ და სწორედ ამის შემდეგ დავწერე ეს ლექსი მაგათი გულის გასახეთქად!“ ასეთი იყო მისი პოზიცია, რაც „გლასნოსტში“ გამოქვეყნებული წერილიდანაც ჩანს.



როდესაც 1981 წელს პირველად დაუმატეს წლები ციმბირში, „სასამართლოზე“ განაცხადა: „თქვენ ისე მექცევით, როგორც რუსეთი ექცევა საქართველოს“ და გამოაცხადა უვადო შიმშილობა, ვინაიდან ახლობლებთან შეხვედრის უფლებაც წაჰგვარეს.

მისმა ერთმა ციმბირელმა მეგობარმა შემატყობინა მისი ჯანმრთელობის კატასტროფული მდგომარეობა. სასწრაფოდ ვაფრინე ტელეფონოგრამა ჟორჟ მარშესთან ფრანს პრესის მეშვეობით, მარშე მიტერანს დაუკავშირდა, მიტერანი ჯერაც ცოცხალ ანდროპოვს; ახმაურდა პრესა, აყვირდნენ რადიოსადგურები და მისცეს მერაბს ახლობლებთან შეხვედრის უფლება.

ირაკლის ტრაგიკული თვითმკვლელობის შემდეგ კვლავ მომივიდა ციმბირიდან ცნობა, მერაბი განწირულიაო! კვლავ დავტრიალდი, ვეცი დასავლეთის საინფორმაციო სააგენტოებს, ავტეხე ხმაური. იმხანად ამოხეთქა ჩემი გულიდან პასუხმა მის ლექსებზე, რომელსაც ახლა ვაქვეყნებ:

„ერზე მჭმუნვარე ძმათა კრებული
ერის საფიცარ რაინდს გიწოდებს,
უკვდავ საქმისთვის ჯვარზე ვნებულო
სასუფეველში შეხვალ, იცოდე!
ქრისტემ მოგმადლა ცის გასაღები
და სერაფიმთა ჰაეროვნება,
არ გწამს მონღოლის ნატრაბახები
და არც მარდოხეს ყალბი ცხოვნება.
გვეტანებოდნენ ძაღლნი და ღორნი,
შემუსვრა სურდათ ელვარე ჰალის,
მაგრამ ხომ დავრჩით, მაინც ჩვენ ორნი,
მკრთალნი რაინდნი მწუხარე სახის!
კვლავაც დავუდგეთ დარაჯად საფლავს,
ყველა ცოცხალთა მიზანს და მიზეზს,
ამგვარ წამებას ხომ შვებაც ახლავს,
ხვალეც იმედის თვალებით გვიმზერს.
ცხოველმყოფელი საფლავი იგი
გვიწამებია ცხოვრების წყაროდ,
დაგვცქერის თვალი არსთაგამრიგის,
ის აგვარიდებს ბედის შავ ტაროსს.
და ოცნებებიც ცას მისწვდნენ ჩვენნი,
ცა გარდაგვეხსნა მარადჟამული,
ხელთუქმნელ ხატის დიდებით მშვენი
ღვთის წილხვდომილი ჩვენი მამული.
დე, ელვარებდეს ივერთა ცაზე
მზე შუალამის, ბარძიმი წმინდა,
გვწყალობდეს, ვინაც გვიკურთხა ვაზი
და ღვთისმშობელი ვინაც დაწინდა.
ვაშენოთ ჩვენი ტაძარი ქვაზე,
ბნელში მსხდომთ კვლავაც ავუნთოთ კვარი
და მიგვიძღოდეს ეკლიან გზაზე
წმინდა გიორგი და ნინოს ჯვარი“.

თავისი ცხოვრებისეული კრედო კი მერაბ კოსტავამ შემდეგ სტრიქონებში ჩააქსოვა:

„წილხვედრ სიკვდილს თუ ვუმზერდე ავად,
მაშინ ნამუსის ქუდი გავთელო,
ჩემი სამშობლო ზეცაა თავად,
მერმე ეს მიწა და საქართველო!“

და მისი პოეზიაც ხომ ზეცის, მიწის და საქართველოს მარადიული დიდებაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მერაბ კოსტავამ** თავისი წიგნი „ფიქრები საქართველოს მისიაზე" დაწერა 1984 წელს, ქალაქ ანგარსკში. წიგნი, ალბათ, მალე გამოიცემა. მკითხველებს ვთავაზობთ ამ ნაშრომის დასაწყის თავს, რომელიც შარშან, პარიზში, ყოველთვიურ ჟურნალ „გუშაგის" თებერვლის ნომერში დაიბეჭდა.

მასალა მოგვაწოდა მუსიკისმცოდნე ლია დოლიძემ.

# ფიქრები საქართველოს მისიაზე

**მერაბ კოსტავა**



როდესაც ქართველი ერის ბედზე ფიქრობ, მრავალსაუკუნოვან განტოლებას ხედავდე თითქო, გგონია, აჰა, აღზევდა აზრი, არწივივით მოედო ხსოვნის კაბადონს, მოიხილა მიზეზ-შედეგთა ახსნა წარსულიდან აწმყომდე, აწმყოსაც გასცდა და გაანათა გაურკვევლობით მოცული თვალსაწიერი მომავლისა. სინამდვილეში კი მატლივით უცოცია იქ, სადაც საქმე მყობადს შეეხება: წარსულის ანალოგიები მომავალს აღარ გამოადგა, ფანტაზია და ოცნება სინამდვილეში აგვერია და ვერ მივმხვდარვართ, რომ ბედი ერისა კიდევ უფრო ბნელითაა მოცული, ვიდრე ცალკეული ადამიანის ბედი, ვინაიდან ჩვენი ხედვის არეში და ისიც ნაწილობრივ, მარტოოდენ გარდასული ჟამი და აწმყოა მოქცეული. მოულოდნელობებით აღსავსე მომავალი კი ისე გვიახლოვდება, რომ არ კი ვუწყით, თუ რა მოაქვს, რა არის დაფარული მის წიაღში. ადამიანმა არ იცის, თუ ვინ სად სიკეთეს უმზადებს, ან დანას ლესავს მისთვის. ასევე მოვლენათა ფარულმა პროცესმა შესაძლოა, მოულოდნელად ჩინებული ტაროსი დაუყენოს ერის ცხოვრებისა და კულტურის სავარგულებს, ან პირიქით, დასათავთუხებელ ჭექილს ლახვარივით ჩასცეს სეტყვა. ადამიანმა დაახლოებით მაინც იცის თავისი სიცოცხლის ხანგრძლივობის შესაძლებელი ფარგლები: ან სჯერა სულის უკვდავებისა, ან ჰგონია, რომ ერთიანად მიწაა, მიწადვე იქცევა და ამის მიხედვით იჭერს თადარიგს. ერის სიცოცხლის ხანგრძლივობის ფარგლებზე კი ვინ მიგვითითოს? ან თუ დასჭირდა, სად ვიპოვოთ სენთა მისთა განკურნების წამალი? თუმცა, თავს გარდასახდენ იდუმალებითაა მოცული, მაგრამ ეს როდი ნიშნავს გულხელდაკრეფილი დავხვდეთ მომავალს, ნიჩბებს ხელი ვუშვათ და დინებას მივენდოთ.

რადგან საქმე კონკრეტულად ქართველი ერის ბედს შეეხება, ისიც აღვნიშნოთ, შემთხვევით რომ არ უთქვამთ ქართველებზე: „მებრძოლი შავი ბედისა". ასე იყო, ასე არის და ასე იქნება, სანამ ბედისწერას ჩვენთვის ძნელად გასაძლისი გამოცდები არ მობეზრდება. ღმერთმა სიკეთე ნუ მოგვაკლოს, მაგრამ თუ მომავალში თავს გარდასახდენი ფათერაკი გარდუვალია, თუ კი ისედაც ბინდის ფერი სოფელი, უფრო და უფრო დაგვიბინდდება, ნუმც მომხდარიყოს ის, რაც აროდეს მომხდარა. დაე, განსაცდელთან მებრძოლებად დავრჩეთ მარად, რომ „შეუპოვრად კვლავ ჰყვნე ჩვენი შავის ბედის წინ გამოგვიქროლდეს". უარესისათვის მზად ყოფნა ხომ უკეთესის საწინდარია! ამიტომ მხიარულის გულით ამასაც ვიტყვით: უფალს ვინც უყვარს, განსაცდელსაც მას უმზადებს, ვინაიდან განსაცდელთა ემბაზში განბანილთა ჰვრეტაა მისი განცვიფრებისა და აღფრთოვანების უშრეტი წყარო.

წარსული და აწმყო ჩვენი ერისა მეტად თუ ნაკლებად ცნობილია, ათასგზის და ათასგვარად გაანალიზებული, ქართველის ბუნება და ხასიათი ასე თუ ისე გარკვეული და საქართველოს ისტორიული მისიაც რამდენადმე სათვალსაჩინოებული მათთვის, ვინც ეროვნებათა ისტორიას, მსოფლიოს ერთიან ისტორიასთან მჭიდრო კავშირში განიხილავს. ერის მისია კი განისაზღვრება სხვებისაგან გამოსარჩევი იმ თავისებურებებით, მის ხასიათში, მის საქმიანობაში, მისგან მომდინარე იდეებში რომაა მოცემული და რომელიც მას მიაქვს მსოფლიო კულტურის სამსხვერპლოზე როგორც შეთავაზებული, ზოგჯერ კი, საუბედუროდ, როგორც თავს მოხვეული ძღვენი.

დიახ, ასე თუ ისე, ძალგვიძს განსაზღვრა იმისა, რითაც წარსულმა გვიმასპინძლა, თუ რანი ვიყავით უწინ და რანი ვართ ამჟამად. მაგრამ წარსულზე ფიქრი, მომავლისათვის მზადებასაც ხომ ნიშნავს?! ჩვენ კი გვაწვალებს არა იმდენად წარსული, რამდენადაც გარდასახდენი. რა გველის მომავალში? როგორი ვიქნებით მერმისში? კვლავაც იმგვარი შემართებით შევეგებებით ბედს, თუკი მრუმე ფერით შეიმოსება იგი? კვლავ თავის შენარჩუნებაზე გვექნება საფიქრალი, თუ იმდენად აღვემართებით, ისეთ ძალას მოვიკრებთ, რომ სხვათა იმედად და ხელის მომმართველადაც კი გადავიქცევით. კმარა წელებზე ფეხის დგმით თავის შენარჩუნებაზე ფიქრი. დროა დიდ ერად ქცევაზე ოცნების ჟამმა დარეკოს. დაე, არწივის ფრენას ედაროს ოცნება იგი, რათა ოცნება მიზნად იქცეს, მიზანი კი საქმედ.

მოდით, ორიოდე სიტყვა ვთქვათ „დიდი ერის" ჩვენეული გაგებისათვის. „დიდის" ქვეშ ვგულისხმობთ მისაბაძს, სამაგალითოს და არა სამუდამო პრივილეგიას, ვგულისხმობთ იმ უპირატესობას, ამა თუ იმ ეროვნებასა თუ ხალხს თავის მონდომებით, ქცევითა თუ საქმიანობით, ხასიათად და მაღალ უნარად რომ უქცევია. ეს თვისებები მისაბაძი ხდება სხვებისათვის და ის ხალხები, დღეს რომ მისგან სწავლობენ და ბევრით არიან დავალებული, ხვალ შესაძლოა გაუთანასწორდნენ ან გადაასწრონ კიდეც მას, რისი მაგალითებიც უამრავია ისტორიაში. ბევრი რამ შეიძლება იყოს მისაბაძი: სიმამაცე, გამტანობა, ერთგულება, სიყვარული, სიბრძნე, შემოქმედებითი უნარი, თავისუფლების მოყვარეობა, ქედუხრელობა, შემწყნარებლობა, ხელგაშლილობა, სიუხვე, კონცენტრაციის, შრომისა და სიძნელეთა გადალახვის უნარი, ორგანიზებულება, მეობის, დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის, ამავე დროს, სხვათა უფლებების პატივცემის გრძნობა და ა. შ.

შესაძლოა გვითხრან: რაოდენობით არა, სულიერი სიმტკიცით, ისტორიითა და კულტურით ისედაც დიდი ერი ხართო. მართლაც, სისასტიკითა და ხანგრძლივობით რომელი ქალაქისა თუ ქვეყნის ბლოკადა შეედრება იმ ბლოკადას, ჩვენს შესამუსრავად ალესილმა უსასრულო წყვდიადმან მტრისამან რომ მოგვიწყო და საუკუნეების მანძილზე მოგვწყვიტა ერთმორწმუნე ტყვეობას.

ბლოკადა, არა მარტოოდენ სისხლისმღვრელი, არამედ ანტიკულტურულიც; სარწმუნოების, მეობის, კულტურის, სახელმწიფოებრიობის და არსებობის შესანარჩუნებლად ბრძოლისათვის თუ კი შეიძლებს რომელიმე ერს „დიდი" ეწოდოს, უპირველეს ყოვლისა — საქართველოს. არც ერთ მიწას არ განუცდია ასეთი დაწოლა. კავკასიონის მთების საგაზაფხულო წყალდიდობაც ვერ შეედრება აქ დანთხეული სისხლის მდინარეებს, რომელთა ავბედით კალაპოტს განუწყვეტლივ ალავსებდნენ მის მყინვარებზე არანაკლებ მარადიული ომები. განუზომლად დიდია იმ პრინციპების ღირებულება, რისთვისაც საქართველომ ეს სისხლი გაიღო. მაგრამ ზემოთქმულისათვის ს „დიდ ერად" არავის შევურაცხვივართ, რადგან დიდ ერად მიაჩნიათ არა ის, ვინც საკუთარ ღირსებასა და მეობას იცავს მხოლოდ, რაგინდ ვაჟკაცურადაც არ უნდა იბრძოდეს იგი, არამედ ის, ვინც თავისი კულტურითა და იდეებით ხანგრძლივად და ინტენსიურად ზემოქმედებს სხვა ხალხებზე და განაპირობებს მათ განვითარებას. მაგრამ აქამდე რომ ვერ მოვხვდით მსოფლიოს მეთაურ ერთა მცირერიცხოვან ნუსხაში, ეს როდი ნიშნავს, არ ძალგვედვა, ან მომავლისათვის არ ძალგვიძს ამგვარი რამ. საკუთარი მეობისა და ღირსების დაცვისათვის ბრძოლაში სამაგალითო ერს, სხვებზე ნაკლებად როდი ხელეწიფებოდა მეთაურ ერად გადაქცევა, მაგრამ განგებამ და ისტორიამ სულ სხვა მისია დაგვაკისრა. ჩვენი მეობის, რწმენისა და სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებით, რამდენადმე უნდა გავვეთიშა მუსულმანური გარემოცვა, ჩაგვეკეტა კავკასიონის კარიბჭე და აღგვეკვეთა ანტიკულტურული იმპულსების შეჭრა სამხრეთიდან აღმოსავლეთ ევროპაში. ეს გახლდათ საქართველოს სამეფოს, ასე ვთქვათ, ფარული მისია, ძნელად აღსასრულებელი და საკუთარი კეთილდღეობისათვის არასასარგებლო, მაგრამ მსოფლიო კულტურის განვითარებისათვის აუცილებელი. ამ მისიას რომ წარმატებით გაართვა თავი ქართველმა ერმა, მხოლოდ ამისათვის შეიძლება ეწოდოს მას დიდი ერი და ეს ალბათ ასეცაა უფლის თვალში. მაგრამ მსოფლიო ხალხების თვალში ჯერჯერობით ის კი არა ჩანს უფრო, თუ საქმეთა შენთა გამო რისი გაკეთება ვერ შესძლეს საპირისპირო ძალებმა, არამედ ვინ უფრო განავრცო თვისი იდეები და კულტურა სხვა ხალხებში და ამით ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა მიანიჭა მათ. ჩანს უფრო ხილული და არა ფარული საქმეთე.

კულტურულ-ისტორიული მისიის თვალსაზრისით, საქართველო უფრო დაფარული სიკეთის ქვეყანაა, რომლის მნიშვნელობა თვით მის მრავალ საუკეთესო შვილსაც კი არ ჰქონია ბოლომდე გაცნობიერებული. ცნობილია ევროპულ ფილოსოფიაში არსებული აზრი კავკასიის უძველესი მისიის შესახებ, სახელდობრ, რომ კავკასია ევროპის ხალხთა აკვანია. ცნობილია ემანუილ კანტის არც თუ უსაფუძვლო აზრი ქართველთა და ჩერქეზთა როლისათვის აღმოსავლეთის ხალხთა გაკეთილშობილების საქმეში. მაგრამ ის ამბავი, რომ ოდითგანვე საქართველო იდგა უძველეს სამხრეთულ და უახლოეს ჩრდილოურ ხალხებს შორის და თავისი მეობის შენარჩუნებისათვის ბრძოლით არ აძლევდა მათ აღრევის საშუალებას, რათა არ დარღვეულიყო ხალხების კულტურათა მონაცვლეობისა და თანამიმდევრობის ურყევი მსოფლიო კანონი, უწყოდნენ მხოლოდ მათ, ვისაც დროისა და ერის სულთა ფარულ, ურთიერთშეთანხმებულ ქმედებათა წვდომა ძალუძს. კულტურათა მონაცვლეობის ეს წრიული მდინარება ჯერ სამხრეთიდან მოერკალა საქართველოს, ანტიურ პერიოდში დასავლეთიდან მოექცა მას, შემდეგ შუა ევროპაში გადაინაცვლა და როდესაც უკვე გლობალურ მასშტაბებამდე აღზევებული ევროპული კულტურის შესისხლხორცებას შეუდგა, რუსეთი ჩრდილოეთიდან წამოადგა თავს. ასე რომ, საქართველო კულტურათა თანმიმდევრობისა და ცნობიერების ევოლუციის ამ წრიული მდინარების ცენტრში იმყოფებოდა. იგი არა მარტოოდენ სივრცულ, არამედ განგებით დროთა გამყოფსა და გამწესებელსაც წარმოადგენდა, რადგან ამ ხალხების კულტურათა განვითარებას თავთავისი დრო ჰქონდა განწესებული და მათი აღრევა არც თითოეული მათგანის მისიისა და არც ერთიანი მსოფლიო კულტურის განვითარებისათვის იქნებოდა მიზანშეწონილი.

დიახ, ნებისმიერ ხალხს გააჩნია საკუთარი მისია და თავისი დრო შემოქმედებისა ჟამთა დინებაში განფენილი ერთიანი საკაცობრიო კულტურის გრადაციის უვრცეს სხეულში. ოდითგან ასე იყო: როდესაც ერთი ხალხი ქმნიდა კულტურას და შემოქმედებითი ენერგიის ხარჯვის პროცესში იმყოფებოდა, მეორე იცდიდა, გარკვეულ დრომდე ცნობიერების ბავშვურ დონეს ინარჩუნებდა და, შემოქმედებით ენერგიას ინახავდა შემდგომისათვის, რათა მარცვალი წინა კულტურათა მონაპოვარისა მიელო თავის სუფთა, ხელუხლებელ წიაღში, მომავლისათვის ცნობიერების უფრო აღმატებულ დონეზე დასაუფლებლად. უხსოვარი დროიდან ინდოეთის, სპარსეთის, შუამდინარეთის, ეგვიპტის, ისრაელის და არაბეთის სამხრეთულმა ხალხებმა, ურთიერთის მიმდევრობით შექმნეს მსოფლიოს უდიდესი რელიგიები და მათთან დაკავშირებული კულტურები, რომელთაც იგავურ-სიმბოლური, სურათხატოვანი აზროვნება მიესადაგება. ცნობიერების ამგვარი დონისათვის უფრო სამხრეთის უზომო, მთელი წლის მანძილზე მზით გამთბარი-განათებული, შეგრძნების ორგანოებზე ინტენსიურად ზემომქმედი გარემო იყო მიზანშეწონილი და კაცობრიობის ბავშვობისა და სიყრმის ასაკიც უფრო სამხრეთის ხალხების აქტიობასთანაა დამოკიდებული. მუდმივი ზაფხული, ფერთა და ფორმათა განუწყვეტელი მეტამორფოზა გარესამყაროში აღაგზნებდა სამხრეთელთა საგრძნობელს, ხოლო გონებას რამდენადმე აბინდებდა. საგანზე ფიქრი კი მაშინ აღიძვრის, როგორც კი მზერას მოაცილებ მას. ამ დროს ჯერ ამ საგნის სურათ-ხატი იშვის ადამიანში, ხოლო შემდეგ აზრები იწყებენ აღმოცენებას, არა უშუალოდ საგნებიდან, არამედ ამგვარ სურათ-ხატებთან დაკავშირებული აზრების მეშვეობით ადგენს ადამიანი სხვაობასა თუ მსგავსებას ფორმათა თუ მოვლენათა შორის, ივითარებს განსჯისა და ცნობადობის უნარს. შეგრძნების ორგანოთა განუწყვეტელი და ინტენსიური დატვირთვა ნაწილობრივ გამორიცხავდა ამგვარ შესაძლებლობას სამხრეთელ ხალხებთან, სურათხატები და ნ კვლავ საგნებთან აბრუნებდა მათ, რითაც აფერხებდა აზრების აღმოცენებას, (სამხრეთული, არამისტერიული აზროვნება უფრო საგნისმიერია. ემპირიზმი და მეცნიერული მატერიალიზმი, ყველაფერი, რაც მეტაფიზიკას და წმინდა გონებას დაუპირისპირდა, ან სკეპტიკურად განეწყო მისადმი, არაბიზმიდან აღმოცენდა. არაბიზმისათვის უცხოა მეტაფიზიკა). ამიტომ არიან დღესაც სამხრეთელი ხალხები რამდენადმე ინერტიულები აზროვნებაში, ვინაიდან გარემოდან გამოთავისუფლების ნაკლები შესაძლებლობა გააჩნიათ. სამაგიეროდ, მათ გამახვილებული აქვთ გრძნობები და ხატოვანი აზროვნება. პოეზია და ლოცვითი ექსტაზი მათთვის მეტადრე ახლობელი. გარემოდან სულიერ იზოლირებას ისინი ოდითგანვე ქვაბურების ან უდაბნოთა მეშვეობით აღწევდნენ, რომელთა სიმკაცრე და ერთფეროვნება რამდენადმე ანელებდა შეგრძნების ორგანოებზე ზემოქმედებას და სამედიტაციოდ განაწყობდა მათ. არსებობდა სხვა სულიერი საშუალებებიც. წმინდა აზროვნებას იმჟამად მოკლე მედიტაციურ ფორმულებზე კონცენტრაციით აღწევდნენ, რასაც ხელდასხმული მოძღვრები ხელმძღვანელობდნენ. იმ ხანებში სალო ცნობიერება მხოლოდ მისტერიებს ზიარებული მცირერიცხოვანი ელიტის საკუთრებას წარმოადგენდა.

თანამედროვე განსჯითი და გონითი აზროვნების განვითარებას კი უფრო იმგვარი გარემო შეესატყვისებოდა, სადაც ზაფხული და ზამთარი რამდენადმე გაწონასწორებულია. შემთხვევით როდი მიეწერება ფილოსოფიური და მეცნიერული სისტემების შექმნა ჩრდილოეთის ხალხთა დამსახურებას. კაცობრიობის სიჭარმაგისა და დაბრძენების ასაკი სწორედ მათი აქტიურობის ხანას ემთხვევა. დავუკვირდეთ იმ ამბავსაც, რომ წელიწადის ციკლში ადამიანის აზროვნების ინტენსივობის პერიოდი შემოდგომა და ზამთარია. შემთხვევითი არა, როცა სწავლება ყველგან ზაფხულის პერიოდში წყდება და მხოლოდ შემოდგომაზე ახლდება. კაცობრიობა არა განყენებული თეორიების, არამედ ხანგრძლივი ცხოვრებისეული დაკვირვებების შედეგად მივიდა ამგვარ გადაწყვეტილებამდე, ანუ დასკვნამდე.

(დასასრული მე-6 გვ.)

(დასასრული)

რომ ზაფხულიდან შემოდგომასა და ზამთარზე გადასვლა გრძნობისმიერიდან ცნობიერ ცხოვრებაზე გადასვლას შეესატყვისება და არც ამაოდ ჩაივლის გაზაფხულისა და ზაფხულის მაესთეტიზებელი, სამშვინველის ექსტაზში მომყვანი პროცესი. გრძნობათა ორგანოების არსებით მართლაცდა ექსტაზად გადმოღვრილი და გარე სამყაროსთან შერწყმისაგან ცნობამიხდილი სამშვინველი, შემოდგომასა და ზამთარში კვლავ ადამიანის წიაღს უბრუნდება და ზაფხულის მაკროკოსმიურ გრძნობად შთაბეჭდილებებს მიკროკოსმოსად, ანუ მე ცნობიერებად გარდაქმნის. სწორედ შემოდგომა და ზამთარია ადამიანის აზროვნებითი იმტენსივობის პერიოდი, რადგან სითბო, სინათლე და ფერთა ელვარება კლებულობს, გარე სამყარო იძარცვება და შეგრძნების ორგანოებზე ზემოქმედებას ანელებს, რაც თვითჩაღრმავებასა და „მე"-ს აქტივობას იწვევს.

ლოგიკური და მეცნიერული აზროვნების განვითარებისათვის ერთობ ხელშემწყობი პირობები გააჩნდა ევროპას, გოლფსტრიმის თბილი დინება, ჩრდილოეთიდან რომ უვლიდა გარს და არხანგელსკთან მთავრდებოდა, ზომიერი ჰავით აუნჯებდა და ტუნდრად გადაქცევის საშუალებას არ აძლევდა მის ჩრდილოეთ სანაპიროს, ხოლო ხმელთაშუა ზღვა აგრილებდა, სინესტით მსჭვალავდა აფრიკის უდაბნოდან მონაბერ ცხელ-მშრალ ქარებს და უდაბნოდ გადაქცევისაგან იფარავდა მისსავე სამხრეთ სანაპიროს. მთელს ევროპაში მეტ-ნაკლებად გაწონასწორებული გახლდათ ზაფხულის და ზამთრის პერიოდები და განსჯისმიერი აზროვნების აკვანიც აქ დაირწა.

გარდამავალ პერიოდს ხატოვანიდან განსჯისმიერ აზროვნებაზე გადასვლისა ანტიური ხანა წარმოადგენდა. უფრო ძველმა, წინააზიის, ეგვიპტისა და კრეტის კულტურებმა მისცეს ოდესღაც ბიძგი ბერძნული ხატოვან-მითოლოგიური აზროვნების განვითარებას, რომელმაც შემდეგში შემოქმედებით ძალთა მაქსიმალური ინტენსივობის შედეგად, უმაღლესი გამოხატულება ჰპოვა ლიტერატურასა და ხელოვნებაში: ჰომეროსის, ჰესიოდეს, ესქილეს, სოფოკლეს, ევრიპიდეს, პრაქსიტელეს, ფიდიასის და სხვათა შემოქმედებაში.

მაგრამ ბერძნებმა გარიყრაჟი ხატოვანი აზროვნებით რომ აღნიშნეს, მიმწუხრი თავიანთი კულტურისა ფილოსოფიით დააგვირგვინეს. შემთხვევით როდი ეკრძალებოდათ პლატონის აკადემიის შეგირდებს ჰომეროსის კითხვა. ჰომეროსის პოეზია ერთთავად გამსჭვალულია მითოლოგიური სახეებით. არაფერი შეგვეშლება თუ კი ვიტყვით, რომ იგი საოცარი პოეტური ფორმით გამოხატული მსოფლიოს სიმბოლურ-მითოლოგიური აზროვნებისა და საკრალური სიბრძნით დაუნჯებული, ზეშთაგონებული ზუსტი ფანტაზიის მწვერვალთაგანია. მითოლოგიის ხატოვანი აზროვნება, ოდითგანვე პოეზიისა და ხელოვნების მასაზრდოებელ წყაროს რომ წარმოადგენდა, განუყრელია პოლითეიზმთან. რაც შეეხება წმინდა აზროვნების სპეციფიკას (როგორც ამას ფილოსოფიის განვითარების ისტორია ცხადყოფს), ერთი მხრით, იგი მითოლოგიურ ღმერთებს შესაბამისი ცნებებით ცვლის (მაგალითად, აფროდიტეს, ათენას, არესს სიყვარულის, სიბრძნის და ვაჟკაცობის ცნებით და ა. შ.) და ამკვიდრებს მხოლოდ სამყაროს შემომქმედ ღმერთს, დემიურგს, აბსოლუტურ იდეას, რითაც მონოთეიზმთან მიგვაახლებს. მეორეს მხრივ, სუბიექტურ სამყაროსთან დაკავშირებით მას მე-ს გაგებამდე მივყავართ. (მხოლოდ ევროპული თეოლოგია, განსაკუთრებით კი თეოსოფია ამთლიანებს სამებად წარმოჩენილ მონოთეიზმსა და ანგელოსთა იერარქიულ კიბედ გარდაქმნილ პოლითეიზმს). პლატონის აკადემიის ძირეული მიზანი გახლდათ კაცობრიობის (კონკრეტულ შემთხვევაში ბერძნების, მონოთეიზმთან მიყვანა და ამის განმახორციელებელი უებარი საშუალების, წმინდა, ლოგიკური (კონკრეტულ შემთხვევაში, განსჯითი) აზროვნების დანერგვა. ამადაც ჰომეროსის პოემების ხატოვან ენას ხელი არ უნდა შეეშალა აკადემიის შეგირდებისათვის ლოგიკური აზროვნების ათვისების საქმეში, რომელიც იმჟამად მსოფლიო კულტურის სავსებით ახალ მონაპოვარს წარმოადგენდა. სწორედ ამ აკადემიის შეგირდი, არისტოტელე იყო თანამედროვე გაგებით პირველი ლოგიკურად მოაზროვნე ადამიანი, რომელმაც შეიმუშავა მეცნიერული აზროვნების მეთოდი, ანუ გამომხატველი საშუალება ფილოსოფიური და მეცნიერული სისტემების გადმოსაცემად. ცნობიერების ამ ახალმა ეტაპმა შვა სიბრძნის საყოველთაო საკუთრებად ქცევის შესაძლებლობა.

როდესაც ანტიური კულტურის მიმწუხრისას ბერძნული ფილოსოფია და რომის იურისპრუდენცია არნახულ პროგრესს განიცდიდა, ჩრდილო და შუა ევროპის ხალხები ჯერ ისევ ბავშვური, ხატოვანი აზროვნების დონეზე იმყოფებოდნენ. წარმართობიდან ქრისტეს სჯულად მოქცევის შემდეგ საკმაო დროს უნდა გაევლო, ვიდრე ჩაიდებოდა მათში მარცვალი არა მარტოოდენ ბერძნულ-ლათინური, არამედ, აგრეთვე, არაბული კულტურის მონაპოვრისა. ეროვნული კულტურების აღორძინება ამ რეგიონში რეფორმაციის ეპოქის შემდეგ დაიწყო, რასაც ხელი შეუწყო ბიბლიის თარგმნამ და ღმრთმსახურების შემოღებამ ამ ხალხთა მშობლიურ ენებზე, ლათინური ენის ბატონობისაგან თავის დაღწევამ და მეცნიერული აზროვნების გამოთავისუფლებამ ვატიკანის ზედამხედველობისაგან. წმინდა გონითი და ახლადაღორძინებული ემპირიული მეთოდების გვერდიგვერდ არსებობამ, ემპირიული, განსჯითი და გონითი საწყისების გამთლიანებამ და შემეცნების სამსახურში დაყენებამ უზარმაზარი ძვრები მოახდინა ადამიანის თვითშემეცნებისა და მსოფლშემეცნების სფეროში, რამაც მძლავრი ნახტომი გამოიწვია ფილოსოფიის, მეცნიერებისა და ტექნიკური გამომგონებლობის საქმეში. ტექნიკის განვითარებამ გაზარდა დედამიწაზე გადაადგილების ტემპები და უსაფრთხოება. ამ უკანასკნელმა კი დააჩქარა ახალი მიწების აღმოჩენა, ათვისება, კოლონიზება და გააძლიერა კონტაქტები დედამიწის უშორეს კუთხეებს შორის. თანდათან მთელი მსოფლიო მოექცა ევროპელთა ხედვის არეში, თავისი ხალხებით, ფლორით, ფაუნით და მინერალურ-წიაღისეული საუფლოთი. ევროპის კულტურამ ერთობ ფართე, გლობალური მასშტაბები მიიღო, რასაც ხელს უწყობდა ზეეროვნული ბუნება და ყოვლისმომცველობა აზროვნებისა. აქედან გამომდინარე, არნახული გაქანება მიიღო ფაქტობრივი მასალების დაგროვებამ, ისტორიის, არქეოლოგიის, გეოგრაფიის, საბუნებისმეტყველო, სამედიცინო და სხვა მეცნიერების განვითარებამ. სხვადასხვა ხალხთა და ეპოქათა კულტურები ერთ სიბრტყეზე მოექცა და ადამიანებს მიეცათ მათი რეტროსპექტიული ჭვრეტის შესაძლებლობა. ანალიზური და სინთეზური აზროვნების ინტენსიფიკაციამ შექმნა საფუძველი სამყაროს მრავალმხრივი შემეცნების ერთიანობაში მოქცევისა და სისტემატიზებისა. დაიძლია გარკვეული სკეპსისი გრძნობათა ორგანოებისა და აზროვნების მიმართ, ნათელი გახდა, რომ დაკვირვების როგორც ფიზიკური, ისე სულიერი ობიექტი არის რეალობა, რომ აზროვნებას ძალუძს შეიმეცნოს საგანი თავისთავად, რომ მეცნიერება უმაღლეს დონეზე სხვა არაფერია, თუ არა სამყაროთმცოდნეობა, რომელსაც თავად შემოქმედის ლაბორატორიაში შეუყავხარ, რომ აზროვნება ერთდროულად არის ობიექტური სამყაროს, ანუ სულიერი და ფიზიკური რეალობის შემეცნების საშუალებაც და როგორც სუბიექტური პროცესი, ადამიანის მე-ს გამოხატულებაც. ემპირიული დაკვირვებისა და ცდის ობიექტად იქცა არა მარტოოდენ ბუნება და გარესამყარო, არამედ თავად აზრები და აზროვნების პროცესი, რამაც გაზარდა მედიტაციის უნარი და სიმახვილე ინტუიტიური წვდომისა, ამ უკანასკნელმა კი გააღრმავა ცოდნა ადამიანისა და მისი სამყაროსადმი მიმართების შესახებ. კაცობრიობა თანდათან უახლოვდებოდა ცნობიერების ახალი ეტაპისა და ახალი უნივერსალური მეცნიერების—ანთროპოსოფიის კარიბჭეს.

მსოფლიოს წამყვან კულტურათა თანამიმდევრობის ჟამს ზღაპრების საუფლოში მიკარგული და მხოლოდ კიევისა და ნოვგოროდის სამთავროთა შექმნიდან რუსეთად სახელწოდებული სკვითეთი იცდიდა. ბერძნული მართლმადიდებლობის მიღებამ თუმცა რამდენადმე გამოაცოცხლა, მაგრამ ბოლომდე ვერ გამოიყვანა იგი ატავისტური ძილქუშიდან, ვერ მოაბრუნა იგი დღის ცნობიერებისაკენ. მისთვის განწესებულ დროს ელოდა იგი. ელოდა, ვიდრე მსოფლიო კულტურა გლობალურ მასშტაბებს მიაღწევდა, რათა ეროვნული სამშვინველის გაუკვალავ ყამირზე მიეღო იმპულსები მხოლოდ გლობალური ახალევროპული კულტურისა. მანამდე კი იგი დაცული უნდა ყოფილიყო ქრისტიანობამდელი რელიგიებისა და კულტურების ზეგავლენისაგან. აქ უნდა ვეძიოთ ერთადერთი ახსნა უკანასკნელის პირველად ქცევის სახარებისეული გამონათქვამისა. ხალხი, რომელიც კულტურათა თანმიმდევრობის პროცესში ყველაზე მეტს იცდის და ინახავს შემოქმედებით ენერგიას, უფრო მასშტაბური კულტურის იმპულსთა მისაღებად ამზადებს თავს და ცხადია წინარე უკვე კონსერვირებული კულტურების მქონე ხალხებთან შედარებით, მომდევნო ეტაპზე მან სულიერი განვითარების კიდევ უფრო მაღალ დონეს უნდა მიაღწიოს. ოდესღაც მეზობლების მიმართ არააგრესიული, მაგრამ აგრესორთა წინააღმდეგ ჩიადაგ მედგრად მებრძოლი საქართველო თითქმის გამორიცხავდა სკვითეთში სამხრეთელი ხალხის შეჭრას და სლავურ მოსახლეობაზე მათი უძველესი კულტურების ზეგავლენას, კულტურებისა, რომელნიც უფრო ეროვნული, ლოკალური ხასიათისანი იყვნენ და რომელთა ზეგავლენა ხელს შეუშლიდა რუსეთს თავისი კუთვნილი და საბოლოო მისიის განხორციელებაში.

შემდგომშიც ჩვენ და სომხები ვიდექით კავკასიონის კარიბჭის დარაჯებად, როგორც სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ წაწეული ფორპოსტები ქრისტიანობისა და ვაკავებდით ისლამურ ურდოებს. ჩვენს ფარზე ბლაგვდებოდა სიბასრე მათი მახვილისა, ჩვენ ვაცლიდით მათ კავკასიონის იმიერ მოქმედების უნარს, თუმცა, მეათე საუკუნის შემდეგ სომხეთი, როგორც სამეფო, აღარ არსებობდა, მაგრამ სომხებს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ საუკუნეების მანძილზე აუტანელი რელიგიური დევნის მიუხედავად, მათ მაინც შეძლეს ქრისტიანობის შენარჩუნება. ზემოხსენებულ ისლამურ ურდოებს ისევე ხანგრძლივად რომ ეთარეშათ რუსეთში, როგორც კავკასიაში დათარეშობდნენ, შესძლებდა კია იგი ქრისტიანობის შენარჩუნებას? გაუძლებდა იგი იმგვარ რელიგიურ დევნას, ჩვენ რომ ვიწვნიეთ, მით უმეტეს, რომ ქრისტიანობა რუსეთში არც თუ დიდი ხნის წინათ გახლდათ ფეხმოკიდებული? ხომ შესძლეს სამხრეთელმა დამპყრობლებმა ჩრდილოეთ კავკასიის გამუსულმანება? ამგვარი ხვედრი შესაძლოა რუსეთსაც არ ასცდენოდა, რადგან ეს ურდოები არა მარტო დამპყრობლურ, არამედ გაფთრებულ რელიგიურ ომებსაც ეწეოდნენ და თავიანთ რელიგიას ფანატიური გულმოდგინებით ახვევდნენ თავს არამუსულმან ხალხებს. ქრისტიანობის დაკარგვით კი წერტილი დაესმებოდა რუსეთის კულტურის შემდეგ ევოლუციას.

მოგვიანებით თურქეთის იმპერიას, ევროპას რომ აზანზარებდა, სამი დაბრკოლება უღობავდა გზას რუსეთისაკენ: შავი ზღვა, კავკასიონი და საქართველო. ბიზანტიის მსგავსად, მათ რომ საქართველოს სამეფოს მოშლა მოეხერხებინათ, ან ქართველები გაემუსულმანებინათ, ვინღა შეუშლიდათ ხელს, ამიერკავკასიის ხალხებთან ერთად თავიანთი იმპერიისათვის შემოემტკიცებინათ ჩრდილოეთ კავკასიის მუსულმანი ხალხები და უშუალოდ, მჭიდროდ დაკავშირებოდნენ ხმელეთიდან ყირიმის სახანოს. მაშინ ხომ მთელის ძალებით და ფართე ფრონტით მიადგებოდნენ რუსეთს, პეტრე პირველამდელ რუსეთის სამეფოს, რომელსაც ჯერ არ ჰყავდა ევროპულ ყაიდაზე გაწვრთნილი, რეგულარული ჯარები და ყირიმის სახანოსაც კი ძლივს უმკლავდებოდა?

მხოლოდ პეტრე დიდის რეფორმების შედეგად მოისპო სამხრეთიდან მოსალოდნელი საშიშროება. მისი ენერგიული მცდელობის მეოხებით, არნახული ნახტომი გააკეთა რუსეთმა თავისი განვითარების გზაზე. ბიზანტიური კულტურის გზიდან ახალევროპულ გზისაკენ გადაიხარა იგი. ბალტიის, ხოლო შემდეგ შავ ზღვაზე გასვლით საბოლოოდ დამკვიდრდა ევროპის ქვეყნების რეგიონში, როგორც ერთ-ერთი ძლიერი სახელმწიფო, ახალი ევროპული ტიპის ადმინისტრაციული აპარატით, ძლიერი ფლოტით და ევროპულ ყაიდაზე გაწვრთნილი რეგულარული ჯარით, აღმშენებლობის, მეცნიერებისა და ვაჭრობის ახალი მასშტაბებით.

პეტრე დიდს რომ დაუნანებლად არ გაეწირა ძველი ახლისათვის*, რომ არ შემოეტანა რუსეთში ქრისტიანულ-ანტიურ-არაბული კულტურების სინთეზზე აღმოცენებული ახალი ევროპული კულტურისა და ცივილიზაციის მონაპოვარი, მაშინ რუსეთის მისიაც ამოწურულად ჩაითვლებოდა, როგორც ერთ დროს ბიზანტიისა, რომელმაც ვერ შესძლო ქრისტიანობის ანტიურ კულტურასთან შეწყვილება და გლობალურობისაკენ საეტაპო ნაბიჯის გადადგმა და ამით ქრისტიანობასაც ვერ ჩასწვდა იმ დონეზე, რა დონესაც ეპოქა მოითხოვდა; ქრისტიანული კულტურის ჭეშმარიტი გაგება სცილდება ბიბლიის ფარგლებს, რამეთუ, მაღალი გაგებით, იგი კულტურათა სინთეზის კულტურაა. პეტრე დიდმა დაიწყო იქ, სადაც ბიზანტიის ერის სულმა დაასრულა თავისი მოქმედება და ძილქუშიდან იძულებით გამოიყვანა რუსეთი, ევროპული მღვიძარებითა და ქმედითობით აუცრა სამშვინველი, რითაც მისი მომავალი უზრუნველყო: პეტრე დიდის გარეშე ხომ არც ლომონოსოვი** იქნებოდა. ლომონოსოვის გარეშე კი არც მთელი შემდგომი რუსული ლიტერატურა და მეცნიერება.

ასე რომ, პეტრე დიდის რეფორმებთან ერთად დასრულდა საქართველოს ფარული მისია რუსეთის მიმართ, გარეგნულად თითქმის მთელი მისი ისტორიის მანძილზე, უმძიმეს პირობებში საკუთარი ღირსების, მეობის, სარწმუნოების და სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში რომ გამოისატებოდა. ამ მისიას, როგორც ადრე აღვნიშნეთ, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მსოფლიო კულტურის, შემდგომი ევოლუციისათვის. ამის შემდეგ ქართველი ხალხის მომავალი მთლიანად არის და იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ შესძლებს იგი თავისი ახალი, არაფარული, არამედ უკვე თვალსაჩინო მისიის განხორციელებას, რათა მსოფლიოს ხალხთა თვალშიც იქცეს მისაბაძ ერად, დიდი ქართველი მწერალი კონსტანტინე გამსახურდია თავის ერთ-ერთ ადრეულ წერილში აღნიშნავდა: ქართველი ხალხი უფრო აღმქმელი, მსოფლიო კულტურის უფრო მაღალ დონეზე ამთვისებელია, ვიდრე სხვა ხალხთა კულტურებზე აქტიურად ზემომქმედი. მართლაც, ოდითგანვე ქართველობამ მაღალ დონეზე აითვისა და ურთიერთთან შეაჯერა დასავლეთისა და აღმოსავლეთის კულტურები. სხვადასხვა კულტურების ურთიერთთან შეჯერების მადლი ძველთაგანვე მოსდგამდა მას და ამიტომაც რენესანსის ერთ-ერთი პიონერები ქართველები იყვნენ. რენესანსის კულტურის მთავარი იდეა, წარმართული კულტურის განახლება და აღორძინება, ქრისტიანობასთან მისი მორიგებით, ქართველ ხალხში იმთავითვე იყო გამჯდარი არა როგორც რაიმე აბსტრაქცია, არამედ ვითარცა მისივე ბუნების გამომხატველი არსისეული საწყისი. არსად ისე არ შეზრდია ქრისტიანობას ადგილობრივი წარმართობა, როგორც საქართველოში. ქართველ კაცს არ მიუღია ქრისტიანობა თავისი კოსმიური და კაცობრიული წარმოდგენებისაგან მოწყვეტით. ცნობიერად თუ ქვეცნობიერად მასში ცოცხლობდა ქრისტეს მარადიული არსებობის, მისი პირველითგან ყოფნის იდეა (აქ საუბარია ერის ყველაზე ცნობასრულ წარმომადგენლებზე). იგი ხვდებოდა, რომ ქრისტეს განკაცება, ჯვარცმა, მკვდრეთით აღდგომა და ცად ამაღლება, გარდამწყვეტი, მაგრამ მაინც ერთ-ერთი ეტაპია მისი ზემოქმედებისა კაცობრიობაზე; რომ განკაცებამდე, კოსმიური ქრისტე ასევე მოქმედებდა არა მარტო ებრაელი, არამედ სხვა ხალხების კულტურებზეც. იგი ბუნდოვნად, მაგრამ მაინც ხვდებოდა იმას, რასაც დღეს ცხადად წარმოგვიჩენს თანამედროვე სულიერი მეცნიერება, **ანთროპოსოფია**. ანთროპოსოფიის ფუძემდებელმა, **რუდოლფ შტაინერმა** წარსულის მრავალ საიდუმლოზე აგვიხილა თვალი.

---

* ეს არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს ახალი ევროპული კულტურის დანერგვით პეტრე დიდმა ზიანი მიაყენა მართლმადიდებლური კულტურის მონაპოვარს, დღესაც რომ რუსული კულტურის მშვენებას წარმოადგენს. ევროპულ კულტურას იმჟამად მხოლოდ თავადაზნაურობა ეზიარა, ხალხისათვის კი დიდი ხნის მანძილზე მართლმადიდებლობა რჩებოდა ახლობელი.

** რუსული კულტურის მამამთავრის, ლომონოსოვის შემოქმედებაში გამთლიანდა ევროპული და მართლმადიდებლური კულტურების მონაპოვარი. ამიტომაც ის ცალმხრივობანი „ზაპადნიკების" და „სლავიანოფილების" ანტაგონიზმმა რომ წარმოშვა, არ შეესაბამება რუსული კულტურის ახალ ეტაპს ამ ორი ნაკადის შეხმატკბილებას რომ გულისხმობს. თუმცა, ძიების პროცესში, საწყის ეტაპზე, ამგვარი დაპირისპირებანი არ წარმოადგენდნენ მოულოდნელობას. ზემოხსენებული სინთეზის კლასიკური მაგალითებია გოგოლისა და დოსტოევსკის შემოქმედება, მიუხედავად უკანასკნელის გამოხდომებისა დასავლეთის მიმართ.

დღეგრძელობა ქართველ ერს, გაუმარჯოს თავისუფლებას!“

# ისევ და ისევ ჩვენი 26 მაისი (1918–1981)

ლტოლვილობაში ჩვენი ეროვნული დარაზმვა სამი მთავარი თარიღის ირგვლივ წარმოებდა ყოველთვის. პირველია გლოვის 25 თებერვალი, რომელიც მოგვაგონებს ჩვენს სამშობლოს უდიდეს ტრაგედიას, საბჭოთა რუსეთის ჯარების მიერ დაპყრობას 1921 წლის თებერვალ-მარტში, მეორეა 1924 წლის აგვისტოს ეროვნული აჯანყება, რომელიც კულმინაციური წერტილია ქართველი ხალხის სამნახევარი წლის შეუპოვარი და უწყვეტი ბრძოლებისა, მის დამპყრობელ საბჭოთა ძალაუფლების წინააღმდეგ, მესამე და მთავარი თარიღია 26 მაისი, რომელიც მოგვაგონებს 1918 წლის 26 მაისის დღეს, როცა ქართველმა ხალხმა საჯაროდ, მთელი მსოფლიოს გასაგონად განაცხადა თავისი ნება-სურვილი და გადაწყვეტილება, გამოსულიყო რუსეთის იმპერიის შემადგენლობიდან და შეექმნა დამოუკიდებელი, სრულუფლებიანი ქართული სახელმწიფო.

26 მაისი ქართველი ერის ცხოველმყოფელობის სიმბოლოა, ის ჩვენი ყიბლანაა, რომელიც ამ აზვირთებულ ცხოვრების ტალღებზე მცურავთ ნავსაყუდელის გეზს გვანიშნებს. ამიტომ, ჟამიდან-ჟამად, ყოველწლიურად ვუბრუნდებით მას, მას გუნდრუკს ვუკმევთ და ვადიდებთ.

იქნებ ვინმემ იკითხოს: რატომ მაინცდამაინც 26 მაისით? 1918 წლის 26 მაისს საფუძველჩაყრილმა საქ-ს სახელმწიფომ სრული სამი წელიწადიც კი ვერ გაძლო, მაშინ, როცა ქართველ ხალხს გააჩნია სხვა ბევრად უფრო სახახელო თარიღები თავის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. მაგალითად, დედაქალაქ მცხეთის და ქართლის სამეფოს დაარსება 2500 წლის წინათ, რომელმაც დასაბამი დაუდვა ქართველ ტომების შემოკრებას, ერთი ქართული ენისა და კულტურის შექმნასა და განვრცობას, ქართველი ტომებისაგან ქართველი ერის ჩამოყალიბებას, ან კიდევ, ბაგრატიონების დინასტიის დასაწყისი, რომელიც მეცხრე საუკუნის დამდეგიდან მოყოლებული სათავეში ექცევა სარკინოზთაგან ქართველთა მიწა-წყლის განთავისუფლებას და ერთ სამეფოდ შემოკრებას. მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეთა განმავლობაში, ბაგრატიონებმა ერთ მძლავრ სახელმწიფოდ შეკრეს არა მარტო მთელი საქართველო, არამედ მთელი კავკასიაც.

დიახ, ეს ყველაფერი მართალია და ჩვენ სამართლიანად გვეამაყება ჩვენი ერის ასეთი ბრწყინვალე და დიდებული წარსული. იგი გვაიმედებს მომავალზედაც, რადგანაც ისაა უტყუარი მოწმე ქართველი ხალხის დიდი შემოქმედებითი ნიჭის, უნარის, ენერგიის და მამაცობა-შემართებისა, მაგრამ ამჟამად ჩვენი ეროვნული მისწრაფებების დასაკმაყოფილებლად ის ძველი თარიღები აღარ გამოდგებიან. მასუკან დიდი დრო გავიდა. მის შემდეგ გაჰქრა და გადაშენდა მრავალი სახელმწიფო და ერი, იშვნენ ახალნი. ამ ხნის განმავლობაში დიდი ცვლილებები მოხდა თვით ქართველი ხალხის ცხოვრებაშიც. მანამდე უძლეველი ქართული ლაშქარი იძლია ჯერ ჯალალედინის ხვარაზმელთაგან, შემდეგ მონგოლთაგან. მონგოლების დასუსტების შემდეგ, საქართველოს დაუძინებელი მტერი გახდა სამხრეთ-აღმოსავლეთით სპარსეთი, სამხრეთ-დასავლეთით თურქეთი. ქართველთა მთლიანობა ხელახლა დაირღვა, საქართველო დანაწილდა პატარა სამეფოებად და სამთავროებად. ქართველი ხალხი რიცხობრივად შემცირდა, გაღარიბდა, კულტურულად და ტექნიკურად ჩამორჩა... ქართველმა მეფე-მთავრებმა, რომელთაც ეკლესიის მესვეურებიც ამ საქმეში აქეზებდნენ, მაჰმადიანური საფრთხიდან სარწმუნოებისა და ერის გადასარჩენად, იმ დროს არსებულ ერთადერთ რეალურ მხსნელ ძალას — ჩრდილოეთში გაძლიერებულ მოსკოვის სამეფოს — მიმართეს დასახმარებლად. შედეგი ცნობილია: ცარისტული რუსეთის მთავრობამ, მოხერხებულად ისარგებლა ქართველი ხალხის დაქსაქსულობით, უმწეო საგარეო მდგომარეობით, რომელსაც ის შენილბულად კიდევ უფრო ამწვავებდა, და შინაური აშლილობით, ერთიმეორეზე მიყოლებით დაიპყრო ქართული სამეფო-სამთავროები და განუყოფელ ნაწილად შეუერთა რუსეთის ვრცელ სამეფოს. დასახმარებლად მოწვეულმა რუსებმა დაამხეს ბაგრატიონების ათასწლოვანი ტახტი, ქართველი ხალხის თვითხელმწიფება, ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობა, ქართული ენისა და ქართული კულტურის ბატონობა. საქართველოს სახელი წაიშალა მსოფლიოს რუკიდან. ქართველი სინონიმი გახდა რუსის... ამრიგად, რუსეთის „მეგობრობა“ კიდევ უფრო დამღუპველი გახდა ჩვენი ერისათვის, ვიდრე სპარს-ოსმალოთა მტრობა. ეს „მეგობრობა“ გაგრძელდა 117 წლის განმავლობაში, ქართველი ერის მზე თითქოს ნელ-ნელა სამუდამოდ ესვენებოდა...

მაგრამ ქართული ეროვნული სული ცხოველმყოფელი გამოდგა, ის მაინც გადაურჩა გარუსებას და როგორც კი ხელსაყრელი შემთხვევა მიეცა, ქართველმა ხალხმა კვლავ აღადგინა თავისი დამოუკიდებელი და სრულუფლებოვანი სახელმწიფო. ეს სახელმწიფო გახლდათ საქ-ს დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელშიც შემოკრბა მთელი საქართველო: ამერეთი და იმერეთი, საქ-ს მთა და საქ-ს ბარი. ეს აღარ იყო ძველი, თავად-აზნაურების და მეფე-მთავრების საქართველო, არამედ ერთი და იგივე უფლებებისა და მოვალეობების მქონე თავისუფალ მოქალაქეთა საქართველო, რომელსაც განაგებდნენ საქ-ს მცხოვრებთა მიერ დემოკრატიულად არჩეული წარმომადგენლები.

უდავოა: საქართველოს ამ გაახლებული სახელმწიფოს საფუძვლების ჩაყრაში და შენებაში ერთსულოვნად და მხურვალედ მონაწილეობდა მთელი ქართველი ხალხი, მისი ყველა საზოგადოებრივი ფენა, კლასი თუ პარტია, გარდა უმნიშვნელო რიცხვი ბოლშევიკებისა. საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც წინააღმდეგს ლაპარაკობს, ცდილობს დამალოს ის ბოროტება, რომელიც მან ჩაიდინა მთელი ქართველი ხალხის მიმართ. ეს უპატიებელი ბოროტება იყო, როცა მან ჩვენს ქვეყანას უმიზეზოდ და ქურდულად შემოუსია თავისი ჯარები, რომლებმაც უხეშად გადათელეს როგორც სამშობლოს დამცველ ვაჟკაცთა გვამები, ისე სრულუფლებიანი საქართველოს სახელმწიფოც და ქართველ ხალხს მოუსპეს თავისუფალი, ბუნებრივი განვითარების საშუალება.

1921 წლის თებერვალ-მარტიდან მოყოლებული ქართველი ხალხი იბრძოდა და იბრძვის საბჭოთა რუსეთის ხელისუფლების მიერ მის მიმართ ჩადენილ ბოროტების წინააღმდეგ, ძალით წართმეულ უფლებების აღდგენისათვის, 26 მაისის საქართველოს აღდგენისათვის. 26 მაისის დროშას შეეწირა ურიცხვი მამულიშვილი. 26 მაისის აქტით შექმნილი ქართული სახელმწიფოს პოლიტიკური ჩარჩოები დღესაც კიდევ ძალაშია და ისინი შეიძლება კვლავ გამოდგნენ საბჭოთა რუსეთის მძლავრობიდან განთავისუფლებულ საქართველოსათვის. აი, ამიტომ, ასე ერთგულად ვზეიმობთ 26 მაისობას და ეს ასეც უნდა გაგრძელდეს მომავალში, განსაკუთრებით მანამ, სანამ ქართველი ხალხის სამართლიანი ბრძოლა გამარჯვებით არ დაგვირგვინდება.

საუბედუროდ, ჩვენი ქვეყნის სასტიკმა მპყრობელებმა შეძლეს შეუძლებელი გაეხადათ ამ ჩვენი ეროვნული დღესასწაულის ზეიმობა თვით საქ-ს მიწა-წყალზე და ოცდაექვსმა მაისობამ, დროებით, ჩვენთან ერთად თავი შეაფარა ლტოლვილობას. ჩვენი მამულიშვილური ვალია ვუერთგულოთ მას აქ — უცხო მიწაზე, ვაღვივოთ, რომ შემდეგ მოგიზგიზე გადავცეთ ჩვენს ხალხს ჩვენ ქვეყანაში.

1979 წლის მაისობისადმი მიძღვნილ მოწინავე წერილში („თ. ტ.“ №25) „გადმოხვეწილობაში სამი ქართველიც კი თუ ერთმანეთის მახლობლად ცხოვრობს, ამ თარიღისადმი მიძღვნილი დღე ერთად უნდა იზეიმონ და მასში საქართველოს უცხოელ მეგობრებსაც წილი დაადებინონ. ამ დღისადმი გულგრილობა ნიშნავს ცუდ, ძალიან ცუდ მამულიშვილობას.

რაც შეეხება სამშობლოს, დროა იქაც დაითრგუნოს შიში, თუ აშკარად ვერა, ფარულად მაინც ეს დღესასწაული უნდა ხელახლად გადაიქცეს ჭეშმარიტ მამულიშვილთა შეკრების და ჩვენი სამშობლოს მტრების წინააღმდეგ ბრძოლის დროშად და სიმბოლოდ.

ვზეიმობთ რა 26 მაისს, მოვითხოვთ რა 26 მაისის საქ-ს აღდგენას, ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ ჩვენ გვსურდეს, რომ ჩვენ მოწადინებული ვიყოთ, რომ ჩვენ გადაწყვეტილი გვქონდეს ქართველ ხალხს თავს მოვახვიოთ ესა თუ ის რეჟიმი, ესა თუ ის მართველობა, ესა თუ ის პარტია, არამედ ეს ნიშნავს, რომ საქართველოდან უნდა ამოიკვეთოს უცხო ერის, ამ შემთხვევაში რუსი ერის და სახელმწიფოს ბატონობა, რომ კვლავ უნდა აღსდგეს დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფო, რომელსაც გაუძღვება ქართველი ერის ნდობით აღჭურვილი ადამიანები, დემოკრატიულად არჩეული, სრულ პოლიტიკურ თავისუფლების პირობებში“.

ეს სიტყვები ძალაში რჩება დღესაც.

გაუმარჯოს 26 მაისის საქართველოს!

დიდება და დღეგრძელობა ქართველ ერს!

## 26 მაისი კალიფორნიაში

დაშორებული ქართული ემიგრაციის მთავარ ცენტრებს, პარიზსა და ნიუ-იორკს, კალიფორნიის ქართულმა საზოგადოებამ პირველად გადაიხადა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე, 26 მაისი. ეს მოხდა კვირას, 31 მაისს, ქალაქ სანტა როზაში.

ხევებითა და ტყით შემოვლებულ გორაზე ჩვენმა თანამემამულემ ექიმმა მირიან გალაშვილმა ააშენა მშვენიერი სახახლე, სასახლე, საშუალო საუკუნეების ფეოდალებსაც რომ შეშურდებოდათ. ოთხივე მხრიდან ის გადასცქერის კალიფორნიის მშვენიერ პანორამას. დღე იყო ნათელი და მზიანი. დღე ვარდობისა. აქ შეიკრიბა ჩვენი საზოგადოება 26 მაისის საზეიმოდ. მას ესწრებოდა 50 ადამიანი სტუმრებთან ერთად და დამთავრდა ნადიმითა და ჩვეულებრივი ქართული მოლხენით...

საზეიმო კრება გახსნა საზოგადოების უხუცესმა წევრმა ალ. სულხანიშვილმა მცირე შესავალი სიტყვით. შემდეგ ალ. მანველიშვილმა წაიკითხა მოხსენება, რომელმაც დაწვრილებით მოგვითხრო მთელი ჩვენი განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორია მეცხრამეტე საუკუნეში. თუ, როგორ მზადდებოდა ნიადაგი საქ-ს დამოუკიდებლობის აღდგენისა, როგორ დაიბადა 26 მაისი. მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა შემდეგი: „სანამ ისტორიული ფაქტებით ნათელს ვყოფდე, თავშივე უნდა აღვნიშნო ორი უდავო ჭეშმარიტება, რომლებიც ჩვენმა დამპყრობლებმა გააყალბა და სამწუხაროდ, ამ სიყალბეს დიდ ხანს საქმეში ჩაუხედავი ზოგიერთი ქართველიც იმეორებდა. რუსებმა შექმნეს ლეგენდა, თითქოს საქ. თავის ნებით შეუერთდა რუსეთს. ერის და სახელმწიფოს ასეთ თვითმკვლელობას მსოფლიო ისტორია არ იცნობს. საქ. რუსეთს არ შეერთებია. რუსეთმა მას ნაწილ-ნაწილ ოკუპაცია მოუხდინა და რუსეთის პროვინციად გამოაცხადა, შემდეგ კი შეუდგა მის სრულ გარუსებასა და გადაგვარებას.

მეორე სიყალბე შეეხება ისტორიული ფაქტების წინაშე თვალების დახუჭვას. თითქოს მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში ქართველი ერი არ მოითხოვდა მის დამოუკიდებლობას. სინამდვილეში მთელი მეცხრამეტე საუკუნის ისტორია არის ბრძოლის ისტორია თავისუფლებისათვის...

და ბოლოს ერთი ჭეშმარიტება უნდა დავუმატოთ. ლენინმა საქ-სთან დადებულ ხელშეკრულებაში განაცხადა, რომ ის სამუდამოდ ხელს იღებს რუსეთის სუვერენულ უფლებებზე საქ-ს მიმართ. (და ისიც ხომ ვიცით თუ როგორ აიღო ხელი!) ორი გამოჩენილი ევროპელი იურისტი: ნიპოლდი და ლე ფიური ამტკიცებენ, რომ საქართველო იურიდიულად მუდამ დარჩა დამოუკიდებელი. ის იყო მხოლოდ რუსეთის ოკუპაციის ქვეშ. ხოლო ოკუპაციის დრო ვერ სპობს მის სუვერენულ უფლებას. ამიტომ სრულიად სამართლიანი იქნება ვთქვათ, რომ 26 მაისს ჩვენ აღვადგინეთ ჩვენი დამოუკიდებლობა ფაქტიურად“.

დაბოლოს, მომხსენებელმა მობოდიშებით დაასკვნა: „მეგობრებო, მაპატიეთ, რომ ჩვენი განთავისუფლების ამ საზეიმო დღეს, სამგლოვიარო დღეც მოვიხსენიოთ, რადგან საშუალება არ გვქონდა ცალკე აღგვენიშნა საქ-ს მეორედ დაპყრობის 60 წლისთავი.

ბოლშევიკურმა რუსეთმა, მიუხედავად ჩვენთან დადებულ ხელშეკრულებისა, რითაც ის ცნობდა ჩვენს დამოუკიდებლობას, 1921 წლის თებერვალში ქურდულად შემოგვესია და ექვსი კვირის ბრძოლის შემდეგ საქ. ხელახლად დაიპყრო.

მნიშვნელობა არა აქვს იმას თუ ამ დაპყრობას რა სახე და სახელი მისცა. რომ ის თითქოს არის წევრი ე. წ. საბჭოთა კავშირისა, რომ ის იქ თავისი ნებით შევიდა და კონსტიტუციის თანახმად მას შეუძლია იქიდან თავისუფლად გამოსვლა... რომ ეს ყველაფერი მოჩვენებითია, ყველასათვის ცხადია. ფაქტი კი ის არის, რომ დღეს რუსეთი ბატონობს საქართველოზე... ქართველი ერი არც ამ დაპყრობას ურიგდება. ანალოგიურად მეცხრამეტე საუკუნისა, დიდ ხანს იბრძოლა იარაღით ხელში, ხოლო შემდეგ გადავიდა კულტურული გზებით ბრძოლაზე. ყოველდღიური ამბები ნათელს ჰყოფენ, რომ ქართველი ერი არაფერს უთმობს რუსეთს უბრძოლველად, ის იცავს თავის ეროვნულ მეობას და მის მთავარ გამოხატულებას, — ქართულ ენასა და ქართულ კულტურას.

მიუხედავად საქ-ში დიდძალი რუსობის ჩამოსახლებისა და ცდებისა, ქართველი ერის გადაგვარებისა, ბებერ მუხას ფესვები მაგარი აქვს და ვერავითარი ქარიშხალი მას ვერ მოგლეჯს. ქართველ ერს მრავალი დაპყრობა განუცდია და ის ყოველთვის მოინელა და თავისი ეროვნული სახე არ დაუკარგავს. ასე მოხდება ახლაც. რამდენადაც ძლიერია წნევა, ასევე ძლიერია წინააღმდეგობა. არაბთა მრავალსაუკუნოვანი ბატონობის ქვეშ მომზადდა საქ-ს დიდების ხანა, მეთორმეტე საუკუნე.

დღეს ქართველი ერი, თავისი ეროვნული გრძნობის სიმტკიცითა და კულტურული ამაღლებით მზად არის, მოიპოვოს ერის მიერ საუკუნეებით ნანატრი თავისუფლება. მე მწამს, რომ ქართველი ერი განთავისუფლდება რუსეთის ბატონობისაგანაც. სწორედ დღეს მზადდება საქ-ს მომავალი დიდება. საქ-ს მხოლოდ თავისუფლება აკლია და მის შვილთ თავისუფლად ფრთების გაშლა. მხოლოდ მაშინ დაიბადება კვლავ რუსთაველი, ერის დიდების დამატკბობელი... შეიძლება ყველა ჩვენთაგანი ამ დღეს ვერა, მაგრამ ჩვენი შვილები და შვილიშვილები მოესწრებიან მას. ჩვენ თუ სამშობლოზე ხვედამ გადაგვიყოლა, ისინი მაინც იქნებიან ბედნიერნი და თავიანთი მამა-პაპის ღვაწლსაც არ დაივიწყებენ.

## 26 მაისობა პარიზში და სხვაგან

საქ-ს დამოუკიდებლობის 63 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო შეკრება პარიზში გაიმართა შაბათს, 23 მაისს, პარიზის მეთოთხმეტე არონდისმანის მერიის სადღესასწაულო ხალოში. საღამოს ცხრა საათზე სათვისტომოს თავმჯდომარემ, ბ. ვიქტორ [illegible]რიკმა გახსნა კრება, რომელმაც, გუნდის მიერ ქართული და ფრანგული ეროვნული ჰიმნების შესრულების შემდეგ, ქართულ და ფრანგულ ენებზე, ს[illegible]ანმარტა 26 მაისის დღესასწაულის ეროვნული არსი და მნიშვნელობა და სიტყვა გადასცა სორბონის უნივერსიტეტის ქართული ცივილიზაციის პროფესორს, ბ. გიორგი შარაშიძეს. მომხსენებელმა, რომელიც ფრანგულად ლაპარაკობდა, ვრცელ და ღრმაშინაარსიან მოხსენებაში მიმოიხილა ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორია, რომელიც ხასიათდება ეროვნული თვითარსებობის შენარჩუნებისათვის წარმოებული განუწყვეტელი ბრძოლებით და თავისებური თვითმყოფადი სულიერი და მატერიალური კულტურის გამომუშავებით. მომხსენებელი განსაკუთრებით შეჩერდა დამოუკიდებლობის აღდგენის, მაშინდელი საქ.-ს შინაგან და საგარეო მდგომარეობის, სახელმწიფო აღმშენებლობის, მისი სოციალური და კულტურული მიღწევების, საბჭოთა რუსეთისაგან მუხანათური თავდასხმის და დაპყრობის და ამ უსამართლობის წინააღმდეგ.

გ. შარაშიძის შემდეგ კრებას მიესალმნენ სტუმრები. ჩვენს მდგომარეობაში მყოფი ერების წარმომადგენლები.

მიტინგის შემდეგ დაიწყო ნადიმი, რომლის დროს ჩვენმა ბავშვებმა და მოზარდებმა გვიჩვენეს ქართული ხალხური ცეკვები, ქალბატონ ელენე გელა[illegible]ლის ქორეოგრაფიული ხელმძღვანელობით. ცალკე უნდა აღინიშნოს ლორონდა ჩხაიძე, რომელმაც კიდევ ერთხელ გვიჩვენა მაღალი პროფესიონალიზმით და ტემპერამენტით შესრულებული „მთიულური“.

26 მაისის დღეს, ცოცხალი ყვავილებით იქნა შემკული პრეზიდენტ ნოე ჟორდანიას და სხვა 26 მაისის მამამთავრების საფლავები.

საღამოს ექვს საათზე ყოფილ ქართველ მხედართა საზოგადოებამ ცოცხალი ვარდების გვირგვინი მიიტანა საფრანგეთის უცნობ ჯარისკაცის საფლავზე და შეასრულა წესი მუდმივი ცეცხლის ალის გაღვივებისა. ცერემონიის განმავლობაში ქართული სამფეროვანი დროშა, რომელიც კვლავ ხელთ ეპყრა 91 წლის ვეტერან ქრისტეფორე იმნაიშვილს, ლაღად ფრიალებდა ეტუალის თაღებქვეშ, საფრანგეთის რესპუბლიკის სამფეროვანი დროშების გვერდით.

შემდეგ ქართველებმა თავი მოიყარეს პარიზის წმიდა ნინოს ეკლესიაში, სადაც დეკანოზმა ილიამ წირა ოცდაექვსი მაისის სადიდებელი პარაკლისი.

დღესასწაულის დღეებში სტუმრად გვეწვია: ამერიკის შეერთებულ შტატებიდან ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე ბ. ნანდრო ბარათელი და ოთარ ზალდასტანიშვილი, სოშო-მონბელიარიდან ბ. ბაგრატ ჰანტურია, რომელთაც მხურვალე მონაწილეობა მიიღეს ყველა ჩვენს საზეიმო მანიფესტაციაში.

რედაქციაში მიღებული ცნობებით, საქართველოს დამოუკიდებლობის 63-ე წლისთავის ზეიმი წარმატებით ჩატარდა ნიუ-იორკის, ლონდონის, ბუენოს-აირესის, სოშო-მონბელიარის და კალიფორნიის ქართულ თემებში.

ჟურნალი „თავისუფლების ტრიბუნა“, პარიზი, 1981 წ. ივნისი

მასალა მოგვაწოდა
**ვახტანგ გურგენიძემ.**

ვახტანგ ჭაბუკიანი 80 წლისაა

# ქართული ბალეტის ფუძემდებელი

ვულოცავ მსოფლიოში აღიარებულ დიდ ხელოვანს, ჩვენს სასიქადულო დიდ მოცეკვავეს და ბალეტმაისტერს, ქართული კლასიკური ბალეტის ფუძემდებელს ვახტანგ ჭაბუკიანს 80 წლის საიუბილეო თარიღს და ვუსურვებ დიდხანს სიცოცხლეს ჩვენი ერის საკეთილდღეოდ.

მე, როგორც სულ სხვა სფეროში მომუშავე მუსიკოსს და პედაგოგს, მსურს ვუძღვნა გულწრფელი და აღფრთოვანებული სიტყვები, რაც ეკუთვნის მას, როგორც ჩვენი ქვეყნის დიდ მოვლენას და ქართველი ერის სათაყვანებელ პიროვნებას. ჯერ კიდევ ჩემი ლენინგრადში სასწავლებლად გამგზავრების წინ, 1932 წელს, ბედნიერება მქონდა თბილისშივე მეხილა სულ ახალგაზრდა, მაგრამ უკვე ცნობილი მოცეკვავის, ვახტანგ ჭაბუკიანის პირველი დებიუტი ზ. ფალიაშვილის სახელობის თეატრში დადგმულ ბალეტ „დონ კიხოტში“, რომლის დამდგმელი ბალეტმაისტერი და მთავარი როლის (ბაზილის) შემსრულებელი თვითონ გახლდათ. ჭაბუკიანთან ერთად ცეკვავდა მისი განუყრელი პარტნიორი ტატიანა ვეჩესლოვა. სპექტაკლს ისეთი დიდი მოწონება ჰქონდა, რომ თითქმის ყოველდღე სთავაზობდნენ მაყურებელს ერთი თვის განმავლობაში, მე პირადად რამდენჯერმე დავესწარი ვახტანგის ასეთ დიდ ტრიუმფს.

1932 წელს ჩავირიცხე ლენინგრადის კონსერვატორიაში ვიოლინოსა და ალტის კათედრის ასპირანტად, სწორედ აქ, ლენინგრადში, მომეცა საშუალება უფრო ახლოს გავცნობოდი ვახტანგ ჭაბუკიანის უზადო ხელოვნებას და მის უსაზღვრო ტრიუმფებს, ისეთ სპექტაკლებში მონაწილეობისას, როგორიც იყო ადანის „კორსარი“, „ვაჭარი და მონა“, ასაფიევის — „კუზიანი კვიცი“, გლიერის „წითელი ყაყაჩო“, ადანის „ჟიზელი“, ასაფიევის „ბახჩისარაის შადრევანი“.

1936 წელს, თბილისში, დაახლოებით აპრილის შუა რიცხვებში, ვახტანგ ჭაბუკიანი შეუდგა კომპოზიტორ ანდრია ბალანჩივაძის ბალეტის — „მთების გულის“ დადგმას საქართველოს ხელოვნების დეკადისთვის, რომელიც მოსკოვში უნდა გამართულიყო 1937 წლის იანვარში. ფალიაშვილის ოპერებს „აბესალომ და ეთერს“ და „დაისს“, ბალეტ „მთების გულს“ ამზადებდა ოპერისა და ბალეტის მთავარი დირიჟორი და სამხატვრო ხელმძღვანელი ევგენი მიქელაძე, ისეთივე დიდი ნიჭის, განუმეორებელი ხელოვანი, როგორიც ვახტანგ ჭაბუკიანი გახლავთ. სხვათაშორის, ამ ორ ბუმბერაზ ხელოვანს საერთო ბევრი ჰქონდათ და ერთმანეთის პატივისცემაც არ აკლდათ. ევგენი მიქელაძემ ოპერის ორკესტრის გაბძლიერებლად მიიწვია საქართველოს სახელმწიფო კვარტეტი, რომლის ერთ-ერთი წევრი მეც გახლდით. რამდენადაც ა. ბალანჩივაძის ბალეტის „მთების გულის“ რეპეტიციები უკვე ორკესტრის თანხლებით მიმდინარეობდა, მეც საშუალება მქონდა, თვალყური მედევნებინა ვახტანგ ჭაბუკიანისთვის ბალეტის მსახიობებთან მუშაობისას.



ვერ წარმომედგინა, თუ ლენინგრადის კლასიკური ბალეტის სკოლის აღზრდილი და მარიის თეატრის ბრწყინვალე წარმომადგენელი, სოლისტი, ასე ადვილად შესძლებდა ქართული ბალეტის, კერძოდ, წმინდა ეროვნული ცეკვების ასე ადვილად და დამაჯერებლად დამუშავებას კლასიკურ საფუძველზე და სათანადო ელფერის მიცემას, მაგრამ ჩანს, დიდმა ნიჭმა, დაინტერესებამ, ქართველი ხალხის ზნე-ჩვეულებისა და სხვადასხვა კუთხის ხალხის ხასიათის შესწავლამ, სულ ადვილად და, რაც მთავარია, სასწაულებრივად მოკლე დროში შეაძლებინა სპექტაკლის საუცხოოდ მომზადება, ბალეტის იდეალურად დადგმა.

მე კარგად ვხედავდი ჩემი ადგილიდან (ორკესტრიდან), თუ როგორ უხსნიდა მიზანსცენებს, ამუშავებდა მასიური სცენების მონაწილეთ, როგორ ასწავლიდა და დამაჯერებელ ილეთებს, შტრიხებს აკეთებინებდა ბალეტის ყოველ მსახიობს. თხოულობდა მსახიობებისგან ბუნებრივ პოზას, ჟესტს, მოძრაობებს, უფრო ვაჟთა ცეკვების გასამდიდრებლად. მარტო ხორუმის შესწავლა რად ღირდა ბალეტის თითოეულ მონაწილესთან. თვით ვახტანგ ჭაბუკიანი, როგორც მთავარი გმირის, ჯარჯის შემსრულებელი, განსაცვიფრებლად დაჰქროდა სცენაზე და უძღვებოდა ხორუმის დანარჩენ შემსრულებელთ. როგორი არაჩვეულებრივი რიტმით და ტემპერამენტით ძერწავდა ხორუმის დამახასიათებელ, ძალზე ემოციურ მოძრაობებს; ხორუმისა, რომლის მთავარი იდეა არის მტრების წინააღმდეგ ბრძოლა, ვახტანგმა ეს ეპიზოდი მისთვის ჩვეული გმირული და ემოციური ხასიათით გამოხატა. ვახტანგ ჭაბუკიანს ასევე დიდი მონდომებით და ენთუზიაზმით აქვს დადგმული ქართველ კომპოზიტორთა ისეთი ბალეტები, როგორიცაა გ. კილაძის „სინათლე“, ა. მაჭავარიანის „ოტელო“, გ. თორაძის „გორდა“, ს. ცინცაძის „დემონი“ და სხვ.

ყოველთვის კეთილშობილურად ეჭირა თავი, როგორც უმცროს, ისე მასთან ახლოს მდგარ პარტნიორებთან თუ უფროს ხელმძღვანელებთან, მუშაობდა ხალისითა და ღიმილით; კარგი ურთიერთობა ჰქონდა, როგორც კომპოზიტორთან, ისე მხატვართან და დირიჟორთან. განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდა ევგენი მიქელაძესთან, ორივე დიდი ხელოვანი იყო და უადვილდებოდათ საერთო ენის გამონახვა, ერთმანეთს დიდ ანგარიშს უწევდნენ და გულწრფელად ენდობოდნენ.

მე პირადად ევგენი მიქელაძესთან ძალიან ახლოს ვიყავი და ძალიან მიხაროდა, რომ ვახტანგ ჭაბუკიანს უდიდესი ნიჭის მფლობელად და განუმეორებელ მოცეკვავედ მიიჩნევდა. სულ მეუბნებოდა ხოლმე, ვახტანგს, როგორც მოცეკვავეს, მსოფლიოში ბადალი არა ჰყავსო.

მართლაც, ეს წმინდა რაინდული, ვაჟკაცური სტილის მოცეკვავე, უსათუოდ აღაფრთოვანებდა ძალზე მომთხოვნ კრიტიკოსსაც კი. ვახტანგ ჭაბუკიანი, რომელიმე პარტნიორთან ერთად და განსაკუთრებით მანდილოსანთან ცეკვისას სხვებივით არასდროს არ ცდილობდა თავის ოდნავ გამოჩენასაც კი, პირიქით. იგი ცდილობდა, რომ პარტნიორი არ დაჩრდილა, ცეკვის დროს ეხმარებოდა და უადვილებდა ანსამბლის ზუსტ შესრულებას.

დიდი ღვაწლი მიუძღვის ბ-ნ ვახტანგს ნიჭიერი მოცეკვავეების მთელი პლეადის აღზრდაში, მაგალითისთვის შორს არ მოგვიხდება წასვლა. როცა ზურაბ კიკალეიშვილს დიდი ნიჭი და სათანადო მონაცემები შენიშნა, არ დაიშურა არც ცოდნა და არც ენერგია და საბოლოოდ თავის ღირსეულ პარტნიორადაც კი გამოიყენა ისეთ რთულ როლზე, როგორიცაა იაგოს პარტია ა. მაჭავარიანის „ოტელოში“. მართალია, თვით ოტელოს უძნელესი პარტია ბ-ნმა ვახტანგმა მსოფლიო მასშტაბით განასახიერა, მაგრამ იაგოს როლის შემსრულებელმა ზ. კიკალეიშვილმაც შთამბეჭდავი პარტნიორობა გაუწია თავის საყვარელ პედაგოგსა და ბალეტმაისტერს, რაც უსათუოდ დიდი გამარჯვებაა. ვახტანგ ჭაბუკიანს გულწრფელად ახარებდა ზ. კიკალეიშვილის და ბევრი თავისი აღზრდილი ახალგაზრდის დიდი მიღწევები.

ვახტანგ ჭაბუკიანს შერწყმული აქვს ყველა ის აუცილებელი თვისება, რაც უნდა ახასიათებდეს მსოფლიო რანგის შემსრულებელს, ბალეტმაისტერს და პედაგოგს, რაც იშვიათია. ჩემი აზრით, ვახტანგ ჭაბუკიანს როგორც ლეგენდარულ მოცეკვავეს, ბალეტმაისტერსა და დიდ ხელოვანს, სიცოცხლეშივე უნდა დაედგას ძეგლი.

ლუარსაბ იაშვილი

## ვანო ჩხიკვაძე

# სა-ქარ-თვე-ლო!

მძლავრი ყიჟინით როცა ჩაივლი,
როცა ფრიალებს უცხო ყვავილი —
ეგ შინდისფერი დროშა,
ეს აღტაცება არ დამიწდება,
მუხლმოდრეკილი პირჯვარს ვიწერ და
ჩემს გაჩენის დღეს ვლოცავ.

რა ლამაზი ხარ,
რა სხვანაირი, —
ამიფეთქდება ყელში ბღავილი, —
შენი დროშების შრიალს,
აჰყვება სული,
სული ცოდვილი,
და დავიგმინებ გულდაკოდილი:
— თავისუფლება მშია!..

ო, ერთადერთო,
ო, სა-ქარ-თვე-ლო,
ერთხელ გამტყდარი ვინ გაამთელოს,
მაინც იმედი გვიხსნის...
ამაზე მეტი რა შეგვიძლია,
ემაგ დროშებზე ჩვენი სისხლია,
შენთვის დაღვრილი სისხლი!

ისევ მკორტნიან,
ისევ მარბევენ
(ო, ამ ტკივილებს რა დააბერებს).
მარყუჟს მიჭერენ დღემდე,
მაგრამ ვიდრე სულს ამომაძრობენ,
„ფუ!“ — ტყვიასავით შუბლში მივახლი,
გენერალსა და ზემდეგს:

„ფუ, უდღეურო,
არაყის გიჟო,
ფუ, ორპირთა და მზაკვართა ჯიშო,
იპოვი რასაც ეძებ...
ვოლიერს ანგრევს ნადირთა მეფე:
— ჩვენზე ცოდვილნი გალიებისკენ,
თავისუფლება მხეცებს!..

ფუ, ხელის ბიჭო,
ფუ, კუსახურო,
წყეულო მონავ,
მკვლელის მსახურო,
მზად ხარ, რომ ყელში მეცე...
ვოლიერს ანგრევს ნადირთა მეფე:
— მოღალატენი გალიებისკენ,
თავისუფლება მხეცებს!..“

ფეხაუდგმელო, მაისის ბავშვო,
თვალის სინათლევ,
არავის მსგავსო,
ჯერ სიარული გიჭირს...
ო, სა-ქარ-თვე-ლო, დუმილი კმარა,
მომეცი ხელი, მომეცი ძალა
და შენი მოვლის ნიჭი...

მძლავრი ყიჟინით როცა ჩაივლი,
ამიფეთქდება ყელში ბღავილი,
შენი დროშების შრიალს,
აჰყვება სული,
სული ცოდვილი,
და დავიგმინებ გულდაკოდილი:
— თავისუფლება მშია!..

აჰა, ეს წუთი,
ეს ოცდაექვსი,
თავისუფლების უხმო ალერსით
გაბრუებული წამი...
„ნურცა იხაროს მტერმა შენზედა!“
„ნურცა იხაროს მტერმა შენზედა!“
ყოვლადძლიერო, ამინ!

1990

# ძვირფასო მეგობარო ვახტანგ!

მარტში და აპრილში (გუშინ) ტელევიზიით აჩვენეს დოკუმენტური ფილმი „დიდი ხელოვნების ფურცლები“, რომელიც რამდენიმე წლის წინ მოვამზადე და რომელიც ბევრჯერ აჩვენეს პირველი და მეოთხე პროგრამებით. როგორც იცით, ფილმში ჩავსვი დიდი ფრაგმენტი „ბაიადერკადან“ — თქვენ და დუდინსკაია. ჰოდა, რამდენჯერაც აჩვენებენ ამ ფილმს, იმდენი გამოხმაურება მომდის თქვენი გამოსვლის გამო, რომ პირდაპირ სხვისი განძის მიმსაკუთრებელი მგონია ხოლმე თავი. ამ ფილმის ბოლო დემონსტრაციის შემდეგ თქვენზე იმდენი ქება მოვისმინე, იმდენი აღფრთოვანება, რომ დუმილი აღარ შემიძლია და უნდა გითხრათ: ყველა — მწერლები, მსახიობები, ბალეტის მოღვაწენი, მეცნიერები, თანამდებობის პირნი თუ უბრალო ადამიანები, — ყველა მირეკავს, რომ თქვენზე, მაინცდამაინც თქვენზე მელაპარაკოს. დანარჩენებზე — მერე. ყველა თქვენით იწყებს. თქვენ ყველას გამჯობინებენ — არა მარტო ქორეოგრაფიული მიღწევებით (ფილმში არიან ულანოვაც, სემიონოვაც, ლეპეშინსკაიაც, დუდინსკაიაც). თქვენ ყველაზე მეტ აღფრთოვანებას, გაოცებას, აღტაცებას იმსახურებთ: სტანისლავსკიზე, კაჩალოვზე, მოსკვინზე, ჩერკასოვზე, შჩუკინზე, ილინსკიზე, გილელსზე, ისხონტოვზე, შოსტაკოვიჩზე. თქვენით იწყებენ ლაპარაკს და ბოლოს ამბობენ: „შესანიშნავია! ყველაფერი! რა დიდი ხელოვნება გვაქვს, როგორია ეს ხელოვნება, და როგორ არ ვიცით ამის დაფასება!.. ჯერ მარტო ჭაბუკიანი რად ღირს! ყველას სჯობია! დაუჯერებელია! მშვენიერია! გმადლობთ ჭაბუკიანისთვის! განა შეიძლება მისი ვინმესთან შედარება! ღმერთო, რა დიადი სრულყოფილებაა!“ „ჭაბუკიანის მსგავსი არასოდეს არაფერი მინახავს: აქ ყველაფერია — შთაგონება, გენია, ამაფრენა შესრულებული ცეკვით; როგორი სიდიადეა, ბრწყინვალება, სილამაზე, ირონია, რომელიც ცეკვის ტემპერამენტს ამაღლებს. არავითარი გულმოდგინება — რაც უნდა, იმას აკეთებს!“ „მგონი, თვითონ შეთხზა“. ეს მცირე ნაწილია იმ გამოხმაურებებისა, სულ რომ მოდის და მოდის. გადაცემის დამთავრებისთანავე, მაშინვე ვერ მიკავშირდებიან: მთელი ქალაქი რეკავს. დღესაც რეკავენ, რომ თქვენს გამო შემაქონ. აღტაცებული ვარ. ასობით აღფრთოვანებული ადამიანის შთაბეჭდილებებში ასახულია ჩემი გრძნობები თქვენდამი, რაც ისე მახარებს, რომ დუმილი აღარ შემიძლია და გადავწყვიტე მოგწეროთ; გუშინ არაჩვეულებრივად ცეკვავდით. ეს გენიალური ფრენა იყო. მეგონა, რომ ეს ოდესღაც კი არ არის ჩაწერილი, არამედ ახლა ცეკვავთ — ცოცხალი მოვლენაა, არანაკლებ დიადი, ვიდრე გენიალურ ოსტატთა ტილოები, ვიდრე უდიდეს მუსიკოსთა სიმფონიები — მარადიული და უბერებელი გენია. მე თვითონაც სუნთქვა მეკვრის აღტაცებისაგან, როცა გხედავთ და ვამაყობ, რომ ვამბობ რაღაც — თუნდაც სულ უმწეო სიტყვებს, და ყველას ვაგებინებ, რომ თქვენ შემოგყურებთ, როგორც საოცრებას. ბედნიერი ვარ, რომ გიცნობთ, მესმის ხოლმე თქვენზე და რამდენადმე აკუმულატორად ვიქეცი საერთო სახალხო აღტაცებისა.

კატია ცოტა ხნის წინ თეატრში იყო — იქიდან მოსულმა მიამბო, რას ამბობდნენ ლეგენდარული წამყვანი მოცეკვავეები, რას ამბობდა კორდებალეტი. საოცრებაა და მორჩა! მეორე ასეთი არ არის!

გეხვევით უსაზღვრო სიყვარულით.

ირაკლი ანდრონიკოვი
24 აპრილი, 1972 წელი,
მოსკოვი.

ეროვნული

სკპ (ბ) ცკ 1924 წლის ოქტომბრის პლენუმზე სერგო ორჯონიკიძემ გააკეთა მოხსენება საქართველოში მომხდარ ამბებზე. მკითხველს ვთავაზობთ ამონაწერს ამ სხდომის ოქმიდან.

ძნელია ამ სტრიქონების აუღელვებლად, მშვიდად წაკითხვა. მაგრამ ეს ამბები უნდა ვიცოდეთ. ეს ჩვენი ისტორიაა — მძიმე, თითოეული ჩვენგანისთვის მტკივნეული და დამაფიქრებელი. დღემდე ამ ამბებს უკუღმართად მოგვითხრობდნენ. დღეს მაინც უნდა გავიგოთ, რა ხდებოდა იმ საშინელ დღეებში...

# 1924 წლის ოქტომბერი

თავმჯდომარე: ახლა კი გადავიდეთ დღის წესრიგის უკანასკნელ პუნქტზე, საქართველოს საკითხზე. პოლიტბიუროს მიერ ორგანიზებული კომისიის წევრები საქართველოში იყვნენ. ამ კომისიის მომხსენებელია — ამხ. სერგო.

ორჯონიკიძე: ამხანაგებო, უკვე გვიანია და ამიტომ, დიდხანს არ შეგაწუხებთ თავს. პირდაპირ გადავალ აგვისტოს ბოლოს საქართველოში მომხდარ ამბებზე.

28-ში, დილით, შეგვატყობინეს, რომ დილის 4 საათზე, ქალაქ ჭიათურას თავს დაესხნენ მენშევიკები — 30-40 კაცი, დაიკავეს პარტიული კომიტეტის შენობა და სროლა ატეხეს. სროლაზე კომუნისტები მოცვივდნენ. ისინი სათითაოდ დააპატიმრეს და დღის 2 საათისთვის ქალაქი მთლიანად მენშევიკების ხელში გადავიდა.

ტროცკი: როგორია იქ მოსახლეობის რაოდენობა?

ორჯონიკიძე: ჭიათურაში დაახლოებით 8 ათასი კაცი ცხოვრობს.

ტროცკი: კომუნისტი რამდენია?

ორჯონიკიძე: ორმოცამდე. სანამ მენშევიკები საბოლოოდ დაიკავებდნენ ქალაქს, მოვახერხეთ ტელეფონით დავკავშირებოდით ალმასკომის თავმჯდომარის მოადგილეს და გამოგვერკვია იქ შექმნილი ვითარება. მყისვე მივიღეთ შესაბამისი ზომები: გავგზავნეთ კურსანტთა რაზმი, გაიგზავნა, აგრეთვე სადაზვერვო თვითმფრინავი. უღელტეხილზე მოღრუბლული იყო, ამიტომ, თვითმფრინავმა მხოლოდ 29-ში უთენია მოახერხა გადაფრენა. ღამის სამი საათისთვის კურსანტთა რაზმი ჭიათურიდან 5 ვერსით იყო დაშორებული. ამ დროისათვის იქ კომუნართა რაზმები ჩავიდნენ ქუთაისიდან და ზესტაფონიდან. დაახლოებით 50-60 კაცი. 29-ში, დილის 8 საათზე, თვითმფრინავი ჭიათურის თავზე გამოჩნდა. მენშევიკებს ინგლისური ეგონათ და მოსახლეობას დარწმუნება დაუწყეს, თვითმფრინავში ნოე ჟორდანიაზის, ამ თვითმფრინავით ჩამოვა ტფილისშიო. თვითმფრინავი დაბლა დაეშვა, ტყვიამფრქვევის ცეცხლი გახსნა და მენშევიკებმა, როცა დაინახეს, რომ ეს ინგლისელების კი არა, ჩვენი თვითმფრინავი იყო, მაშინვე დატოვეს ქალაქი. როცა კომუნართა რაზმი ქალაქში შევიდა, მენშევიკები აღარ დახვდნენ. ამ რაიონების სხვა ადგილებში თითქმის არ ყოფილა რამდენადმე სერიოზული გამოსვლა. ასე დამთავრდა აქ მენშევიკთა მიერ ორგანიზებული „ძლევამოსილი, საერთო-სახალხო, შეიარაღებული აჯანყება".

29-ში დილით აღმოჩნდა, რომ ტფილისთან კავშირი დასავლეთ საქართველოს, კახეთისა და ვლადიკავკაზის მიმართულებით შეწყვეტილი იყო. მიღებული ზომების შედეგად, კავშირი სწრაფად აღდგა. გამოირკვა, რომ მენშევიკებმა 29-ში დილით დაიწყეს გამოსვლა სამეგრელოში (სენაკის და ზუგდიდის მაზრა), გურიაში (ოზურგეთის მაზრა) და ქუთაისის მაზრის ნაწილში. გარდა ამისა, ტფილისისგან 30 ვერსის მოშორებით, გამოჩნდა ყოფილი ოფიცერი ცაგურია, რომელიც ათათბირებდა გარე კახეთის მოსახლეობას, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსულიყო და არწმუნებდა, ტფილისი უკვე მენშევიკების ხელშიაო. იმავე დროს მანგლისთან გამოჩნდა მეფის ყოფილი ოფიცერი, თავადი ჩოლოყაევი; ათასნაირი ჭორი დაირხა ჩოლოყაევის მოძრაობის შესახებ 600-700 ჩეჩენთან და დაღესტნელთან ერთად. ნამდვილში კი, ჩოლოყაევს 600-700 კაცის ნაცვლად მხოლოდ 60 კაცი ჰყავდა და მათთან ერთად დაესხა თავს ჩვენს ყაზარმებს მანგლისში.

აღმოსავლეთ საქართველოში გლეხების გამოსვლა არ ყოფილა. რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, აქ ოზურგეთის მაზრა მთლიანად აჯანყდა. სენაკის მაზრაში, მენშევიკებმა მარჯვე თავდასხმით მოახერხეს მთელი პარტიული და საბჭოთა მეთაურების დაპყრობა და ქალაქის დაკავება. გლეხობა ვერ გაერკვა, რა მოხდა და ჩვენს მხარდასაჭერად დიდი აქტიურობა არ გამოუჩენია. ზუგდიდის რაიონში ჩვენი ამხანაგები უკვე ელოდნენ თავდასხმას, მენშევიკები მოიგერიეს, ქალაქი არ დათმეს და მთელ მაზრაში გააფთრებულ ბრძოლას ეწეოდნენ. ქუთაისის მაზრაში გამოსვლა იყო მხოლოდ ორ რაიონში — ბაღდადსა და ვანში. ორივე ამ რაიონში ძალიან ბევრია თავად-აზნაურობა და ვაჭრები. აჯანყების მთავარი მოთავეები ისინი იყვნენ.

ასე რომ, 25 მაზრიდან ავტონომიური რესპუბლიკების ჩათვლით, მსხვილი აჯანყება იყო მხოლოდ 5 მაზრაში, თან გურიის ერთ მაზრაში — ოზურგეთში — მას აშკარად მასობრივი გლეხური ხასიათი ჰქონდა; სენაკის მაზრაში განწყობილების განსაზღვრა ვერ მოესწრო, დანარჩენ სამ მაზრაში კი აჯანყებას მასობრივი ხასიათი არ ჰქონია.

ძირითადად ეს აჯანყება სამი დღის განმავლობაში ლიკვიდირებული იყო — 31-ში დაკავებულ იქნა სენაკი და ამან მთლიანად ბოლო მოუღო აჯანყებას.

აჯანყება ჩახშობილ იქნა ბათუმისა და ფოთის მუშათა რაზმების მიერ, როგორც ქართული, ისე რუსული სამხედრო ნაწილების მხარდაჭერით.

. . . . . . . . .

4 აგვისტოს დააპატიმრეს აჯანყების ხელმძღვანელები — პარიტეტული კომიტეტი (რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ მენშევიკები, ნაციონალ-დემოკრატები და სოციალისტ-რევოლუციონერები; სოციალ-ფედერალისტები და მენშევიკ-ოპოზიციონერები (?) პარიტეტული კომიტეტიდან აჯანყების წინ გამოვიდნენ), რომელსაც მეთაურობდნენ თავმჯდომარე და მდივანი, ყოფ. თავადი ანდრონიკაშვილი (მენშევიკი), ჯავახიშვილი (ისიც ყოფილი თავადი, ეროვნ.-დემოკრატი). აქ აღარ მოგიყვებით გეგმას ამ კომიტეტისა, რომელიც თავს „დამოუკიდებელი საქართველოს კომიტეტს" უწოდებდა. გეგმა საკმაოდ ფართო იყო და ითვალისწინებდა აჯანყებას მთელ ამიერკავკასიასა და ჩრდილოეთ კავკასიაში...

აჯანყებულთა ლოზუნგები იყო: დამოუკიდებელი საქართველოს აღდგენა, სახელმწიფოს ჩაურევლობა ვაჭრობაში, იაფი უცხოური საქონელი. სამეგრელოს ერთ რაიონში — მიწის თავისუფალი გაყიდვა და იქვე ქრისტიანობის აღდგენა. ეს უკანასკნელი პასუხია ჩვენი ანტირელიგიური პოლიტიკისა, რომელზეც შემდგომში ვილაპარაკებ.

ამ მოვლენებისადმი ქართველი საზოგადოების ცალკეული ფენების დამოკიდებულება ასეთი იყო: მთელი მრავალრიცხოვანი ინტელიგენცია, ძალზე მცირე გამონაკლისის გარდა, აჯანყებულებს უჭერდა მხარს, აჯანყების რაიონებში — აქტიურად, სხვა რაიონებში — თანაგრძნობის დაუფარავად. მრავალრიცხოვანი ქართველი აზნაურობა, რომელიც 1.700.000-1.800.000 ქართველიდან 125-130 ათასია (ან მთელი მოსახლეობის 5%), აჯანყებულთა მხარეზე იყო. მრავალრიცხოვანი ოფიცრობა (7.500 ძველი, მეფის საკადრო ოფიცერი და ამდენივე ომისდროინდელი) აჯანყების რაიონებში აქტიურად მონაწილეობდა, სხვა რაიონებში კი, რა თქმა უნდა, გამოსვლის წარმატების შემთხვევაში, უარს არ იტყოდა ასეთივე აქტიურ მონაწილეობაზე.

თუ დასავლეთ საქართველოში პარიტეტულმა კომიტეტმა მოახერხა მოძრაობისათვის მასობრივი ხასიათის მიცემა, აღმოსავლეთ საქართველოში გლეხების პროვოცირება და ექსცესებიც მოხდა.

ბუხარინი: ინიციატივა ვისი იყო?

ორჯონიკიძე: ინიციატივა, რა თქმა უნდა, ჩვენი და არა მენშევიკებისა. როცა მენშევიკებმა აჯანყებისკენ მოუწოდეს და შესაბამისი მოწოდებით გამოვიდნენ, ჩვენი პარტიის ცკ-მ მიმართა გლეხებს და მთელ მშრომელ მოსახლეობას მოწოდებით — არ აჰყოლოდნენ თავად-აზნაურთა პროვოკაციას და კეტებით გაეყარათ ისინი.

ტროცკი: ეს მენშევიკური რეზოლუციის შესწორებაა?

ორჯონიკიძე: დიახ, ამხ. ტროცკი, ეს „პატარა შესწორებაა" მენშევიკური რეზოლუციისა.

მოლოტოვი: მოუწოდებდნენ, აზნაურებს თავ-პირი დაულეწეთო.

ორჯონიკიძე: დიახ, ამხ. მოლოტოვო. მოულოდნელი იყო ეს ჩვენთვის თუ არა? ამხ. მოლოტოვს მიაჩნია, რომ ჩვენთვის ეს სრულიად მოულოდნელი იყო; რომ ჩვენ გვქონდა ცნობები საგანგებო კომიტეტიდან, მაგრამ არავითარი ცნობა არ გვქონია საბჭოთა და პარტიული ხაზით, რაც ამტკიცებს ჩვენი პარტიის მოწყვეტას უპარტიო გლეხური მასისგან.

ზალუცკი: არც უმაგრისობაა.

ორჯონიკიძე: რომ არც უმაგისობაა, მე არ უარვყოფ. არც ჩვენი შეცდომების უარყოფას ან დამალვას ვფიქრობ, მაგრამ უნდა განვაცხადო, რომ მენშევიკების გამოსვლის შესაძლებლობა ჩვენთვის მოულოდნელი არ ყოფილა. როგორც პარტიული, ისე საგანგებო კომისიის ხაზით, ყოველთვის გვქონდა ცნობები, რომ მზადდებოდა გამოსვლები. მენშევიკები 26 მაისისთვის ამზადებდნენ გამოსვლას და მაშინ მთელი პარტია ფეხზე იდგა. მაგრამ გამოსვლა ვერ მოახერხეს, რადგან ჩვენ დაპატიმრებებით შევუშალეთ ხელი. მერე 15 აგვისტოსთვის იყო განზრახული გამოსვლა: მაშინაც მივიღეთ ზომები. როცა გაზაფხულზე გამოსვლა მზადდებოდა, სენაკელმა ამხანაგებმა მასობრივი ღონისძიება ჩაატარეს და 500-მდე კაცი დააპატიმრეს, რომლებიც მოგვიანებით გაანთავისუფლეს. ამ აჯანყებაში კი ისინი უველანი მონაწილეობდნენ. მაისის ბოლოდან მოყოლებული, მთელი პარტია დაძაბული იყო. ჯუღელის დაპატიმრებამ ხელი შეუშალა 15 აგვისტოს გამოსვლას. ჯუღელის შემდგომმა გამოსვლამ საგანგებო კომიტეტში და წერილმა მენშევიკთა ცენტრალური კომიტეტისადმი გვაფიქრებინა, რომ მენშევიკები ვერ მოახერხებდნენ აჯანყების წამოწყებას. თუ ჯუღელის და ჩხიკვიშვილის ჩამოსვლამდე (უკანასკნელს დაპატიმრებამდე წაართვეს ნოე ჟორდანიას დირექტიული წერილი აჯანყების გეგმით) კიდევ შეიძლებოდა ეჭვის შეტანა მენშევიკების მიერ გამოსვლის ცდის შესაძლებლობაში, მათი ჩამოსვლის შემდეგ, რა თქმა უნდა, საეჭვო აღარაფერი იყო. მახსოვს, ზაფხულში, ნოე ჟორდანიას წერილი რომ გამოვაქვეყნეთ აჯანყების შესახებ, მოსკოვში, ამხ. კამენევი, სტალინი და სხვები მეკითხებოდნენ, რა აზრისა ხარ ამ შესაძლებლობაზეო. მაშინ ამხანაგებს ვეუბნებოდი, რომ ჩვენს წინააღმდეგ მასობრივი მოძრაობის წამოწყებას მენშევიკები ვერ მოახერხებდნენ, მაგრამ სამი-ოთხი ათეული თავზეხელაღებულის შეკრება საქართველოს სხვადასხვა ნაწილში, ამა თუ იმ რაიონში სამაზრო ქალაქებზე თავდასხმა და მათი რამდენიმე დღით მიტაცება არ მიგვაჩნია განუხორციელებელ ამოცანად. ამგვარად, ჩვენთვის მოულოდნელი იყო არა მენშევიკთა გამოსვლა, არამედ ამ გამოსვლის მასშტაბი. რა თქმა უნდა, ამხანაგი მოლოტოვი მართალია, როცა ამას გლეხთა მასებთან კავშირის უკმარისობით ხსნის. მაგრამ, აქ უნდა გავითვალისწინოთ თავისებური ქართული პირობები.

1921 წელს, საქართველოში რომ შევედით, თითქმის მთელი მოსახლეობა — მენშევიკების მიერ შეშინებული და პროვოცირებული — ჩვენს წინააღმდეგ იყო. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქართველი გლეხობა და ქართველი მუშები 20 წლის განმავლობაში მენშევიკური პარტიის განუყოფელ გავლენას განიცდიდნენ. ჩვენი და მენშევიკების დავა ჯერ კიდევ 1904-1905 წლებში მენშევიკთა სასარგებლოდ გადაწყდა: მაშინ, როცა იქ ათობით, დიდი-დიდი, ასობით წარმომადგენელი გვყავდა, მენშევიკების პარტიაში 1500 წევრი იყო. მაშინ, როცა ჩვენი პარტიის ყრილობებზე ვერც სტოკჰოლმში და ვერც ლონდონში ერთი დელეგატიც კი ვერ გავგზავნეთ, მენშევიკებს თითქმის ოცი დელეგატი ჰყავდათ. ამ დელეგატთა შორის გურიის დელეგაციიდან უცვლელნი იყვნენ პლეხანოვი და აქსელროდი. 1920 წლის ივნისში მენშევიკური პარტიის ყრილობაზე წარსდგა 60.000 წევრი. ტფილისსა და მის მაზრაში იყო 12.000. ჩვენთან 1921 წელს 500 კაცზე მეტი არ ყოფილა, დღეს კი ლენინური გაწვევის კანდიდატთა ჩათვლით 6.000-მდეა. ოზურგეთის მაზრაში (გურიაში) მენშევიკებს 8.600 წევრი ჰყავდათ, ჩვენ — 1921 წელს 600-700-მდე, დღეს კი — 1.200; სენაკის მაზრაში მათ 4.000 წევრი ჰყავდათ, ჩვენ — 1921 წელს 600-მდე, დღეს კი დაახლოებით 1000; ზუგდიდის მაზრაში 5.857 წევრი ჰყავდათ, ჩვენ — 1921 წელს 300-400-მდე, დღეს კი დაახლოებით 500. სამ მაზრაში: ოზურგეთის, სენაკისა და ზუგდიდის მაზრებში 1920 წელს მენშევიკებს 18.000 წევრი ჰყავდათ, ჩვენ — 1921 წელს არაუმეტეს 1.600-1.700-ისა, დღეს კი — 2.400. როგორც ხედავთ, ძალთა თანაფარდობა ჩვენს სასარგებლოდ არ არის.

აქვე უნდა დავუმატოთ, რომ გურიაში ზედმიწევნით შეგნებული გლეხობაა და თითოეული ცოტათი მაინც გავლენიანი და შეგნებული გლეხი რომელიმე პარტიაშია. უპარტიო გლეხის პოვნა გურიაში ძალიან ძნელია. და აი, ამ სამნახევარ წელიწადში ჩვენ ვერ მოვახერხეთ გურული გლეხები მენშევიკებისათვის ჩამოგვეშორებინა, მაშინ, როცა საფუძვლიანად მოვახერხეთ ეს ტფილისელ, ბათუმელ და საერთოდ ქართველ გლეხებთან, იმის მიუხედავად, რომ ტფილისის რკინიგზის სახელოსნოები 20 წლის განმავლობაში მენშევიკთა ბატონობის ბურჯი იყო. მენშევიკებმა უმთავრესად აქედან, ამ სახელოსნოებიდან ჩამოაყალიბეს თავისი სახალხო გვარდია. 1921 წელს ეს მუშები მასობრივად გამოეხმაურნენ მენშევიკური მთავრობის მოწოდებას, ტყვიამფრქვევებით გამოსულიყვნენ მენშევიკებზე ჩვენი შეტევისას.

ჩვენი საბჭოთა აპარატის ნაკლოვანებებზე ბევრს არ ვილაპარაკებ. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ბევრად არ სჯობია იმას, რომელზეც მიუთითებდა ამხ. მოლოტოვი, როცა ლაპარაკობდა ჩვენს საბჭოთა აპარატზე საერთოდ სოფლად. მეტსაც გეტყვით: ამ მიმართულებით ბევრი სიხულელე გვაქვს ჩადენილი. სასოფლო პარტიულ უჯრედებზე ლაპარაკიც არ ღირს: ისინი, როგორც უჯრედები, არ არსებობენ. კომუნისტები სათითაოდ არიან დაფანტულნი ცალკეულ სოფლებში და მხოლოდ იშვიათად უყრიან თავს თავიანთ უჯრედებს. ჩვენს მიერ ჩატარებული რაიონირება არამარტო არ დამკვიდრდა, არამედ გლეხი საბჭოთა ხელისუფლებას მოსწყვიტა, ხელისუფლებას დააშორა. სასოფლო საბჭოები ყოვლად უსარგებლო, არაფრის მაქნის დაწესებულებებად იქცა. ძალზე უხეში შეცდომა დავუშვით საეკლესიო საკითხში, ვერ შევძელით დროზე გადაგვეხადა გლეხებისათვის... და ა. შ. მაგრამ ეს არ გახლავთ ის მიზეზები, რომლებმაც აიძულა გურული გლეხობა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსულიყო. გურიაზე უკეთესად ხომ არც სხვა მაზრებში გვაქვს საქმე. პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ სენაკისა და გურიის მაზრებში უფრო ძლიერი მუშაკები იყვნენ, ვიდრე სხვა მაზრებში. და მაინც, აქ ალიაქოთი ატყდა, სხვა მაზრებში კი აჯანყება არ ყოფილა. ძირითადი მიზეზი აქ ეკონომიკაში იმალება. აღმოსავლეთ საქართველოს გლეხებს საბჭოთა ხელისუფლებამ თავად-აზნაურობის მიწა მისცა, დასავლეთ საქართველოს ნაწილშიც გლეხებმა საბჭოთა ხელისუფლებისგან მიიღეს მიწა, სენაკის მაზრაში მიწა ძალიან ცოტა აღმოჩნდა, ოზურგეთში კი საერთოდ არ იყო.

გურულმა გლეხებმა თავის აზნაურობასთან დავა ჯერ კიდევ 1905-1906 წლებში დაამთავრეს. მაშინ ისინი მარტო მიწას კი არ ართმევდნენ აზნაურებს, არამედ ფიზიკურად სპობდნენ კიდეც მათ. გურული გლეხობა ყველაზე ლატაკია, ის ყოველთვის გარესაშოვარით ირჩენდა თავს. ჩვენი პორტები, ბათუმიდან მოყოლებული ოდესამდე, გურულებით გავსებდათ სავსე. იყო იაფი ინგლისური მანუფაქტურა, რომლის შესახებ გურულმა ყურმოკვრით კი არ იცის, არამედ ჰქონდა კიდეც მენშევიკების დროსაც და საქართველოს გასაბჭოების პირველ წელსაც. ახლა ის აღარ არის, ჩვენი კი ცოტაა და ძვირი. სავსებით სწორია ამხ. სტალინი, როცა ამბობს, კონტრაბანდული გზით შემოტანილი მანუფაქტურა ჩვენსაზე სამჯერ-ოთხჯერ იაფიაო. მენშევიკები გლეხებს გადასახადს არ ართმევდნენ, ჩვენ კი ვართმევთ და თან არცთუ ისე მცირე გადასახადს.

ტროცკი: სულ ასე იყო?

ორჯონიკიძე: დიახ, რაც მენშევიკები არიან. ისინი ცხოვრობდნენ საკმაო დიდი ქონებით, კავკასიის ფრონტის მერე რომ დარჩა ტფილისში. რა თქმა უნდა, 1921 წელს რომ არ გავეგდეთ, გლეხებს გადასახადის გამორთმევას დაუწყებდნენ, მაგრამ მათ დროს ეს არ ყოფილა.

ხმა: ირიბი გადასახადი?

ორჯონიკიძე: ირიბ გადასახადს, რა თქმა უნდა, აგროვებდნენ. აი, აქ უნდა ვეძებოთ ჩვენი წარუმატებლობის მიზეზი ოზურგეთის გლეხობაში. აქ, ეკონომიკურის გარდა, სხვა ვერავითარი ზომა ვერ გვიშველის. გურულ გლეხს მარტო აგიტაციითა და პროპაგანდით ვერ მოერევი, აგიტატორები ბევრი უნახავს და თვითონ წაუკითხავს ლენინიც, პლეხანოვიც და კაუცკიც. გურიას უმდიდრესი ინტელიგენცია ჰყავს. გურიაში სოფელი არ არის, რომ სკოლა არ ჰქონდეთ. ესე იგი, მასწავლებლებიც ყველა სოფელში ჰყავთ. ეს მასწავლებლები ან მენშევიკები არიან, ან სოციალ-ფედერალისტები. გურიაში უპარტიო მასწავლებელი იშვიათია. გურიაში 100% თუ არა, 90% წერა-კითხვის მცოდნეა. სამეგრელოში ჩვენს მოწინააღმდეგეთა წარმატების მიზეზიც მეგრელი გლეხობის ეკონომიკურ მდგომარეობაში უნდა ვეძიოთ. მეგრელი გლეხობა სიმინდით ცხოვრობს; სამეგრელო მთელი დასავლეთ საქართველოს წეღელი იყო. მენშევიკების დროს, როცა პური არ შემოჰქონდათ, მეგრული სიმინდი ძვირი ღირდა. ჩვენს დროს კი ქალაქებში სიმინდს არ იყენებენ და ძალიან ხშირად გლეხებიც ხორბლის პურს ყიდულობენ. სიმინდის ფასი უსაშველოდ დაეცა და მეგრელი გლეხები თავიანთი სიმინდით ვერაფერს ვერ ყიდულობენ. ის ხელისუფლება ურჩევნიათ, რომელიც სიმინდში მეტს უხდიდათ.

(დასასრული მე-12 გვ.).

(დასასრული)

როგორი იყო ეროვნული საკითხის როლი ამ აჯანყებაში? აჯანყება წამოიწყეს „დამოუკიდებელი საქართველოს" დროშით, „რუსების განდევნისა" და „რუსული უღლიდან განთავისუფლების" ლოზუნგებით. აქ უნდა ვთქვა, რომ ჩვენმა ეროვნულმა პოლიტიკამ გამოცდას გაუძლო. ჩვენი ავტონომიურ რესპუბლიკებს, ოლქებს (აჭარას, აფხაზეთს, სამხრეთ ოსეთს) და არაქართველებით დასახლებულ რაიონებს არ უსარგებლიათ აჯანყებით სეპარატისტული მიზნებისათვის. ...პირიქით, აჭარამ 1.500 უპარტიო აჭარელი ჩააყენა თურქეთის საზღვარზე იმ მხრიდან რაიმე პროვოკაციის თავიდან ასაცილებლად. ...მაგრამ თავის მოტყუება იქნებოდა, დანარჩენი სიმართლე რომ დაგვემალა.

როცა ეროვნული საკითხი გადახლართულია იაფ ინგლისურ მანუფაქტურასთან, კარგ ხელფასთან და გლეხის მიერ წარმოებული პროდუქტების კარგ ფასთან, მაშინ ქართველი გლეხი, როგორც ეს მეგრელებმა და გურულებმა აჩვენეს, უარს არ იტყვის ჩვენი წითელი დროშის ეროვნულ დროშაში გაცვლაზე, რადგან ეს პირდება იაფ მანუფაქტურას, გლეხური მეურნეობის მაღალ ფასებს და კარგ ხელფასს. და აქ, კიდევ ერთხელ რომ არ გაგვაწნან სილა, საკითხს ასე უნდა მივუდგეთ და რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, გადავწყვიტოთ.

მრავალრიცხოვანი ქართველი ინტელიგენცია — საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგია, შოვინისტურია, სომხოფობიურადაა განწყობილი... ტფილისში მეტოქედ სომეხ და რუს ინტელიგენციას მიიჩნევს. მენშევიკები უნდა, რადგან იმედი აქვს, რომ მენშევიკები სხვა ეროვნების ინტელიგენციას განდევნიან და ქართველი ინტელიგენტი სამოხელეო და საზოგადოებრივი ადგილების მონოპოლისტად იქცევა. სომეხ და ქართველ ინტელიგენციას შორის ბრძოლა დღევანდელი არ არის. მას დიდი ხნის ისტორია აქვს. ახლა ამ საკითხზე არ შევჩერდები. აქ საკითხის გადაჭრა უფრო ძნელია. ტფილისი, სადაც ძირითადად მიმდინარეობს ეს ბრძოლა, მხოლოდ ქართველებით როდია დასახლებული. აქ 37% სომეხია, 35% — ქართველი, დანარჩენები — რუსები და სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები. 1917 წელს აქ სომხები 37% იყვნენ, ქართველები კი — მხოლოდ 25%. რა თქმა უნდა, ლაპარაკიც ზედმეტია სომხების ან რუსების განდევნაზე. ჩვენი პარტია თანმიმდევრულად ატარებს XII ყრილობის გადაწყვეტილებებს ეროვნულ საკითხზე, მაგრამ სამწუხარო ისაა, რომ ქართველი ინტელიგენცია იმდენად მრავალრიცხოვანია, რომ შეუძლია მოხელეებით უზრუნველყოს არამარტო საქართველო და მთელი ამიერკავკასია, არამედ დიდი რაოდენობით გაგზავნოს ისინი რუსეთშიც. პარტია სასტიკად ებრძვის სომხურ-ქართულ ინტელიგენციის შოვინიზმს და ცდილობს ამ ინტელიგენციის მიზიდვას საზოგადოებრივ და საბჭოთა ორგანიზაციებში.

რამდენიმე სიტყვა ჩვენს ქართულ პარტიაზე. როგორ შეხვდა ამ მოვლენებს და გაუძლო თუ არა გამოცდას? ჩვენი პარტია საქართველოში უმთავრესად გლეხურია. ლენინურ გაწვევამდე აქ მუშები მხოლოდ 20% იყვნენ. ლენინურმა გაწვევამ რამდენადმე გაზარდა მუშების პროცენტი, მაგრამ ცოტათი. როგორც უკვე ვამბობდი, პარტიული ამხანაგები სოფლებში სათითაოდ არიან დაფანტულნი. ხშირად სოფელში, ერთ ოჯახში ბოლშევიკსაც შეხვდებით და მენშევიკსაც. ...აი, ამხანაგებო, ასეთია ჩვენი სინამდვილე.

ბუხარინი: და ასეა რიგით პარტიულებს შორისაც და მეთაურებს შორისაც?

ორჯონიკიძე: სამწუხაროდ, მეთაურთა შორის არიან ისეთები, ვისაც არ გაუწყვეტიათ ნათესაური კავშირი ანტისაბჭოთა ელემენტებთან.

ბუხარინი: სად დააპატიმრეს ჯუღელი?

ორჯონიკიძე: ჯუღელი ქუჩაში დააპატიმრეს. გურიაში, სოფლებში სათითაოდ დაფანტული კომუნისტები, დაახლოებით 600 კაცი, მენშევიკებმა დააპატიმრეს. სენაკის მაზრაშიც ასე მოხდა. საქართველოში დარჩენილი, დაუპატიმრებელი კომუნისტები კარგად იქცეოდნენ. ასევე იყო ზუგდიდისა და ქუთაისის მაზრებშიც. საერთოდ, მთლიანობაში, პარტიამ გამოცდას გაუძლო.

ორი სიტყვა რეპრესიებზე. ამაზე გაუთავებლად ლაპარაკობენ და თან ათასნაირ აბდაუბდას. ლაპარაკობენ 3-5 ათას დახვრეტილზე და ა. შ. სამწუხაროდ, ამაზე აქ, მოსკოვში უბედობენ კომუნისტები, თუმცა მშვენივრად იციან, რომ ეს სისულელეა. აჯანყების ჩახშობისას სულ დახვრეტილი და მოკლულია 980 კაცი. აქედან სულ მცირე, 95% თავადაზნაურობაა.

ტროცკი: ჩვენ რამდენი კაცი დავკარგეთ?

ორჯონიკიძე: 150. პოლიტბიურომ შეგვასწორა იმის გამო, რომ ვითომდაც არ გავითვალისწინეთ საქართველოში აჯანყების საერთაშორისო მნიშვნელობა და მასობრივ დახვრეტას მივმართეთ. ალბათ, ეს საყვედური სამართლიანია. ჩვენ საერთაშორისო ვითარება არ გამოგვრჩენია მხედველობიდან, მაგრამ ვფიქრობდით, რომ რაც უფრო მალე ჩავახშობდით და სხვა რაიონებში გადასვლის საშუალებას მოვუსპობდით აჯანყებას, მით უკეთესი იქნებოდა ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობისათვის. ჩვენ ყოვლად აუცილებლად მიგვაჩნდა, მენშევიკური ავანტიურის გადამწყვეტი და სწრაფი ლიკვიდაცია. ვრცელდებოდა ყოვლად უაზრო ჭორები ბათუმსა და ფოთში ინგლისურ-ფრანგული დესანტის შესახებ, ამიერკავკასიასა და ჩრდილოეთ კავკასიაში საყოველთაო აჯანყების, მოსკოვში ტროცკისა და რიკოვის მკვლელობის, ტფილისში ნ. ჟორდანიას ჩამოსვლის შესახებ... პირველ დღეებში ერთი კაციც არ დაგვიხვრეტია და რეპრესიების გამოუყენებლობას მენშევიკები ჩვენი უძლურებით ხსნიდნენ. ასეთ ვითარებაში მივმართეთ მასობრივ დახვრეტას. შეიძლება, ცოტა მეტი მოგვივიდა, მაგრამ ახლა ამას აღარ ეშველება.

ტროცკი: მენშევიკები ხვრეტდნენ ტყვეებს?

ორჯონიკიძე: არა, ტყვეებს არ ხვრეტდნენ. როგორც ჩანს, ფიქრობდნენ, რომ თუ არ დახვრეტდნენ, უფრო იოლად შემოიტანდნენ დეზორგანიზაციას ჩვენს რიგებში. ...ის ღონისძიებები, რომლებიც აუცილებლად მიგვაჩნია, ჩამოთვლილია საქართველოს ცკ 4-7 სექტემბრის პლენუმის რეზოლუციაში. თქვენ რომ დაგირიგდათ. არა მგონია, წაკითხვა აუცილებელი იყოს. ამ რეზოლუციაში წერია, რომ ყოვლად აუცილებლად მიგვაჩნია ცკ პლენუმმა ყურადღება გაამახვილოს ეკონომიკურ ღონისძიებებზე. მთელი პასუხისმგებლობით უნდა განვაცხადო, რომ ... გაგვიძნელდება მენშევიკურად განწყობილ გლეხობასთან გამკლავება. ამით ვამთავრებ.

თავმჯდომარე: მართალია, არ გვიმსჯელია საქართველოს საკითხზე სოფლის ზოგად საკითხებთან დაკავშირებით, მაგრამ იქნებ ვინმეს უნდა აზრის გამოთქმა? არ არიან მსურველები? ამხ. კვირინგის წინადადებაა, საფუძვლად რეზოლუცია მივიღოთ. კენჭს ვუყრით იმას, რომ კამათის გარეშე გადავიდეთ რეზოლუციის განხილვაზე. ვინ არის ამ წინადადების მომხრე? უმრავლესობა. წინააღმდეგი? არავინ. რეზოლუცია საფუძვლადაა მიღებული. საბოლოო რედაქტირება და აქედან გამომდინარე კონკრეტული ღონისძიებების მიღება განსაზღვრელად გადავცეთ პოლიტბიუროს. სხვა წინადადებები არ არის?

ტროცკი: ოღონდ არა რედაქტირება. ჩემი აზრით, იქ შეიძლება იყოს დამატებები და ცვლილებები.

თავმჯდომარე: მაშინ ჩვენ ვიტყვით არა „რედაქტირებას", არამედ „საბოლოო განხილვას". მიღებულია. ამით ცკ პლენუმის დღის წესრიგი ამოწურულია. პლენუმს დახურულად ვაცხადებ.

# ყველა ჩვენთაგანი ცდებოდა

„ჩვენ ვცდებოდით... არაერთგზის დავრწმუნდი ჩვენს შეხედულებათა მცდარობაში... ძალაუფლების ტალღამ აგვიტაცა..."

ასე წერდა ლენინი 69 წლის წინათ.

**1921 წლის 25 აგვისტოს ფრანგულ გაზეთ „სუარში" გამოქვეყნდა ლენინის მიერ შვეიცარიაში მცხოვრები მეგობრისათვის 1921 წლის 10 ივნისს გაგზავნილი წერილი. დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ლორდმა კერზონმა, ინგლისურად თარგმნილი წერილი კაბინეტის წევრებს აგვისტოშივე დაუგზავნა ასეთი შეტყობინებით: „კაბინეტს ალბათ დააინტერესებს ლენინის კონფიდენციალური წერილის ასლი. მისი უტყუარობა უეჭველია. იგი დიდი მნიშვნელობის აღმოჩენაა". 1921 წლის 30 აგვისტოს დემოკრატიული ლატვიის გაზეთ „რიჟსკი კურიერში" გამოქვეყნებული ეს წერილი გადმობეჭდა გაზეთმა „ლატვია სევოდნია" 1990 წლის აპრილში სათაურით „ლენინის უკანასკნელი [illegible]".**

**გთავაზობთ ამ წერილს მცირეოდენი შემოკლებით.**

●

ჩემო კარგო მეგობარო, თქვენ მეკითხებით, კვლავინდებურად ოპტიმისტური და მშვიდი რატომ აღარაა ჩემი წერილების ტონი. ვფიქრობ, თუკი შევხვდებით, თქვენ მეტად განგაცვიფრებთ ის ცვლილება, რაც ჩემში მოხდა და უნებლიეთ ირეკლება ჩემს წერილებში. წარმოიდგინეთ ადამიანი, რომელიც სამი წლის განმავლობაში ყოველდღიური შრომისას ვერც ერთ წუთს ვერ იცლის თავისი თავისათვის და ვერ წყდება უზარმაზარ სამუშაოს, რომელსაც მიაქვს მისი მთელი დრო, ენერგია და ძალები. სულ უფრო და უფრო ხშირად მაგონდება ციურიხში გატარებული ბედნიერი დღეები, ჩვენი ხანგრძლივი საუბრები მომავალ სოციალურ ძვრაზე, საზოგადოებრივ ფორმათა, კლასობრივ ურთიერთობათა ცვლაზე. თქვენი პრაქტიკული ჭკუა არ შეესაბამებოდა ჩემს შეხედულებებს რეალურ სინამდვილეზე, რის წვდომასაც მე და ჩემმა თანამოაზრეებმა შევალიეთ მთელი ჩვენი ძალა და შესაძლებლობა.

რუსეთის რევოლუციის ფაზების სამწლიანმა უწყვეტმა შესწავლამ თვალი ამიხილა: ყველგან არ უნდა ვეძიოთ კლასობრივი ცნობიერების გენია ან ამა თუ იმ კლასის კოლექტიური ინსტინქტი, რაც უბიძგებს კლასის წევრებს ქმედებისა და მუშაობისაკენ აუცილებელი მიმართულებით. მხოლოდ და მხოლოდ ცალკეულ პიროვნებათა ძლიერება, რომელთა ნება თავიანთი კლასის დონეზე მაღლდება, მართავს ამ კლასს და უკარნახებს მას მოცემული მომენტისათვის სასარგებლო და აუცილებელ მეთოდებს. **ყველა ჩვენთაგანი ცდებოდა, ანიჭებდა რა კლასს ასეთ უზარმაზარ მნიშვნელობას. ჩვენ კლასს ვსახავდით ერთგვარ ინტელიგენტურ ორგანიზმად, რომელსაც თავისი სურვილების უშუალო პირდაპირი გამოხატვის უნარი შესწევდა. კლასი კი გამოდგა ისეთი ორგანიზმი, რომელსაც თურმე არ გააჩნია თავისუფალი ნების ინტელექტი და არ აღმოაჩნდა ქმედების არანაირი უნარი.** თავისი თავის ამარა დარჩენილი კლასი მართული ხდება ბრძოლის კლასობრივი ინსტინქტითა და შეგნებით, რითაც შეპირობებულია მიმდინარე მომენტის მოთხოვნები. კლასის ქმედებას, როგორც ასეთს, მუდამ აკლია სალი აზრი, რადგან შემდგომ ბრძოლას არ ითვალისწინებს. კლასის ცხოვრება დიდი მოლუსკის ცხოვრებაა, რომელიც ერთნაირი ენერგიით იბრძვის როგორც კნინი, ასევე ძლიერი მტრის წინააღმდეგ, რომელზეც ზოგჯერ მისი არსებობაცაა დამოკიდებული. **ბრძოლის შემდგომი ფაზების გაწვრეტა მხოლოდ ცალკეულ პიროვნებათა ნებას, თავისუფალი ინტელექტის შემოქმედებით სულს ძალუძს. მე და ჩემმა კოლეგებმა არ გავითვალისწინეთ საზოგადოებრივი ცხოვრების ეს უმთავრესი ფაქტორი, რაც გამოვლინდა კლასის ცნების ჩვენეულ არასწორ განმარტებაში.** რუსეთის რევოლუცია იძლევა დაკვირვებათა უსასრულო პერსპექტივებს, რომელთა საშუალებითაც **მე არაერთგზის დავრწმუნდი ჩვენს შეხედულებათა მცდარობაში** და თქვენს სისწორეში.

ახლა ჩემზე. მე დავიღალე. ამას დღითიდღე უფრო და უფრო ვგრძნობ. ჩემი ობიექტური დაკვირვებებით მე მივისწრაფვი იმ დასკვნათა შესამოწმებლად, რომელთაც მივუძღვენი ჩემი სიცოცხლე. აღარა მაქვს ის ნერვები. სულ უფრო და უფრო მაღიზიანებს გარშემომყოფთა უბადრუკობა და ბურჟუაზიულობა, რაც შლის პარტიის მტკიცე ორგანიზმს. სრულიად შეუძლებელია სახელმწიფო შრომა ახლა არსებული ფორმით. ჩვენმა ქორფა ბიუროკრატიამ მთლიანად გადაიღო თავისი წინამორბედის შეცდომები, მისი მიამიტობით მმართველთა და მართულთა შორის უფსკრული უფრო ჩაღრმავდა. გაგვიცრუვდა კოლექტივის ინსტინქტზე დამყარებული იმედი. **მუშათა და გლეხთა კლასობრივ შეგნებაზე ჩვენმა შეხედულებებმაც ფიასკო განიცადა.** მე ახლა ვიხსენებ 1917 წელს რუსეთში გამომგზავრებისას თქვენს გამოსათხოვარ ფრაზას. თქვენ მითხარით, გავფრთხილებოდი და არ დამევიწყებინა, ემიგრაციის წლებში რუს საზოგადოებას უშუალოდ რომ ვერ ვაკვირდებოდი, რომ გადავეჩვიე რუსი გლეხისა და მუშის სულის შეცნობას. **აქ კი ძალაუფლებისა და წარმატების ტალღამ ყველა ჩვენგანი აიტაცა.**

მე მასებს მივაწოდე მომავალ სოციალურ რეფორმათა ფართო პერსპექტივები. ვცდილობდი, პროლეტარიატის განვითარებულ ფენებში გამეღვიძებინა თვითშემოქმედება, რომელიც ცენტრის დირექტივებს შეასრულებდა ადგილზე. ამით სოციალისტური სახელმწიფოს ფუნდამენტი შექმნებოდა, რაც მსოფლიო ხალხებს მაგალითად ექნებოდათ. უნდა გითხრათ, რომ **მე არ ვიყავი მართალი და პარტიის ძალები, რუსი მუშა და გლეხი გადაჭარბებით შევაფასე.** მოკლედ გეტყვით, რუსმა მუშამ და გლეხმა უღალატეს თავიანთ ინტერესებს. **პარტიასაც უნებლიე ღალატი გამოუვიდა, რადგან თავისი ლმობიერებითა და მონური ფსიქოლოგიის წყალობით შეანელა რევოლუციური აღტყინება, ნახევარ გზაზე მიატოვა რევოლუციური ფსიქოლოგიის განვითარება.** გულუბრყვილობა, ბავშვური სისასტიკე, მომავალი დღისათვის შრომის აუცილებლობის შეუგნებლობა, ახალ აზრთა მიუღებლობა, — აი, ეს კაშხალი, რომელიც გმირული თავდადების მიუხედავად ვერ გავარღვიეთ. ჩვენ თუ კიდევ ვართ და ძალაუფლებას ვინარჩუნებთ, მხოლოდ და მხოლოდ პარტიის სასიცოცხლო ძალის მეშვეობით. მაგრამ მე ვგრძნობ, რომ დღითი დღე ილევა პარტიის ძალა. შინაუთანხმოებანი და ცალკეულ პირთა ცრუ თავმოყვარეობა, პირად ინტერესთა საზოგადოებრივზე მაღლა დაყენება ხრწნის პარტიას. კარგა ხანია, რაც შევიგნე კომპრომისთა, ჩვენი მხრივ დათმობათა აუცილებლობა. ამის გარეშე ვეღარ გავძლებთ. რევოლუციური მილიტარიზმის იმედი არ უნდა გვქონდეს. პარტია დაიღუპება, რადგან ამოწურავს თავისი ცოცხალი ძალის მარაგს, იქნებ ემიგრაციის სოციალისტურ ჯგუფებს მოელაპარაკოთ რამენაირ კომპრომისზე. იქნებ თქვენც, ჩემო ძველო მეგობარო და სავსებით უპარტიო ადამიანო, თქვენც დაამყაროთ კონტაქტი ჩვენს ემიგრაციასთან და მოელაპარაკოთ ხელმძღვანელებს. მე ველოდები თქვენგან ცნობას, რადგან დრო არ ითმენს და ჯობს, დღეს შეითანხმდეთ, ვიდრე ნახევარი წლის შემდეგ, როდესაც ალბათ უკვე ძლიერ დაგვიანდება. უახლოეს ხანში ველი თქვენს წერილებს.

მთელი გულით
თქვენი ვ. ულიანოვი.

პუბლიკაცია მოამზადა
მარიკა ჯიქიამ.

# თვალსაზრისი

**დავით აღმაშენებლის ძეგლის აგება თბილისში უდიდესი ეროვნული მოვლენაა. ამიტომ სრულიად ბუნებრივია ის ინტერესი, რომელსაც საზოგადოებრიობა ამ ძეგლის პროექტისადმი იჩენს. დღეს, საჯაროობის პირობებში, განსაკუთრებული გულისყურით უნდა იქნეს განხილული და აწონილ-დაწონილი ყოველი წინადადება, რათა სახელოვანი წინაპრის ქვაში თუ სხვა მასალაში გამოკვეთილი სახე სამაგალითო და შთამბეჭდავი დარჩეს შემდგომი თაობებისთვისაც.**

**სწორედ ამ მიზანს ითვალისწინებს ჩვენი სურვილებიც, რაც გაგვიჩნდა ძეგლის ესკიზის ფოტოასლების გაცნობის დროს.**

**უპირველეს ყოვლისა, ფრიად მნიშვნელოვანია ძეგლისათვის შესაფერისი ადგილის შერჩევა.**

**თბილისის გამათავისუფლებლის ძეგლი უნდა დაიდგას ქალაქის წინასწარ შერჩეულ ყველაზე თვალსაჩინო ადგილას, ცენტრში და თავისი მონუმენტურობით უნდა ჰქმნიდეს განსაკუთრებულ გარემოს, რომელიც არ უნდა შეიზღუდოს სხვა ახალი არქიტექტურული ნაგებობით, აღქმის არე კი მხოლოდ მის ირგვლივ უნდა იყოს კონცენტრირებული. ამიტომ, ჩემი აზრით, ამ მიზნისათვის ვერ გამოდგება ე. წ. რესპუბლიკის „მთავარი მოედანი", სადაც იგი აუცილებლად „ჩაიკარგება" არქიტექტურულად ისედაც დისჰარმონიულ გარემოში ამ მოედნის არქიტექტურული ანსამბლის დანამატად იქცევა. მკაცრად შემოზღუდულ სივრცეში შთაინთქმება და სხვის არეში სრული მონუმენტურობით ვეღარ წარმოჩნდება. ძეგლისთვის ერთადერთ შესაფერ ადგილად ლენინის მოედანი გვესახება, მით უფრო ძველი და ახალი თბილისის ამ შესაყართან მისი დადგმა გარკვეულად სიმბოლურიც იქნება და, რაც მთავარია, სავსებით შეასრულებს თავის ამაღლებულ ფუნქციას.**

**ბელადის ძეგლის დადგმა კი, თუ აუცილებელია, სწორედ რესპუბლიკის „მთავარ მოედანზე" აჯობებს.**

**ძეგლის კომპოზიციასთან დაკავშირებით კი შემდეგი უნდა ითქვას: ჯერ ერთი, ნაკლებად დინამიკური გვეჩვენება ცხენზე ამხედრებული მეფე ის ხომ მტერთა ძლევის შემდეგ, ეს-ესაა შემოიჭრა ახლად განთავისუფლებულ დედაქალაქში. ამასთან ერთად, ალბათ, აჯობებდა მეფის ვერცხლის გვირგვინით შემკობა, — იგი უფრო მკვეთრად გამოჩნდებოდა და ბოლოს, უნდა ითქვას, რომ ფაქტიურად არავითარი კონკურსი არ გამოცხადებულა, საზოგადოება კი მომხდარი ფაქტის წინაშე აღმოჩნდა მაშინ, როცა სათანადო ორგანოების მიერ პირდაპირ იქნა მოწონებული დიდგორის „კონკურსში" გამარჯვებული მ. ბერძენიშვილის მიერ შექმნილი ესკიზური პროექტი. ჩვენ, რასაკვირველია, არაფერი გვაქვს საწინააღმდეგო, მაგრამ ცოტა უხერხულია, ამ საჯაროობის პერიოდში ერთი და იგივე ავტორის ქანდაკების დუბლირება, იქმნება სტილისტური ერთფეროვნების საშიშროება, ამასთან, ეს ძველი და ახალი თაობის ნიჭიერ წარმომადგენელთა იგნორირებაცაა.**

**ყველა დიდმნიშვნელოვანი ეროვნული ესკიზური პროექტი მიღებული უნდა იქნას მხოლოდ კონკურსის გზით და მასში ფართო საზოგადოებრიობის აქტიური მონაწილეობით.**

**აქ აჩქარება ყოვლად დაუშვებელია.**

ბორის მანაგაძე
საქართველოს დამსახურებული მხატვარი

# ამერიკა და დამოუკიდებელი საქართველო 1919 წელს

## ალექსი ჩოხელი

ა, ასეთი სათაურით ვაპირებ სულ მალე წარვუდგინო მკითხველს ჩემი მონოგრაფია. ეს იქნება ფრიად სოლიდური, მაგრამ ფართო მკითხველისათვის საკმაოდ მოსაწყენი თხზულება. ამ წიგნს, ალბათ, ყველა შეიძენს (აბა, ყური მიუგდეთ, რა დიდებულად ჟღერს: ამერიკა და საქართველო!), მაგრამ, დარწმუნებული ვარ, რომ ბოლომდე ცოტა თუ ჩაიკითხავს. ამიტომაც უპრიანი იქნება ჯერ მკითხველს სხვა სახის ინფორმაცია შევთავაზო — ნაწყვეტი მოგონებიდან ამერიკელი გენერლის ჯეიმს ჰარბორდისა, რომელიც ამერიკის პრეზიდენტის დავალებით ეწვია თურქეთსა და ამიერკავკასიას, რათა გაერკვია შესაძლებლობა ამ რეგიონებზე შეერთებული შტატების მიერ მანდატის აღებისა. საქმეში ჩახედული მკითხველისათვის კარგადაა ცნობილი ჰარბორდის მოხსენება, ხოლო რაც შეეხება მის მემუარებს, იგი სპეციალისტებისათვისაც კი სრულიად უცნობია. ეს ადვილად დაადგინა ლენინის ბიბლიოთეკის საინფორმაციო სამსახურმა. მეის კონგრესის ბიბლიოთეკაში ერთ ნაკლებად ცნობილ ძველ ამერიკულ ჟურნალში აღმოვაჩინე („The World's Work", XL, 1920 წ.).

იმისათვის, რომ მკითხველი საქმის ვითარებაში გაერკვეს, შევეცდები მოკლედ აღვწერო მაშინდელი საერთაშორისო მდგომარეობა, აშშ-ს პოლიტიკა და დამოუკიდებელი საქართველოს რთული საშინაო ვითარება, რომლის ფონზეც ცდილობდა თავისი მისიის განხორციელებას ამერიკელი გენერალი.

1919 წელი... გამარჯვებული სახელმწიფოები შეიკრიბნენ პარიზში, რათა გაერკვიათ ომისშემდგომი მსოფლიოს ბედ-იღბალი. ამერიკა, ძლიერი, ეგოისტური, თავის დემოკრატიულ ტრადიციებზე შეყვარებული... ამერიკა, რომელიც დარწმუნებული იყო თავის უპირატესობაში ძველ სამყაროსთან და, აქედან გამომდინარე, ოდნავ მიამიტიც (ყოველივე ეს იდეალურად იყო განსახიერებული მის პრეზიდენტში), მოლაპარაკების მაგიდასთან პირისპირ აღმოჩნდა სწორედ იმ ევროპელ მტაცებლებთან, რომელთაც მართალია ზემოდან უყურებდა, მაგრამ თანაც უფრთხოდა მათ. არადა, კონფერენციას წინ უდიდესი სამუშაო ელოდა. ხუმრობა საქმე ხომ არ იყო, ერთდროულად დაემხო სამი დიდი იმპერია: ავსტრია-უნგრეთის — ევროპაში, ოსმალეთის — აზიაში და რუსეთისა. ეს უკანასკნელი უდიდესი გულმოდგინებით ჩაება მსოფლიო ომში, რათა გარკვეული წილი რგებოდა მომაკვდავი თურქეთისაგან, მაგრამ ბედის ირონიით პირველი თვითონვე დაიქცა. 1918 წელს, ჯერ კიდევ ომის დამთავრებამდე, ამერიკელთა თვალსაზრისს მომავალი მსოფლიოს სტრუქტურაზე ვილსონმა თავი მოუყარა ცნობილ „14 პუნქტში", რომელმაც გადასანაწილებლად გათვალისწინებულ ტერიტორიებზე დასახლებულ ხალხთა ენითაუწერელი აჟიოტაჟი და იმედი გამოიწვია. სხვათა შორის, მეექვსე პუნქტი კავკასიას შეეხებოდა. „ალბათ მოგვიხდება კავკასია განვიხილოთ როგორც თურქეთის პრობლემის ნაწილი" — ნათქვამი იყო მასში. ეს მაცდუნებელი უნდა ყოფილიყო რუსეთისაგან გამოცალკევებული ამიერკავკასიის რესპუბლიკებისათვის. მათ ხომ კარგად უწყოდნენ, როგორ იყო დაინტერესებული ინგლისი და საფრანგეთი რუსეთის მთლიანობის შენარჩუნებით, — იგი ხომ მათ ძველ მევალეს და გასაღების უზარმაზარ ბაზარს წარმოადგენდა. ვილსონი კი თითქოს იმთავითვე აღიარებდა ამიერკავკასიის რუსეთისაგან გამოყოფას, რაც ქართულ დიპლომატიას სასიამოვნო სიურპრიზად უნდა აღექვა. მალე ნათელი გახდება, თუ რა შორსმჭვრეტელური მიზნები ამოძრავებდათ ამერიკელებს... იქმნებოდა იმის შთაბეჭდილება, თითქოს პრეზიდენტმა არაფერი იცოდა, რომ ევროპის სახელმწიფოებს ჯერ კიდევ ომის დაწყებამდეც კი უკვე გადანაწილებული ჰქონდათ არამარტო გერმანიის კოლონიები, არამედ თურქეთის იმპერიაც. ეს გადანაწილება განმტკიცებული იყო მთელი რიგი საიდუმლო ხელშეკრულებებით. ბოლო, მეთოთხმეტე პუნქტად ვილსონი, თითქოსდა „პირის ჩასატკბარუნებლად", მსოფლიოს სთავაზობდა ერთა ლიგის, — ისტორიაში პირველი საერთაშორისო ხელისუფლების მსგავსი ორგანიზაციის, — შექმნას, რომლის ხორცშესხმის იდეაც კარგა ხანია აწვალებდა მაშინდელი სამყაროს განსაკუთრებით ცივილიზებულ წარმომადგენელთა გონებას. ოჰ, ეს საბრალო ერთა ლიგა, სტალინური აზირებული ისტორიოგრაფიის მიერ მრავალგზის განქიქებული, ე. წ. იმპერიალისტური სახელმწიფოების პოლიტიკის „იარაღი", „ევროპულ სახელმწიფოთა აგრესიული ზრახვების დამცველი", რომელსაც მხოლოდ დროის გარკვეულ მონაკვეთში ერგო პატივად წოდებულიყო სასარგებლო და პროგრესულ ორგანიზაციად: 1934 წლიდან, როცა მისი წევრი გახდა საბჭოთა კავშირი, ვიდრე 1939 წლამდე, როცა ის გამოძევებულ იქნა ერთა ლიგიდან ფინეთის წინააღმდეგ აგრესიის წამოწყების გამო (!)... თუმც, მოკავშირე სახელმწიფოები (ანუ ევროპის გამარჯვებული ქვეყნები ამერიკის გარეშე, რომელიც თავს „მიმხრობილ სახელმწიფოდ თვლიდა") ოფიციალურად არ ცნობდნენ ე. წ. „მეთოთხმეტე პუნქტს", მაგრამ კონფერენციაზე მაინც შეთანხმდნენ, რომ კოლონიები და მთელი რიგი სხვა ტერიტორიები დაურიგდებოდათ გამარჯვებულ სახელმწიფოებს ერთა ლიგის მანდატების სახით განსაზღვრული ვადით სამეურვეოდ. ასევე უნდა გადასცემოდა სამეურვეოდ რომელიმე სახელმწიფოს საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი. თუ რომელი ვის ერგებოდა, ამაზე ქვემოთ. და ამას კვლავ გაქნილი კალმოსნების ყაყანი მოჰყვა! „არიქა! კოლონიალიზმის რეციდივი! კოლონიები მანდატების ნიღბით!" მაგრამ... ყველა კოლონია და სამანდატო ტერიტორია ხომ უკვე კარგა ხანია, რაც სუვერენული სახელმწიფო გახდა. მათგან მხოლოდ ნამიბიაღა შემორჩა, მაგრამ ისიც უკვე აღწევს თავს მანდატის სტატუსს. ეს ისე, სიტყვამ მოიტანა და იმიტომ... საიდუმლო ხელშეკრულების თანახმად, რუსეთს უნდა მიეღო სომხური ვილაიეთები აღმოსავლეთ ანატოლიაში, კონსტანტინეპოლი და სრუტეები. გამოაცხადა რა თავი უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის მომხრედ, ლენინურმა რუსეთმა უარი თქვა მეფის რუსეთის მიერ ადრე დადებულ ყოველგვარ ხელშეკრულებებზე. ამით ანტანტას მოულოდნელად მხრებზე დააწვა ახალი „მძიმე" საზრუნავი: ვისთვის მიეცა რუსეთის წილი?

ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე ამერიკა განიმსჭვალა როგორც ლტოლვილი სომხების მიმართ გულწრფელი სიბრალულის გრძნობით, ასევე არც თუ უანგარო ინტერესებით თურქეთისა და ამიერკავკასიის ტერიტორიებისადმი. კაცმა რომ თქვას, რუსეთის გამოსვლამ თამაშიდან მოკავშირე სახელმწიფოებს მისცა ერთადერთი საშუალება დაეკმაყოფილებინათ ომში გვიან ჩართული ამერიკის მოთხოვნები. ამიტომ ლოიდ ჯორჯმა და კლემანსომ, რომლებიც პარიზის სამშვიდობო კონფერენციის დასაწყისიდანვე განაგებდნენ ტერიტორიათა დანაწილებას სამანდატოებად, 1919 წლის იანვარში შესთავაზეს ამერიკას აელო მანდატი სომხეთზე (იგულისხმებოდა როგორც თურქეთის, ასევე ამიერკავკასიის სომხეთი საერთოდ). როგორც ცნობილია, საქართველო და აზერბაიჯანი იტალიელებს შესთავაზეს. უნდა ითქვას, რომ იტალიელები არავის ეპრიანებოდა. როგორც კოლონიზატორები და, თუ გნებავთ, როგორც მეურვეები ისინი ყველასათვის ოდიოზურნი იყვნენ. მე არაერთხელ მსმენია ამ გარდასულ ამბავთა მომსწრეთაგან, თუ როგორ მიიღეს საქართველოს მთავრობასთან დაახლოებულმა წრეებმა ცნობა იტალიელთა მოსვლის შესახებ: „არ არის საჭირო მათი აქ შემოშვება! შეგვირყვნიან ქვეყანას". სხვათა შორის, ახლო აღმოსავლეთში არც ინგლისი მიაჩნდათ ღვთის წყალობად, — ჯერ კიდევ ცოცხალი იყო ის თაობა, რომელსაც მშვენივრად ახსოვდა სიპაჰელთა ზარბაზნებით ამოჟლეტა და კოლონიზატორთა სხვა თავშესაქცევი ამბებიც. ფრანგებზე ხომ ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. საფრანგეთის დაუოკებელმა ლტოლვამ სირიისაკენ მთლიანად დაიპყრო მისი ყურადღება და, გარდა ამისა, ფრიად არასაიმედო გახდა ბოლშევიკების პროპაგანდით გაბრუებული ყირიმსა და უკრაინაში განლაგებული მისი საჯარისო ნაწილები.

მალე ცხადი გახდა, რომ ერთადერთი რეალური ძალა, ვისაც შესწევდა უნარი ინგლისელები შეეცვალა ამიერკავკასიაში, იყო ამერიკა. მას შემდეგ, როცა გაირკვა, რომ იტალიის ახალი მთავრობა უარს ამბობდა საქართველოსა და აზერბაიჯანის მანდატზე, მოისპო ცილობით აღმართული უკანასკნელი ხელისშემშლელი ჯებირები და ამერიკას გზა გაეხსნა ჩვენი ქვეყნისაკენ. ფაქტობრივად, ამერიკელები იქცნენ ყველასათვის სასურველ მეურვეებად ამიერკავკასიისათვის და ახლა მოკავშირეები მათ სთავაზობდნენ მზამზარეულ ლუკმას. 5 ივლისს მოკავშირეთა უმაღლეს კომისრად კავკასიაში დანიშნულ იქნა ამერიკელი პოლკოვნიკი ჰასკელი. დაიდო რა ბინა თბილისში, იგი, შეიძლება ითქვას, აქედან ბომბავდა პარიზს დეპეშებით. იგი ყოველ ხერხს მიმართავდა, რათა როგორმე შეეჩერებინა ინგლისელთა წასვლა რეგიონიდან, ვიდრე მათი შემცვლელი ჯარები არ შემოვიდოდნენ. თავის მხრივ, ომის შემდგომი კრიზისი აიძულებდა ინგლისს დაეჩქარებინა ჯარების გაყვანა, თუმც არც ის სურდა, რომ მათ შემდეგ რეგიონში ვაკუუმი დარჩენილიყო. ტყუილად კი არ ეშინოდა ლოიდ ჯორჯს, ვაითუ, წითელმა არმიამ ბრიტანეთის სამფლობელოებზე ახლო აღმოსავლეთში შეტევა წამოიწყოსო. რაოდენ სარკაზმს იწვევდა ინგლისის პრემიერის ეს ფობია საბჭოთა ისტორიკოსებს შორის! ნახეთ, რა აბსურდამდე მისულა იმპერიალიზმის ეს პატრიარქი, რათა როგორმე გაამართლოს დასავლეთის ინტერვენცია კავკასიაში! თურმე მოხუცს ტყუილად არ შინებია. შარშან „პრავდამ" გამოაქვეყნა ცნობები, რომ სინამდვილეში მართლაც არსებობდა მაშინდელი სამხედრო კომისრის ტროცკის სტრატეგიული გეგმა, რომელიც მიზნად ისახავდა წითელი არმიის ლაშქრობას ინდოეთზე („პრავდა", 3 მარტი, 1989 წ.). თუ სიმართლე გსურთ, ასე იყო საქმე.

თუმცა პრეზიდენტი ვილსონი მანდატის აღების ჭეშმარიტი ენთუზიასტი იყო, მაგრამ ამის განხორციელება არცთუ იოლი საქმე გამოდგა. 1919 წლის გაზაფხულზე პრეზიდენტის საგარეოპოლიტიკური ინიციატივების წინააღმდეგ ამერიკის კონგრესსა და სენატში ჩამოყალიბდა საკმაოდ სერიოზული ოპოზიცია, როგორც ექსპერტები ვარაუდობდნენ, სამანდატო სომხეთის ასათვისებლად, ამერიკისათვის საკმარისი იქნებოდა 20000-იანი საექსპედიციო კორპუსი. თუმც ამის თაობაზე სხვა შეხედულებებიც არსებობდა. ბორი, ლაფოლეტი და სხვა სენატორები ვილსონის მოთხოვნებს სენატში ყოველი გამოსვლისას აცამტვერებდნენ. დიახ... ეს თქვენ ავღანეთისათვის ყბადაღებული ინტერნაციონალური დახმარების ამბავი არ გეგონოთ! ამ დროს გახდა სენატში ყველაზე პოპულარული ასეთი რიტორიკული შეძახილი: „კი მაგრამ, სად ვაგზავნით ჩვენს ბიჭებს?!" დაიძრა იზოლაციონიზმის არნახული ტალღა, ოპოზიციას სათავეში ედგა ვილსონის დაუძინებელი მტერი ჰენრი ქებოტ ლოჯი. ეს ფრიად ნიჭიერი და, ამასთანავე, უზომოდ ჯიუტი სენატორი რომ არ გამომტყვრალიყო, ვინ იცის, საქართველოს დამოუკიდებლობას რა ბედი ეწეოდა!

ემზადებოდა რა იზოლაციონისტებთან გადამწყვეტი ბრძოლისათვის, ვილსონმა გადაწყვიტა მათ წინააღმდეგ გამოსაყენებლად თადარიგში ჰქონოდა შეუვალი კონტრარგუმენტები. ამ მიზნით მან 1919 წელს ახლო აღმოსავლეთში, თურქეთსა და ამიერკავკასიაში მიავლინა ორი სადაზვერვო ექსპედიცია: კინგ-კრეინის კომისია და გენერალ ჰარბორდის სამხედრო მისია.

კინგმა და კრეინმა გაზაფხულ-ზაფხულში გამოიკვლიეს მთელი ლევანტი. მათ მიზნად ჰქონდათ დასახული, გაერკვიათ, თუ როგორ მეურვეებს მოისურვებდნენ ახლო აღმოსავლეთის ესა თუ ის ტერიტორიები. თავისი უნდა მივაგოთ კომისიის კეთილსინდისიერებას: კვლევის მასშტაბურობა და მოსახლეობის სხვადასხვა ფენების გამოკითხვა ხასიათდებოდა შესაშური სკრუპულოზურობით და პირუთვნელობით. შედეგიც სათანადო იყო: ახლო აღმოსავლეთის თითქმის ყველა ქვეყანას თავის მეურვედ ამერიკა სურდა. აი, აქ უნდა გავიხსენოთ ზემოთ გაკვრით ნათქვამი ქართული დიპლომატია. როგორც ჩანს, მან სწორად შეაფასა ამიერკავკასიაში ამერიკელთა გამოჩენის მნიშვნელობაც და მათი შესაძლებლობანიც. იგი იმთავითვე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ამერიკელებთან კონტაქტს. ერთ-ერთი პირველი ცდა მოხდა პარიზში. 1919 წლის 11 ივნისს ქართველები შეხვდნენ პრეზიდენტ ვილსონის უახლოეს მეგობარსა და მრჩეველს პოლკოვნიკ ჰაუზს.

თითქოს ჯიბრზე, ყოველთვის ენაწყლიანი პოლკოვნიკი თავის ცნობილ დღიურში ამის თაობაზე მხოლოდ ფაქტების მშრალი კონსტატაციით შემოიფარგლა. როცა კინგი და კრეინი ახლო აღმოსავლეთის გამოკვლევის შემდეგ კონსტანტინეპოლში ჩავიდნენ (ანატოლიასა და სომხეთში მათ არ უმოგზაურიათ, მაგრამ მიიღეს და მოუსმინეს ამ რეგიონის დელეგაციებს) 11 აგვისტოს მათთან გამოცხადდა საქართველოს წარმომადგენლობა. ამის თაობაზე ანალებში ისევ და ისევ მხოლოდ მწირი ჩანაწერია შემონახული: „ქართველებმა განაცხადეს... რომ მათ ესაჭიროებათ ფინანსური და ეკონომიკური დახმარება და იმედოვნებენ, რომ დიდი სახელმწიფოები ნებას დართავენ მათ, დარჩნენ რუსეთისაგან გამოცალკევებულები, რადგან მათი წესჩვეულებანი სხვადასხვაა". აქ უკვე ნათლად ჩანს საქართველოს სურვილი, რომ ამერიკის მანდატი მასზეც გავრცელებულიყო.

ბოლოს, როგორც იქნა, მივადექით ქვემოთ შემოთავაზებული მემუარების ავტორს, გენერალ ჰარბორდს. არ შემოიფარგლა რა კინგ-კრეინის ანგარიშით, ვილსონმა თურქეთსა და ამიერკავკასიაში გააგზავნა მისია ამ მხცოვანი გენერლის მეთაურობით. ამაში გამოიხატა არა მხოლოდ პრეზიდენტის მერყეობა (ღირდა თუ არა მანდატის აღება?). ის ჯერ კიდევ ეძებს გადამწყვეტ კოზირს სენატთან შეტაკებაში. ისე ჩანდა, თითქოს ბედმა გაუღიმა საქართველოს და... კვლავ იმედის გაცრუება. საქმე ისაა, რომ სწორედ მაშინ ამოქმედდა საბედისწეროდ ამერიკის ექსპანსიონიზმის ყბადაღებული დოქტრინალური პრინციპი (ის აღმოცენდა ჯერ კიდევ საუკუნის გარიჟრაჟზე ფილიპინების დამორჩილების დროს) — „ყველაფერი ან არაფერი". ეს პრინციპი სამოქმედოდ მოიმარჯვეს არა მარტო ვილსონის მომხრეებმა, რომლებიც ესწრაფვოდნენ მიეღოთ მანდატი თურქეთისა და ამიერკავკასიის უზარმაზარ ტერიტორიაზე, არამედ იზოლაციონისტებმაც, რომლებიც ამერიკის უსაზღვრო მადის დემონსტრაციით ცდილობდნენ გაეღვივებინათ მოკავშირეებში მიძინებული ამერიკანოფობია და ამით მიეღწიათ იმისათვის, რომ ამ უკანასკნელთ უარი ეთქვათ ამერიკელებისათვის მანდატის მიცემაზე. ცხადია, რომ ზემოხსენებული პრინციპის დადებითი ნახევრის განხორციელების შემთხვევაში საქართველო აუცილებლად ექცეოდა ამერიკის მეურვეობის ქვეშ, მაშასადამე, იზოლაციონისტების აქტიურობა ამ საკითხში დამღუპველი იყო საქართველოსათვის.

...ამ დროს კი მართლაც მრავალი იყო მიზეზი იმისა, რომ საქართველოს მთავრობას ძილი გაფრთხობოდა. ამ დროს ქედის მიღმა ჯერ კიდევ ბობოქრობდა დენიკინი. ახლოვდებოდა საფრთხე ეკონომიკური კრიზისისა. ნოე ჟორდანია ჩიოდა: იმის ნაცვლად, რომ წარმოებისათვის მოეკიდათ ხელი, ეშენებინათ ფაბრიკა-ქარხნები, მისმა თანამემამულეებმა ხელი მიჰყვეს ვაჭრობასა და გეშეფტს (ნუთუ არაფერს აგონებს ეს მკითხველს? თუნდაც დღეს სოკოსავით მომრავლებულ ნამცხვრის კოოპერატივებს!), რა გაეწყობა, როგორც ჩანს, ჩვენ ნამდვილად გვაქვს ამისაკენ მიდრეკილება. ვაჭრობა, საერთოდ, მალე იძლევა მოგებას; ვიყიდე-გავყიდე, ფული ჩავიჯიბე, მორჩა და გათავდა; ახლა უკვე სუფრის გაშლაც შეიძლება, სუფრაზე კი, იცოცხლე, გრძელ-გრძელ სადღეგრძელოებში იოლად და სწრაფად ვაშენებთ ელექტროსადგურებსაც, გაგვყავს რკინიგზებიც, ვაღორძინებთ მრეწველობას და საყვარელ სამშობლოს ეკონომიკურ სიძლიერეს ვმატებთ...

საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური სიძნელეები დენიკინს ტკბილ ზმანებას ჰგვრიდა, — ის ხომ რუსეთის იმპერიის აღდგენაზე ოცნებობდა. მან ჯაშუშებით აავსო ამიერკავკასია. ურიგო არ იქნება მკითხველს ვაუწყოთ, რომ გენერალმა საუცხოო დაზვერვა შექმნა, ე. წ. „აზბუკა". სხვათა შორის, იგი ძველი წრთობის კადრებისაგან შედგებოდა. არაჩვეულებრივი დაკვირვების უნარი, ფსიქოლოგიზმი, დახვეწილი რუსული! მათი რელაციები დღეს მიმზიდველი რომანივით იკითხება. მათი საშუალებით ქვეყნის იმდროინდელი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების ნათელი სურათი შესაძლებელია აღდგეს. დაახლოებით იმ დროს, როცა ჰარბორდის მისია თბილისს უახლოვდებოდა, დენიკინის მაგიდაზე მორიგი მოხსენებითი ბარათი გაჩნდა. მისი ერთ-ერთი პასაჟი შესანიშნავად წარმოგვიდგენს ჩვენი ქვეყნის მაშინდელ შინაურ ვითარებას.

რას იზამ, ასეა მოწყობილი ადამიანის გონება! მან რომ ცხოვრების პირველი ნახევარი ჯოჯოხეთში გაატაროს, მეორე ნახევარი კი — სამოთხეში, პირველი ნახევარი მას მაინც ისე მოაგონდება, როგორც ძველი საამური დრო, როცა საჭმელს სულ სხვა გემო ჰქონდა და დროსტარებას სხვა ლაზათი! თუ იმასაც დავუმატებთ, რომ სამოთხე არც თუ მთლად სამოთხეა, მაშინ იგი ჯოჯოხეთს უფრო ხშირად გაიხსენებს. ჩემი მინიშნება რომ უფრო ნათელი გახდეს, ერთი წამით ყური დაუგდეთ ზემოხსენებული რელაციის ერთ მოკლე პასაჟს:

„...სალდათის" ბაზარში ვიღაც გლეხი ცხვარს ყიდდა. მყიდველი აღაშფოთა შეთავაზებულმა ფასმა (ამ დროს ფასები უკვე მრავალნიშნა რიცხვებით გამოიხატებოდა — ერთი სიტყვით ამჟამინდელზე უარესი ინფლაცია ხრავდა ყველაფერს! — ა. ჩ.).

— შე კაცო, ასეთი ცხვარი ნიკოლოზის დროს მანეთზე მეტი არ ღირდა, — უსაყვედურა მან გამყიდველს.

(დასასრული მე-14-15 გვ.)

(დასასრული)

— შენ მე ნიკოლოზი დამიბრუნე, მე ამ ცხვარს მუქთად მოგცემო, — მიუგო გლეხმა...“ წარმომიდგენია, რა ხაამურად აუჩქროლდებოდა გული ამ პრაგმატიკოსი გლეხის პასუხის წამკითხველ მეფის ყოფილ გენერალს. არადა, რა მალე ქრება დამოუკიდებლობით გამოწვეული ეიფორია, თუ მას არ მოჰყვა ქვეყნის ეკონომიკური ალმავლობა.

თურქეთსა და ამიერკავკასიის რეგიონში ამერიკელთა შეღწევის მიზნად ცხადდებოდა „სომხეთის საკითხის“ გადაწყვეტა: სომხების დაცვა და მათთვის ერთიანი სახელმწიფოს შექმნა. ეს კი, ისევე როგორც სომეხთა ძლიერი და მდიდარი დიასპორა, დიდ უპირატესობას ანიჭებდა სომხებს საქართველოსთან და აზერბაიჯანთან შედარებით ამერიკის მფარველობის მიღწევისათვის ბრძოლაში. ამერიკის ყველა მისია, ყველა კომისარი და წარმომადგენელი ამიერკავკასიაში, უპირველეს ყოვლისა, სომხეთის გულისათვის მოდიოდა. თუმცა ბედმა საქართველოს სხვა კოზირი ჩაუგდო ხელში: იმ პერიოდში ერევანი ვერაფრით ვერ შეედრებოდა თბილისს, რომელიც ამიერკავკასიის პოლიტიკურ, სამხედრო და კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა. ასე რომ, ამერიკის ყველა წარმომადგენელი, რომელიც სომხების საქმეების მოსაგვარებლად მოდიოდა, თავის რეზიდენციად თბილისს ირჩევდა. სწორედ აქ ჩქეფდა დიპლომატიური ცხოვრება.

აზერბაიჯანელების უპირატესობა კი იყო ამერიკელთა დაინტერესება მათი ნედლეულის წყაროებით: ბაქოს ნავთზე დიდი ხანია თვალი ეჭირა სტანდარტ ოილს.

ამის მიუხედავად, ამერიკასთან ურთიერთობაში ქართველები და აზერბაიჯანელები თავს ღარიბ ნათესავებად გრძნობდნენ. ამის ნიადაგზე მათი დელეგაციების მეთაურებმა პარიზში ერთგვარი ბლოკიც კი შეკრეს. მათ გამონახეს ვიღაც ამერიკელი კონგრესმენი, რომელმაც იკისრა ყოფილიყო შუამავალი ამ ორ რესპუბლიკასა და ამერიკის კონგრესს შორის, რისთვისაც მათგან სოლიდური თანხა მიიღო. არა, ის ყალთაბანდი და არამზადა არ გეგონოთ, არ მიმალულა. იგი ჩხეიძესა და თოფჩიბაშევს აცნობებდა, თუ რა ტაატით მიიწევდა წინ საქართველოსა და აზერბაიჯანის საკითხი ამერიკის კონგრესში და თუ რა ძლიერი პოზიციები ჰქონდათ ამ მხრივ სომხებს. ის ემუდარებოდა მათ ორი-სამი კაცი მაინც გაეგზავნათ ამერიკულ სენატორებსა და კონგრესმენებზე ზეგავლენის მოსახდენად. მას ვიზებიც კი მზად ჰქონდა ამისათვის, მაგრამ არაფერი გამოვიდა — საქმეს თავი ვერ მოაბეს... (არადა, მაშინ ხომ გაცილებით იოლი იყო საზღვარგარეთ წასვლა, ვიდრე ახლა). მაგრამ არის ერთი საგულისხმო რამ ყველაფერ ამაში: როცა ამ საქმეს ვიძიებდი და ამერიკის კონგრესის ცნობარებში ვიქექებოდი, უნებლიეთ ერთ პიკანტურ ფაქტს წავაწყდი, — ქართველთა და აზერბაიჯანელთა ეს მფარველი ანგელოზი მაინცდამაინც 1919 წელს... არ ყოფილა კონგრესის წევრი; იგი წევრი იყო წინა წელს და კვლავ გახდა კონგრესის წევრი 1921 წელს, ანუ მაშინ, როცა მისი დახმარება საქართველოსა და აზერბაიჯანს, ვაი რომ, აღარაფერში სჭირდებოდა, უფრო სწორად — ველარაფერს უშველიდა. ამას გარდა, აქ ბევრი რამაა დასაზუსტებელი, მაგრამ, როგორც იტყვიან, „გამოძიების დასასრულამდე“ მას არ ვასახელებ.

შემოიარა რა თურქეთი, სომხეთი, საქართველო და აზერბაიჯანი, ჰარბორდმა ვილსონისათვის წარსადგენად შეადგინა მოხსენება. მან არ იკისრა პასუხისმგებლობა, გადაეჭრა ამერიკის მიერ მანდატის აღების საკითხი და ამიტომ მიმართა ფრიად მოხერხებულ გამოსავალს. მოხსენებაში ჩამოთვალა ყველა დადებითი და უარყოფითი არგუმენტი მანდატის აღების თაობაზე, სულ ოცდაშვიდი: 14 დადებითი და 13 უარყოფითი. მაგრამ, ვფიქრობ, თავისი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი ჰარბორდმა მაინც ვერ დაფარა. როცა მკითხველი ამ გენერალის მემუარებს გაეცნობა, თვითონვე დარწმუნდება მის სკეპტიციზმსა და აკვიატებულ განწყობაში დაენახა საქართველოს ფატალური განწირულობა: აქამდა იგი რუსეთს ეკუთვნოდა, ადრე თუ გვიან მასვე დარჩებაო...

ვილსონი დიდხანს უმალავდა კონგრესს ორივე ექსპედიციის მოხსენებას. ამ ხნის მანძილზე არ წყდებოდა სენატორთა მოთხოვნა გაეცნოთ მათთვის კინგ-კრეინისა და ჰარბორდის მოხსენებათა დასკვნები. ამას მათ მხოლოდ 1920 წელს მიაღწიეს.

1919 წლის შემოდგომაზე იმედგადაწურული ვილსონი შეეცადა მოეცილებინა სენატის მიერ მისთვის ამოდებული ლაგამი და საბოლოოდ გადაეწყვიტა მანდატის საკითხი. ვილსონის ერთგულ სენატორს ვილიამსს სენატში განსახილველად შეაქვს დოკუმენტი, რომლის საფუძველზედაც პრეზიდენტს ეძლეოდა უფლება საკუთარი სურვილის მიხედვით, კონგრესის თანხმობის გარეშე, გამოეყენებინა ამერიკის საექსპედიციო კორპუსი... და ბოლოს, ვილიამსს შეაქვს ოქტომბერში ცნობილი „რეზოლუცია № 106“. მისი მიღება გამოიწვევდა სომხეთში დაუყოვნებლივ ამერიკის ჯარის გაგზავნას. და კვლავ დგება საბედისწერო ჟამი ამიერკავკასიისათვის... და აქაც სრული ფიასკო, — რეზოლუცია უარყოფილ იქნა. ვილსონი სასოწარკვეთილია... მოწინააღმდეგენი გამარჯვებას ზეიმობენ... იზოლაციონიზმი ამაგრებს თავის პოზიციებს...

შემდგომში, 1920 წლის ივნისში, უარყოფითად გადაწყდება სომხეთზე ამერიკის მეურვეობის საკითხიც. დენიკინი განადგურებული იქნება და ამიერკავკასიის საზღვრებს მოადგება ახალი მრისხანე ძალა — წითელი არმია.

მაგრამ ყოველივე ეს მერე მოხდება. ახლა კი 1919 წელია, შემოდგომაა, ამერიკელი გენერალი ჰარბორდი თურქეთსა და სომხეთში მოგზაურობის შემდეგ თბილისში შემოდის...

მოვუსმინოთ მას.

## საქართველო

საქართველოს დედაქალაქ თბილისამდე (ერევნიდან, — ა. ჩ.) თითქმის ორასამდე მილი სახეფათო გზებია გასავლელი და ამიტომ ჩვენ ალიონზე გამოვედით, რათა როგორმე დაღამებამდე ჩაგვეღწია იქამდე.

ნახევრად დანგრეული ხიდების გადალახვაში ფათერაკებით სავსე შუადღე წამოგვადგა თავზე, ისე რომ ბოლო 20 მილი გატეხილი რესორებით ძლივსღა მივბობღავდით ოღროჩოღრო ქვაღორღიანი გზით.

თბილისი თანამედროვე ქალაქია 150-ათასიანი მცხოვრებით. ის ფრიად კოლორიტული და საინტერესო სანახავია. თითოეულ უბანს ცოტა უცნაური ელფერი კი დაჰკრავს, მაგრამ მთლიანობაში ერთობ მიმზიდველ სურათს წარმოადგენს. თბილისი იყო მთელი ამიერკავკასიის დედაქალაქიც, სადაც რუსეთის მეფისნაცვლის რეზიდენცია მდებარეობდა. ქალაქში ბევრი ლამაზი შენობაა, მათ შორის მეფისნაცვლის სასახლე, რომლითაც უკანასკნელად ისარგებლა დიდმა თავადმა ნიკოლოზმა, მას შემდეგ, რაც მას ჩამოართვეს აღმოსავლეთის (რა თქმა უნდა, ამერიკელის თვალთახედვით, — ა. ჩ.) ფრონტის სარდლობა გერმანიასთან ომში, მეფის დამხობამდე ცოტა ხნით ადრე.

ქუჩებში ხალხი ირევა. ქართველები ზედმიწევნით კოლორიტულები არიან წელში გამოყვანილ, მუხლებამდე ჩამოშვებულ გრძელ კაზაკურ სამოსში, რომელსაც ამშვენებს გულმკერდის ორივე მხარეზე დიაგონალურად გამწკრივებული წყვილი რიგი სპილოს ძვლის დეკორატიული ვაზნებისა. ძველად ვაზნები ნამდვილი იყო და მათი მკერდზე ტარება მოხერხებულიც გახლდათ. ეროვნულ სამოსში გამოწყობილი ყველა კაცი ხანჯალს ატარებს. ისინი ისევე მაღალტანიან რასას განეკუთვნებიან, ხოლო მათი გრძელი სამოსი კიდევ უფრო მაღალი ტანადობის შთაბეჭდილებას ტოვებს. დიდი ხნის წინათ გიბონმა ისინი მოიხსენია როგორც „ფრიად ლამაზი, მაგრამ ზარმაცი ხალხი“ (გიბონი ედუარდ, 1737-1794 წ.წ., ინგლისელი ისტორიკოსი; იხ. მისი მრავალტომიანი შრომა: **«История упадка и разрушения Римской империи...», изд. Джорджа Белля, 1877 г., С примеч. Гизо, Венка и др., пер. с англ. В. И. Неведенской, М., 1885, ч. VI, с. 397 — ა. ჩ.).** მათ ახლაც არ დაუკარგავთ სილამაზე და თავიანთი ღირსება უნდა წარმოაჩინონ დღესაც, როცა ეს პატარა რესპუბლიკა პირისპირ აღმოჩნდა რუსეთთან.

როგორც ოდესღაც ძლევამოსილი იმპერიის ერთ-ერთი მდიდარი პროვინციის დედაქალაქისა და მეფისნაცვლის რეზიდენციის ადგილსამყოფელისაგან იყო მოსალოდნელი, თბილისი აწ გარდასული ბრწყინვალებისა და ფუფუნების მრავალ ნიშანს წარმოაჩენს. შეძლებულ კლასს ძირითადად სომხები შეადგენენ. მსოფლიო ომამდე საქართველოს ძველი ადგილობრივი არისტოკრატია წარმოადგენდა მიწათმფლობელთა კლასს, მფლობელებს დიდი მამულებისა, მემკვიდრეობით რომ გადაეცემოდათ თავადის ტიტულთან ერთად. მათი ცხოვრების წესი სავსებით შეეფერებოდა მათ მდგომარეობასა და მოგვაგონებდა ძველ ფეოდალურ დროს, როცა საქართველო ამაყობდა თავისი ძველი ცივილიზაციით და მეფეებით, რომლებიც განუწყვეტელი დინასტიის სახით მბრძანებლობდნენ ათეული საუკუნეების მანძილზე.

როდესაც 1802 წელს რუსებმა დაიპყრეს საქართველო, მათ აქ დახვდათ ფეოდალური არისტოკრატია და მიწათმოქმედი გლეხობა. თითქმის მთელი არისტოკრატია ატარებდა „ბეგის“ ტიტულს, რაც ოდნავ მეტია, ვიდრე „მეთაური“. ადგილობრივი ენიდან რუსულზე თარგმანში ტიტული „კნიაზი“ აღიქმებოდა როგორც ღირსებისა და არა სხვა რაიმეს მანიშნებელი, ვინაიდან ქართველი არისტოკრატიის უმრავლესობა ატარებს ამ ტიტულს (რა თქმა უნდა, „კნიაზის“ ტიტულში ავტორი არ გულისხმობდა ნამდვილ მიწათმფლობელ თავადს, — ა. ჩ.). ძველად ქართველი ხალხი, სამეფო საგვარეულოს გარდა, იყოფოდა 6 კლასად, რომელთაგანაც პირველხარისხოვანნი იყვნენ „მთავრები“- ანუ თავადები. ისინი წარმოშობით განეკუთვნებოდნენ საქართველოს ლეგენდარულ მეფეს, ქართლოსს. რომელიც მართავდა ქვეყანას ჩვ. წ-მდე დაახლოებით 2600 წელს.

მე მითხრეს, რომ ის ჯენტლმენი, რომლის როიალზე დაკვრითაც ჩვენს საპატივცემულოდ მოკავშირეთა უმაღლესი კომისრის რეზიდენციაში გამართულ ბანკეტზე ვტკბებოდით, თავადი იყო. თქვენ მოგითხრობენ იმ ქართველ თავადებზე, რომლებიც ამჟამად თერძები, გალანტერიით მოვაჭრენი და მძღოლები არიან. თუმცა, თუ ამოვალთ ჩვენი პრინციპებიდან, რომ ყოველი შრომა საპატიოა, ამაში არაფერია სათაკილო. ყოველმხრივ სრულფასოვან თავადს თითქოსდა არ უნდა ერცხვინებოდეს საკუთარი შრომით თავის რჩენა იმ ქვეყანაში, სადაც ხელისუფლებამ მხოლოდ იმიტომ წაართვა ქონება, რომ სხვამ მოისურვა მისი დაპატრონება.

ჩვენი კომისიის წევრებისათვის საქართველოს დედაქალაქის გამორჩეული ფიგურა ყოველთვის იქნება ლამბაშიძე (დავით ლამბაშიძე იმ დროის ცნობილი საზოგადო მოღვაწე და დიპლომატი იყო, — ა. ჩ.), რომელიც თან გვახლდა იმ მომენტიდან, როცა ჩვენს მანქანიდან გადმოვედით. მან თავი გაგვაცნო როგორც საქართველოს მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა. თუმცა მას შეეძლო საკუთარი თავისათვის საქართველოს „გენერალური მეპატიჟე“ ეწოდებინა. მშვენიერი ინგლისურით მოლაპარაკე, მიმზიდველი და ჭკვიანი, თავაზიანი და ყურადღებიანი, ენერგიული, მაგრამ ზედმიწევნით ტაქტიანი, გულღია ჯენტლმენი და ფრიად კომპეტენტური ყმაწვილი კაცი გახლდათ. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა გაემგზავრა გერმანიაში, მაგრამ მეზობელი იმპერიის მმართველისადმი უპატივცემულო გამოთქმის გამო გასახლებული იქნა ქვეყნიდან და წავიდა ინგლისში. ლონდონში მან შეისწავლა არა მარტო ენა, არამედ, ეჭვგარეშეა, ახლოს გაეცნო ხალხსაც და დაიწყო ლექციების კითხვა ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკაზე. ომის შემდეგ ის დაბრუნდა სამშობლოში და, ჩვენი დასავლური გულუბრყვილო თვალთახედვით, ის აქ თითქოსდა თავკაცობდა, მითითებებს აძლევდა მთავრობას, კიცხავდა გენერლებსა და თამადობდა ბანკეტებზე.

## პროსაბჭოთა ტენდენციები საქართველოში

პროგრამის თანახმად, ლამბაშიძისა და კაბინეტის წევრების თანხლებით მეფისნაცვლის სასახლეში მიგვიღო საგარეო საქმეთა მინისტრმა გეგეჭკორმა, რომელიც ცვლიდა პრემიერ-მინისტრს ბატონ ჟორდანიას. იგი სუსტი იყო ჯანმრთელობით და ვერ შესძლო ჩვენი მისიის მიღება. რუსეთის რეჟიმის დროს მან 17 წელი დაჰყო გადასახლებაში და საბოლოოდ შეერყა ჯანმრთელობა. ჩვენი ოფიციალური ვიზიტის დასასრულს მეორე დღისათვის დანიშნულ იქნა შეხვედრა მთავრობის კაბინეტთან.

საუბარი მიმდინარეობდა თითქმის ისეთივე სულისკვეთებით, როგორც ეს ერევანში იყო. სამი საათის განმავლობაში ჩვენ გვაძლევდნენ ერთგვაროვან შეკითხვებს. საქართველოს პატარა რესპუბლიკა შორს გაცილდა იმ კონსერვატულ წარმოდგენებს, რაც მასზე ჰქონდა დასავლეთის სახელმწიფოებს. ქართველთა განცხადების თანახმად, მათი გლეხობა შეადგენს მოსახლეობის 80%, დანარჩენი ნაწილი კი — ძველი ფეოდალური არისტოკრატიის შთამომავალია. გლეხობა ფაქტობრივად ცხოვრობდა ბატონყმობის პირობებში, ვიდრე გასული საუკუნის შუა წლებში იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ არ გაათავისუფლა, რის შემდეგაც ისინი მდგომარეობით უმიწო მოიჯარადრეებს გაუთანასწორდნენ. ამან, საქართველოს მთავრობის მტკიცებით, გამოიწვია მიწის გამოსასყიდის დაუსრულებელი გადახდა გამოსყიდვის შესაძლებლობის გარეშე. გლეხთა მღელვარება, უეჭველად, საქართველოშიც შეინიშნებოდა; როცა 1917 წელს რუსეთის არმია ამიერკავკასიაში ნაწილნაწილ დაიშალა, შინისაკენ მიმავალმა 700 ათასმა ბოლშევიკმა თბილისს რამდენიმე მილის მოშორებით ჩაუარა. თუმცა საქართველოს მთავრობა თავს იწონებდა იმით, რომ მან ნება არ დართო ბოლშევიზმის ამ ნაკადს ჩაევლო ქალაქის გავლით. სინამდვილეში კი ეს ფაქტი იმით აიხსნება, რომ რკინიგზის ხაზი ჯერ არ იყო შემოსული თბილისში (ერევნიდან — ა. ჩ.) და ამიტომ მთელი ეს ადამიანთა ველური ნაკადი მიბრუნებული იქნა ბაქოსაკენ. თუმცა კი, უეჭველია, რომ მისმა გავლენამ, ისევე როგორც ჯარისკაცების ნაწილმა თბილისშიც შემოაღწია. ეს მთავრობასაც დაეტყო, რომელმაც მოახდინა მიწის ნაციონალიზაცია, ჩამოართვა რა იგი მის ძველთაძველ მფლობელს უკომპენსაციოდ და გადასცა გლეხობას. ეს არ მოასწავებს წარმატებას. რადგან გლეხები ხვდებიან, რომ მიწათმფლობელების მიმართ ჩადენილ იქნა უსამართლობა, ხოლო წოდებანი, რომლებსაც გლეხები იღებენ მთავრობისაგან, არ ეფუძნება სამართალს და ამიტომაც ნდობას არ იმსახურებს. საერთოდ, გამოსჭვივის ტენდენცია რეაქციისაკენ, რომელმაც შესაძლოა აღადგინოს ყოფილ მიწათმფლობელთა უფლება მიწაზე ახალი გეგმის თანახმად, რაც დაუშვებდა მიწის მიყიდვას გლეხობაზე პროგრესული გადასახადის სისტემის ფარგლებში.

ბოლშევიზმის სიახლოვის მეორე ნიშანი იყო წითელი დროშა, რომელიც მთავრობის სახლზე ფრიალებდა. მთავრობაში ჩვენ გვითხრეს, რომ ეს არის არა ბოლშევიზმის წითელი დროშა, არამედ დროშა რევოლუციისა, რომელიც მანამ არ დამთავრდება, ვიდრე სამშვიდობო კონფერენცია არ ცნობს ამ მთავრობას. მათ საკუთარ დროშას შინდისფერი ფონი და კუთხეში თეთრი და შავი ზოლი აქვს. როდესაც ჩვენ მათი მნიშვნელობა აგვიხსნეს, აღმოჩნდა, რომ შინდისფერი რევოლუციური ბრძოლის ველს აღნიშნავს, შავი — ცარიზმისდროინდელ ჩაგვრას, ხოლო თეთრი — ძველი საქართველოს ცივილიზაციასა და დამოუკიდებლობას. ის, რომ ქართველს ძალუძს საკუთარ დროშას ესალმებოდეს და ამავე დროს უმზერდეს წითელ დროშას, რომელიც ფრიალებს ეროვნულის თავზე, უჩვენებს, რაოდენ განსხვავდება მათი და ჩვენი თვალთახედვა. ეს საკითხი საუბრის დროს ამოტივტივდა და ჩვენ ნამდვილად დარწმუნებული ვიყავით, რომ ეს წითელი დროშა მხოლოდ გარემოებათა გამო ფრიალებდა, როგორც დროებითი დათმობა და მალე იქნებოდა დაშვებული. მათ აქვთ სხვა პროგრესული იდეებიც. შრომითი კონფლიქტის დროს არბიტრაჟზე, ძალიან მოკლე სამუშაო დღეზე და სხვა. მე ვკითხე მთავრობის წევრებს, ნაციონალიზაციის დროს რამდენ მათგანს ჩამოართვეს მამული. მხოლოდ ერთმა გამოსცადა საკუთარ თავზე ეს უსიამოვნება, მაგრამ ისიც იყო მხოლოდ რაღაც 40 აკრის მეპატრონე და, ყოველ შემთხვევაში, არა მიწის მფლობელი მაგნატი.

ქართული არმია პრაქტიკულად საბრძოლო მზადყოფნაშია ჩრდილოეთის საზღვრებზე, ვინაიდან კავკასიონის მიღმიდან დენიკინის შემოჭრის შიში დღედაღამ მოსვენებას არ აძლევთ. ბევრი იყო ლაპარაკი თბილისში მნიშვნელოვანი მშენებლობის საწარმოებლად არსებულ შემოსავალზე, რომელიც ტვირთად უნდა დაწოლოდა ქართველ მოქალაქეს, და აგრეთვე, ფართო სამუშაოებზე, ხალხის მიერ რომ სრულდებოდა. ერთ-ერთი იქამდეც კი მივიდა, რომ განაცხადა: საქართველოს უფლება აქვს არა მხოლოდ ყველა იმ სახსრების მიღებისა, რაც მას რუსეთის ოკუპაციის ას ჩვიდმეტი წლის მანძილზე გამოსწოვეს, არამედ პროცენტებზეც ამ თანხიდან. სინამდვილეში, მრავალი წლის განმავლობაში რუსეთის მიერ საქართველოზე დახარჯული თანხები აღემატა შემოსავალს ამ ქვეყნიდან. გონიერ ქართველებს შეგნებული აქვთ, რომ აღორძინებული რუსეთი თითქმის უეჭველად მოითხოვს და კიდეც მიიღებს თავისი საჭიროებისათვის ამიერკავკასიას. რუსეთი და ნავთობის ფართო საბადოები ურთმანეთოდ ვერ იარსებებენ. ეს ხალხი ისე სვამს საკითხს, რომ მათი კვლავ შეერთება რუსეთთან მოხდეს მოლაპარაკების საფუძველზე, და არა დაპყრობის გზით. და რომ ისინი უზრუნველყოფილნი იყვნენ ავტონომიით.

(თბილისიდან გენერალი ჰარბორდი მიემგზავრება ბაქოში, ხვდება აზერბაიჯანის მთავრობის პოლიტიკურ მოღვაწეებს, ორი დღის შემდეგ ბრუნდება თბილისში და იქიდან მიემგზავრება ბათუმში — ა. ჩ.).

## სტუმართმოყვარეობა თბილისში

შუადღისათვის ჩვენ შემოვიარეთ მთელი ქალაქი (ბაქო — ა. ჩ.) და ნავთობის ჭაურებით დაფარული ქვედა უბანი, რომელსაც უწოდებენ შავ ქალაქს, ცაში მუდამ ატყორცნილი შავი კვამლის გამო. ჩვენი სტუმრობა დაემთხვა მუსლიმანური სარწმუნოების ერთ-ერთ ყველაზე წმინდა დღესასწაულს. მოვინახულეთ მეჩეთი, სადაც გაჩაღებული იყო მზადება ჩადროსან ქალთა გრანდიოზული მსვლელობისათვის. რამდენიმე ხეული უკვე შეკრებილიყო მეჩეთის მიღმა. ჩადრის მიუხედავად ზოგიერთი მათგანი, როგორც ჩანს, არას დაგიდევდათ, რომ ურჯულო უცხოელებს ემზირათ მათი ლამაზი თვალებისა და სახისათვის. ამ აღმოსავლურ ხალხში ჭარბობდა აბრეშუმის მჭახე ფერის სამოსი. თვალს წამდაუწუმ ჭრის ჭრელი ფერები.

აღმოსავლეთში, ჩვენი მოგზაურობის ბოლო პუნქტში — ბაქოში ჭარბობდა მწვანე, იისფერი და ყვითელი ტონები.

თბილისიდან შავი ზღვის პირას გაშენებულ ქალაქ ბათუმში გავემგზავრეთ საღამოს, 6 ოქტომბერს. თან გვახლდნენ ჩვენი მეგობარი საქართველოდან ლამბაშიძე და აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრი. ჩვენს გასაცილებლად სადგურ თბილისში შეიკრიბა მრავალი ბრწყინვალე მუნდირი, იყო მუსიკა და საპატიო ყარაული. მატარებელი დაიძრა ჩვენს საპატივცემულოდ „სმენაზე" გაჭიმული ხალხის გასწვრივ. ჩვენ ნელ-ნელა ვშორდებოდით „ვარსკვლავოვან-ზოლიანი დროშის" ჰანგებს (აშშ-ის ჰიმნი — ა. ჩ.).

მხიარული, სანდომიანი და ხალისიანი ქართველები ფრიად მომხიბვლელები არიან. ამიტომაც ჩვენი მისია მათ ემშვიდობებოდა სევდანარევი გრძნობითა და უსურვებდა ყოველივე სიკეთეს.

როგორც ბაქოში, ასევე ბათუმში ჩვენი მოგზაურობის დროს საქართველოს მთავრობა იმდენად იყო შეწუხებული გზაში მოსალოდნელ უსიამოვნებათა გამო, რომ ჩვენ წინ მიგვიძღოდა სამანევრო ლოკომოტივი. საქართველოს რკინიგზაზე ისევე ჩვეულებრივია ავარიები, რომლებსაც თან ახლავს ძარცვა, როგორც ყაჩაღობა გზებზე. თუმცა ორივე ჩვენმა მოგზაურობამ მშვიდობიანად ჩაიარა.

ბათუმი — ეს არის რუსეთის მიერ შავ ზღვაზე გაშენებული პორტი, რომლითაც კასპიის ზღვის ნავთობი მიემართება დასავლეთ სამყაროსაკენ. ბაქოდან ბათუმამდე გაყვანილია ნავთსადენი. საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ ამერიკიდან შემოტანილი ნავთობი იქ უფრო იაფად იყიდება, ვიდრე ახლომახლო, კასპიის ზღვის რაიონში მოპოვებული ნავთობი. ბათუმს ამჟამად ბრიტანელები ფლობენ, რისთვისაც იყენებენ მხოლოდ ერთ ბრიგადას და სამხედრო გუბერნატორის ხელისუფლებას. ჩვენი ვიზიტის დროს ამ ქალაქის დაპყრობას ლამობდნენ ქართველები, თურქები და დენიკინის არმია. როგორც ჩანს, ბრიტანეთის ჯარის გამოყვანა, რასაც ზოგზოგები ელოდნენ, იქნებოდა სიგნალი იმისა, რომ ამ სამ დაინტერესებულ მხარეს დაეპყრო ეს მნიშვნელოვანი და კარგად აღჭურვილი ნავსადგური. ქართველები მას თავისთვის მოითხოვდნენ, რადგან ისტორიულად და გეოგრაფიულად მათი სამშობლოს ნაწილს წარმოადგენს. დენიკინი იმიტომ ცდილობდა მის დაპყრობას, რომ აუცილებელი იყო რუსეთისათვის; თურქეთს კი იმის პრეტენზია ჰქონდა, რომ ისინი უკვე ფლობდნენ ქალაქს და მისი მოსახლეობა ქართული წარმოშობის მიუხედავად მუსლიმანი იყო. ამ ქალაქში (40-50 ათასიანი მოსახლეობით), ამჟამად არის წარმტაცი ბოტანიკური ბაღი, შესანიშნავი პლაჟი და საოცარი კლიმატი.

როდესაც ჩვენი მოგზაურობა ზღვის პირას დამთავრდა, ამიერკავკასიის თითოეულ რესპუბლიკაში უკვე ბევრი რამ გვქონდა ნანახი. მაშინ, როდესაც ჩვენი მისიის ერთი ნაწილი ამთავრებდა ხანგრძლივ მოგზაურობას რკინიგზით, მეორე ნაწილი ზღვით შევიდა ბათუმში და იქიდან სამშობლოში გაემგზავრა. ეთნოგრაფიული თვალსაზრისით ეს რეგიონი, რომელიც სამხრეთით ესაზღვრებოდა თურქეთსა და სპარსეთს, ხოლო ჩრდილოეთით კავკასიონის ქედს, და რომელსაც შავსა და კასპიის ზღვებთან 400-მილიანი საზღვარი აქვს, წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე საოცარ და ურთულეს პრობლემას მსოფლიოში. ეს რეგიონი იყო ერთდროულად მნიშვნელოვანი დამაკავშირებელი გზაც და ბუნებრივი ბუფერიც ევროპასა და აზიას შორის; ის დღესაც წარმოადგენს მრავალრიცხოვანი ხალხის თავშესაფარს, რომელნიც საუკუნეების მანძილზე ქმნიდნენ ემიგრაციულ ტალღებს მისი მთიანეთის გასწვრივ. დღეს ამ ზონაშია 5 დიდი ეროვნული ჯგუფი, რომელიც შეიცავს 40 განსაზღვრულ ეროვნებას. მათგან 25 კავკასიურია.

თურქეთის იმპერიის აღმოსავლეთი საზღვარი არ მიჯნავს არც ხალხებს, არც ეროვნებებს და არც რელიგიებს ერთმანეთისაგან. სომხეთის რესპუბლიკა, რომელსაც ჯერჯერობით მცირე ხნის ისტორია აქვს, მდებარეობს არა თურქეთში, არამედ რუსეთში; ის წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის რევოლუციის შემდეგ ამიერკავკასიაში გაერთიანებულ ხალხთა ერთ-ერთ პოლიტიკურ ჯგუფს — რესპუბლიკას. თითოეული მათგანი იბრძვის დამოუკიდებლობისათვის; თითოეული მათგანი თავისი პოლიტიკური არსებობის შესანარჩუნებლად ზედმიწევნით საჭიროებს დახმარებას; და ბოლოს, თითოეულ მათგანს აქვს იგივე სიძნელეები, რაც სომხეთს. ამ ახლადწარმოქმნილ რესპუბლიკათა ტერიტორიულმა პრეტენზიებმა განაპირობეს ჯერ კიდევ გადაუჭრელი სასაზღვრო რაიონების პრობლემა, რისი მომსწრენიც გავხდით იქ ჩვენი ვიზიტის დროს. ისინი არსებობდნენ „ნეიტრალური ზონებისა" და რამდენიმე ნახევრადდამოუკიდებელი რაიონის სახით და ასევე „under lokal control"-ის სახით.

საქართველო და აზერბაიჯანი იყვნენ ურთიერთკავშირში, რომელთანაც მიერთების სურვილი სომხეთს არ ჰქონდა. საქართველო და სომხეთი აწარმოებდნენ მოლაპარაკებას თავიანთ უთანხმოებათა მოსაწესრიგებლად, მაშინ როდესაც სომხეთი და აზერბაიჯანი ერთმანეთს პერიოდულად ეკინკლავებოდნენ.

ამიერკავკასიის პოლიტიკური ცხოვრების შესამჩნევი ნიშანი იყო ეროვნებათა შუღლის სიმძაფრე, რაც ქმნიდა ძალადობის საფრთხესა და სეპარატისტული ტენდენციების აღმოცენებას, თუკი ისინი, რა თქმა უნდა, კონტროლს არ დაექვემდებარებოდნენ. ამას შეეძლო გამოეწვია ეკონომიკური კრახი და რეგიონის სხვადასხვა კუთხე დაეტოვებინა შუასაუკუნოებრივი იზოლაციისა და ანარქიის ვითარებაში. ეროვნული სიძულვილი ძლიერდება როგორც მუსლიმანთა, ასევე ქრისტიანთა რელიგიური ფანატიზმით, რომელიც მჟღავნდება რბევაში და იწვევს იმას, რომ წმინდა სისხლის ქართველი მუსლიმები უკავშირდებიან თურქეთს თავის ქრისტიან თანამოძმეთა წინააღმდეგ. რუსეთი აქეზებდა ასეთ ტენდენციებს, რათა დაეყო და ებატონა, ხოლო იმპერიის დამხობის შემდეგ ეს ტენდენციები ღვივდებოდა ადგილობრივი პოლიტიკანების მიერ თავისივე ინტერესებისათვის და კიდევ უფრო რთულდებოდა ინტერესთა და ტერიტორიულ დავათა ნიადაგზე.

ქართველები მწყრალად არიან სომხებთან იმ ეკონომიკური მდგომარეობის გამო, რომელიც მათ უკავიათ საქართველოში. აზერბაიჯანელი თათრები და ქურთები სომხეთის რესპუბლიკაში, ასევე მის ფარგლებს გარეთ, სომეხთა მოსისხლე მტრები არიან და სადაც არ უნდა გადაეყარონ, ხოცავენ მათ. არც სომხები აკლებენ ხელს, როცა ამის საშუალება აქვთ. ამ მწვავე ანტაგონიზმის გარდა, არსებობს უამრავი მცირე შეხლა-შემოხლა თვით ამ მრავალრიცხოვან ხალხების წიაღში არსებულ ტომთა შორის, რომელთა ნაციონალისტური სეპარატისტული მისწრაფებანი კიდევ უფრო გაძლიერდა თვითგამორკვევის პრინციპის გამოცხადების შემდეგ.

ხელისუფლების გარკვეული კორუფციისა და ეროვნულ მისწრაფებათა მკაცრად ჩახშობის მიუხედავად, რუსეთმა შეუნარჩუნა ამიერკავკასიას უშიშროება და წესრიგი, განავითარა იგი, მისცა მას ცივილიზაცია, რასაც მისი მრავალრიცხოვანი ეროვნებები თვითონ ასეთი მცირე ხნის მანძილზე ვერ მიაღწევდნენ. უმეტესი ნაწილი იმისა, რაც ამიერკავკასიაში დღეს ფასეულია, შექმნილია რუსეთის მიერ. სამივე რესპუბლიკა არსებობს რუსეთის იმპერიის ნანგრევებზე, რომლის ენაც ერთადერთი გასაგები ენაა ამიერკავკასიის ყველა ნაწილში.

თითოეულ ამ სამ რესპუბლიკაში არსებობს პასუხისმგებელი მთავრობის ფორმები და სტრუქტურები. ყველა მათგანმა თანაბრად გამოიჩინა თავი არაეფექტურობასა და კორუფციაში. არანორმალურ ვითარებაში არჩეულ სხვადასხვა პარლამენტებისა და მთავრობების წევრებს გააჩნიათ მცირე რეალური ძალაუფლება და არ ძალუძთ გამოიმუშაონ რეალური კონსტრუქციული კანონმდებლობა. სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიათა მთელი მოღვაწეობა მეტ-ნაკლებად ეგოისტური და დამღუპველია. სამივე რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო კლასები რევოლუციის შედეგებითა და ხელისუფლებით უკმაყოფილონი ჩანან, რადგან ისინი თავიანთი მოქმედებით არავის აკმაყოფილებენ და ძალაუფლებას ინარჩუნებენ მხოლოდ მოხერხებითა და ოპორტუნიზმით. ქალაქის მუშათა კლასი, რომელიც მხოლოდ რამდენიმე შედარებით დიდ ქალაქში არსებობს, აშკარად უკმაყოფილოა მთავრობით, მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება ყოველნაირად ცდილობს აამოს მათ არასრულყოფილი და მავნე რეფორმების ფარგლებში. ასევე უეჭველია, რომ გლეხობა მტრულად არის განწყობილი მთავრობის მიმართ და არ ენდობა მას.

ამ პატარა რესპუბლიკებს შორის არ არსებობს არც საბაჟო გადასახადი და არც საფოსტო შეთანხმება. უცხოეთში გასაგზავნი კორესპონდენცია მიტანილი უნდა იქნეს საზღვაო პორტში კურიერის მიერ. თითოეული რესპუბლიკის ფულის ნიშნები უსაშველოდ გაუფასურდა და შემდეგი ინფლაცია, როგორც ჩანს შეზღუდული იყო საბეჭდი დაზგის მწარმოებლურობით და მბეჭდავთა შემცირებული სამუშაო დღით — რეფორმატორული იდეების განხორციელებით ამიერკავკასიაში. რკინიგზის მუშაობა ხომ მთლად დაცინვაა საწარმოს ეფექტურობაზე, შარა და რკინიგზები, ისე როგორც მოძრავი შემადგენლობა, თანაბრად სავალალო მდგომარეობაშია. ხელისუფლება ან შემწყნარებლობას იჩენს, ან და მას არ ძალუძს ჩაახშოს ძალმომრეობა და ყაჩაღობა, შესაძლებელია, მოსალოდნელი არეულობათა მძლავრი სტიქიონის შიშის გამო. საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ ამიერკავკასიის ყველა ნაწილი დეზორგანიზებულია და საჭიროებს დამოუკიდებლობასთან ერთად წესრიგის აღდგენას, პიროვნებისა და საკუთრების ხელშეუხებლობას და ასევე ყოველგვარი ნორმალური ცხოვრების აღორძინების შესაძლებლობას.

მაშინ როდესაც, უეჭველია, ამიერკავკასიაში, ათასობით ადამიანმა არც კი იცის შეერთებული შტატების არსებობა, განათლებული და გონიერი ხალხი არ მალავს თავის სურვილს იხილოს საქართველო ამერიკის მიერ ცნობილი და მის მიერ მფარველობაში აყვანილი. მათგან ცოტა ვინმე თუ ხვდება იმ ღონისძიებათა ხასიათს, რაც საჭირო გახდებოდა მმართველობის სფეროში, თუკი შეერთებული შტატები აიღებდნენ მანდატს მათ მფარველობაზე.







გრიგოლ ლორთქიფანიძე, ირაკლი წერეთელი. ნოე ხომერიკი.



20 მაისს ზედაზნობის ტრადიციულ დღესასწაულს, ღირსი მამის იოანე ზედაზნელისა და მისი თორმეტი მოწაფის ხსენების დღეს, ოფიციალურად ამოქმედდა ზედაზნის იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესია. საზეიმო წირვა-ლოცვა აღასრულა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ. მანვე ზედაზნის ეკლესიის დიაკვნად აკურთხა მამა იოანე.

**ნინო სამხარაძე.**

## გვწამს თანადგომის

ღვთის შეწევნის იმედი არასოდეს მოკლებია ქართველ კაცს.

მას არც ძმობისა და ურთიერთგატანის იმედი დაუკარგავს.

წმინდა ქრისტიანული კაცთმოყვარეობა ყოველთვის იყო, არის და იქნება ჩვენი ეროვნული თვითშეგნების ალამი.

გვწამდა და გვწამს, რომ ღმერთი ჩვენთან არის.

მოგმართავთ გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" რედაქციას და გვინდა, რომ ეს მომართვა გულთან მიიტანოს უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ.

ამ წერილს გწერთ თბილისის ერთ-ერთი გარეუბნის — მუხიანის დასახლების მკვიდრნი. აღარ ვჩივით იმაზე (საჩივრებმა არაფერი გვიშველა, ვისაც უნდა გაეგონა, ყველამ წაუყრუა), რომ არ გვაქვს ელემენტარული თანამედროვე ყოფისათვის აუცილებელი პირობები.

ამჟამად სულ სხვა საკითხი გვაღელვებს.

გვინდა მხარში ამოგვიდგეთ.

ყოვლისშემძლე ღვთის წყალობით საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში აღსდგა ეკლესია-მონასტრები, შენდება ახალი სამლოცველოები.

დღეს, ჩვენი უსასტიკესი დროის თანაზიარით გვინდა, რომ სულის კურთხევა მივიღოთ წმინდა ეკლესიაში, სადაც აღვასრულებთ აგრეთვე ლოცვას ჩვენი მრავალტანჯული საქართველოსთვის.

ჩვენც, მუხიანის მცხოვრებლებსაც, გვსურს გვქონდეს წმინდა საყუდებელი. და, ქალაქის ცენტრს მოცილებულ ამ რეგიონშიც აიგოს წმიდა სამლოცველო ეკლესია.

შეგვიძლია, მივუთითოთ ადგილიც, სადაც ტაძარი აშენდებოდა, სადაც ჩვენი ფიქრით ყველაზე მიზანშეწონილი იქნება ამ საქმის განხორციელება. თუკი არქიტექტურულად ეს შეუსაბამო იქნება, მაშინ მაინც თანახმა ვიქნებით დავუჭიროთ საქმის უფრო მცოდნეთ და იქ აიგოს ტაძარი ღვთისა.

მოგმართავთ თხოვნით და ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ამ ჩვენს თხოვნას მხარს დაუჭერენ თემქისა და გლდანის მართლმადიდებლები — ჩვენი ძმები და დები. თუ პასუხი დადებითი იქნება, გავხსნით საბანკო ანგარიშს და, ვინც როგორ შეძლებს, შეეწევა ამ წმინდა საქმეს.

გვჯერა, რომ მხარში ამოგვიდგებით.

პატივისცემით მუხიანელები

**ნათელა გირგვლიანი,**
**გულიკო ბაბნიძე,**
**ლალი ჯოხაძე.**

# ილო ბეროშვილი



გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მწერალი ილო მიხეილის ძე ბეროშვილი.

ქართველ მწერალთა რიგებს გამოაკლდა ჩინებული შემოქმედი, რომელიც მრავალი წლის მანძილზე გულალალად, მუხლჩაუხრელად ემსახურებოდა მშობელ ქვეყანას, მშობელს ხალხს, მშობლიურ ლიტერატურას.

1957 წელს გამომცემლობა „საბჭოთა მწერალმა" გამოსცა ილო ბეროშვილის პირველი პოეტური კრებული „ხალამური ღუღუნებდა". მას შემდეგ ილო ბეროშვილის ნაწარმოებები — ლექსები, მოთხრობები, პუბლიცისტური წერილები სისტემატურად ქვეყნდებოდა ჩვენს სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში, გამოდიოდა ცალკე წიგნებად.

ქართველი მკითხველი მუდამ დიდი ინტერესით ეცნობოდა ილო ბეროშვილის პოეტურ თუ პროზაულ კრებულებს. სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით, ოცნებით უკეთეს მერმისზე და ამ მერმისისაკენ სავალი გზების ძიების სურვილითაა გამსჭვალული მწერლის მთელი შემოქმედება. ძარღვიანი ქართული, უშუალობა, სისადავე, გამოარჩევდა მის ქმნილებებს.

აქტიური საზოგადო მოღვაწე გახლდათ ილო ბეროშვილი. მთელი სიცოცხლე ყვარელში გაატარა, დიდი ილიას მამულში და შეიძლება ითქვას, რომ მართლაც მეციხოვნედ ედგა სულმნათი მწერლის სახლ-მუზეუმს. სულ იმის ცდაში იყო, როგორ გაემშვენიერებინა და გაემდიდრებინა მუზეუმის ფონდები, უსაზღვროდ ბედნიერი იყო, როცა ილიას 150 წლისთავის დღეებში ყვარელი ღირსეულად დახვდა მსოფლიოს ყველა კუთხის მწერალს.

თავადაც ილიას გზას მიუყვებოდა. საქართველოში ფართოდ გაშლილ ეროვნულ მოძრაობას პირველივე დღეებიდანვე ამოუდგა მხარში და თავისი წვლილიც შეჰქონდა საერთო-სახალხო საქმეში. მამულის უკვდავების რწმენა ასულდგმულებდა. ღირსეულად იცხოვრა, ღირსეული შვილები დაუტოვა სამშობლოს და ისე აღესრულა.

ქართველ მწერლებს დიდხანს ემახსოვრებათ სამშობლოსა და მშობლიური ლიტერატურის სამსახურში ჩაფერფლილი შემოქმედის ნათელი სახე.

**საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა**

# დათო კვიტაიშვილი



ახალ ტკივილს მინდა გელაპარაკოთ...

იგი მომავალ საქართველოს მოუკვდა, შინაგანად სუფთა და ელვარე, მარადის შეწუხებული...

მისი სევდა და ცრემლი ყოველთვის მაკრთობდა.

ხშირად მოდიოდა ჩემთან, ოჯახში და თითქმის ერთი და იგივეზე მელაპარაკებოდა: შემოქმედმა ქვეყანა უნდა იხსნას ბოროტებისაგანო.

ახლა სხვანაირად ელის მისი სტრიქონი: „ბედნიერებავ, ნუ მაწუხებ, მომწყდი თავიდან", — ამას ამბობდა ახალგაზრდა კაცი, რომელსაც ბედნიერება არც კი შეეგრძნო.

გაშიშვლებული ნერვის წნელით შემოღობილი მისი პაწაწინა სამყარო მზის სისტემას სცილდებოდა, იგი საუბრობდა თვალშეუდგამ სინათლესთან, როგორც უზენაესთან, ჭეშმარიტებასთან და მისი მორწმუნე სული ვერ ეტეოდა ჩვეულებრივი ყოფის არტახებში. „ნუ გეშინიათ, ყველაფერი კარგად იქნება", სიკვდილის წინ სასთუმალთან დაუტოვა მამას და კარი გაიხურა...

გასცდა ქუჩას, გასცდა და ამაღლდა, ამაღლდა, რათა კვლავ მიწად ქცეულიყო, მშობლიურ მიწად.

„არსებობის აზრი სიკეთეში ვპოვე, არსებობის აზრი სიყვარულში ვპოვე". რა იყო ეს სტრიქონი, ნუთუ მზადება სიკვდილისათვის?

ვწუხვართ, დიდად ვწუხვართ, ცოდვაა საქართველო, შენნაირი შვილების მიწას მიმბარებელი.

●

ძვირფასო მკითხველო, დათო კვიტაიშვილს ბევრი ლექსი დარჩა გამოუქვეყნებელი, ახლა გთავაზობთ ბოლო ლექსს, იგი განწირული კაცის სუნთქვაა, იმ კაცისა, რომელიც უკვე სიკვდილის შვილია და თითქმის გასულია მეორე ნაპირს.

**ჯანსუღ ჩარკვიანი**

## დათო კვიტაიშვილი

# სამწუხაროა

სამწუხაროა, რადგან ყოველთვის
იყო რაღაცა შენში გმირული,
ისე მიდიხარ შენი ქვეყნიდან,
არ შეგიბია გველისპირული.

ისე თავდება შენი ცხოვრება,
ვერ იტყვი იმას, იყო თუ არა,
არ წავიგია სუყველგან თავი,
არსად არ გაჭრა შენმა მუდარამ.

მწუხრიდან მოსულს, იქით მიმავალს,
ბევრჯერ წამოგცდა შენ საყვედური,
ვერ აპატიებ რასაც შენ ყოფას,
შენ შეგიწყნარებს გული დედური.

ამოუხსნელი გრჩება ბევრი რამ,
რისთვის და რატომ, რატომ და
რისთვის,
ეს უმოწყალო ძველი ქარაგმა,
არ გემეტება პატარა ძმისთვის.

ვერ ზიდავს მისი პაწია მხრები,
ვერ ზიდავს მისი პაწია გული,
ეს უმოწყალო ძველი ქარაგმა
მისთვის იქნება ძალიან რთული.

ამოუხსნელი დარჩება მისთვის
რად არ ედექი გვერდით დარაჯად,
ამოუხსნელი დარჩება ძმისთვის,
რად არ იხდიდი შენს ძმურ ხარაჯას.

ეს მერამდენედ ალაპარაკდი,
ვიცი, გიჯდება ძალიან ძვირი,
ან მერამდენე სტრიქონი არი
განწირული და დღე-მოკლე მწირის.

ეს მერამდენედ გადაიხარჯე,
ან მერამდენედ გაწირე თავი,
შენც გადაგიყვანს გადასარჩენად
მეორე მხარეს ქარონის ნავი.

იცი, სულყველა გაიწირება,
ვისაც შეჰხარი, რასაც შეჰხარი,
ან მერამდენე ღამე ჩამოწვა,
ეს მერამდენე მწარე დღე არი.

ტანჯვით ნაწერი, სისხლით ნაწერი.
ოფლით ნაწერი, შენი ფურცელი
ესლა დაგრჩება და გადარჩება
დროის და სივრცის მიღმა
უცვლელი.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" რედაქცია თანაგრძნობას უცხადებენ ემზარ კვიტაიშვილს შვილის, პოეტისა და მთარგმნელის **დავით კვიტაიშვილის** გარდაცვალების გამო.

# ქაქუცა ჩოლოყაშვილის ცხენი

მე დავიბადე და გავიზარდე ახმეტის რაიონის სოფელ ფიჩხოვანში. მოვესწ...ი დამოუკიდებელ საქართველოს. მახსოვს ის იმედი, მაშინდელ [illegible] რომ ჰქონდა. ყველა თავდაუზოგავად მუშაობდა, ყველამ იცოდა, რომ თავისი ქვეყნის ბატონ-პატრონი იყო.

მახსოვს არეულობის დროც 1921-1924 წლები. იყო ნამდვილი ქაოსი, ძალმომრეობა. მოკლედ, ძაღლი პატრონს ველარ ცნობდა. ამ დროს ახმეტის რაიონში ქაქუცა ჩოლოყაშვილი ქმნიდა თავის რაზმებს, რომლებსაც გადაწყვეტილი ჰქონდათ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. ისინი დადიოდნენ სოფელ-სოფელ, ეძებდნენ პატრიოტებს, აგროვებდნენ საბრძოლო იარაღს და ცხენებს. ისინი ფიჩხოვანსაც ესტუმრნენ. მე მაშინ 9-10 წლის ვიყავი. დამამახსოვრდა ქაქუცა — კარგი შესახედაობის ჩაფსკვნილი მამაკაცი და კიდევ ერთი ბიჭი — იმას ვარდიას ეძახდნენ. სოფელმა ისინი მიიღო, როგორც ნამდვილი პატრიოტები. რაც შეგვეძლო, გავუმასპინძლდით. შემდეგ ცხენები გვთხოვეს — იმ პირობით, რომ მომავალში დააბრუნებდნენ. მახსოვს, 10-12 არჩეული ცხენი წაიყვანეს. მათ შორის იყო ჩვენი ცხენი, მე რომ ვატარებდი ხოლმე საბალახოდ — მაღალი, შემართული, ნამდვილი რაში, თეთრ ფერზე ოდნავი სილურჯე გადაჰკრავდა. იქაურობაში ბადალი არ ჰყავდა არც ჯირითში და არც მოხდენილ გარეგნობაში.

გამოხდა ხანი და პირობისამებრ, შეფიცულებმა ცხენები მართლაც დააბრუნეს, მაგრამ მათ შორის ჩვენი თეთრი ცხენი არ ალმოჩნდა. მოგვიბოდიშეს, თქვენი ცხენი ბრძოლაში მოკვდაო. რას ვიზამდით, ძალიან კი დაგვწყდა გული მე და პაპაჩემს (მამა ამ დროს უკვე გარდაცვლილი მყავდა). ორივემ ვიტირეთ.

ახლახან წავიკითხე წიგნი ქაქუცა ჩოლოყაშვილზე. ძალზე სასიხარულოა, რომ აღდგა მისი სახელი. ის ნამდვილი სახალხო გმირი იყო. იბრძოდა თავისუფალი საქართველოსათვის და რაოდენ სამწუხაროა, რომ 70 წლის განმავლობაში მისი სახელი წაშლილი იყო.

დიახ, ვკითხულობ ამ წიგნს და, აი, ერთგან წავაწყდი — ქაქუცას თეთრი ცხენი ჰყავდაო. როგორ გამეხარდა, რომ იცოდეთ... ახლა, როცა საქართველო იბრძვის თავისი სახელმწიფოებრიობის, დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, მე გული სიამაყით მევსება — იმ დიდ და თავგანწირულ ბრძოლებში ჩვენი ცხენიც იბრძოდა.

ფიჩხოვანში ოსები ვცხოვრობთ. ჩვენ ერთგულად ვემსახურებოდით დამოუკიდებელ საქართველოს. მახსოვს, სხვებთან ერთად მამაჩემი და ორი მისი ძმაც ქართულ არმიაში მსახურობდნენ. ჩემი ერთი ბიძა მონაწილეობდა საქართველო-სომხეთის ომში. ახლაც, 70 წლის შემდეგ, მთელი სოფელი გულისფანცქალით ელოდება ნანატრ დღეს — საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას. და ამ დროს რაოდენ საწყენია, როცა ქართველი და ოსი ხალხის საუკუნოვან მეგობრობაში ბზარი ჩნდება. ყველამ უნდა იცოდეს, რომ ჩვენ, საქართველოში მცხოვრები ოსები საქართველოს შვილები ვართ და მისი დამოუკიდებლობა ჩვენი დამოუკიდებლობაც არის.

ღმერთო, უშველე საქართველოს!

**სოლომონ ხუბეჯაშვილი.**
ახმეტის რაიონი,
სოფელი ფიჩხოვანი.

**გასწორება**

ჩვენი გაზეთის 18 მაისის ნომრის მეათე გვერდის მეორე აბზაცში უნდა იკითხებოდეს: „ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, „საქწიგნის" გენერალური დირექტორი რ. ჭიჭინაძე".

# მწერალთა კავშირში

11 მაისს გაიმართა მორიგი სხდომა პოეზიის სექციისა, რომელზეც განიხილეს 1986-88 წლებში ალმანახ „განთიადში" გამოქვეყნებული ლექსები.

სხდომა გახსნა მწერალთა კავშირის მდივანმა ენვერ ნიჟარაძემ. მომხსენებელმა რუსუდან კუხრაშვილმა აღნიშნა ის სიძნელე, რომელსაც იწვევს ჟურნალში დაბეჭდილი 107 პოეტის ლექსების ერთად, მოკლე დროში განხილვა. მაგრამ მომხსენებელი რამდენიმე პოეტზე მაინც შეჩერდა. ესენია: გ. ძნელაძე, თ. შალამბერიძე, ნ. ჯალაღონია, ე. კვიტაიშვილი, ი. ქემერტელიძე, დ. ჭუმბურიძე, ი. ბაზაძე, ზ. ებანოიძე, გ. ჭულუხიძე. ტ. მებურიშვილი, თ. ბექიშვილი, თ. შალაშვილი, ავთ. ჟურაშვილი და სხვა.

სასიამოვნო ფაქტად იქნა მიჩნეული, რომ ცნობილი პოეტების გვერდით იბეჭდებიან ახალგაზრდა პოეტებიც, რომლებიც პირველ ნაბიჯებს დგამენ პოეზიის სარბიელზე. ჟურნალში, სამწუხაროდ, განსაკუთრებით პირველ ორ წელიწადში, გვხვდებოდა მათი სუსტი ლექსებიც, იყო თემის ერთფეროვნება. 1988 წლის დაბეჭდილი ლექსების დონე შესამჩნევად ამაღლდა, თემატიკა უფრო მრავალფეროვანი გახდა.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს: გ. ფანჯიკიძემ, ე. ნიჟარაძემ, ი. ქემერტელიძემ, გ. ძნელაძემ, ნ. ჯალაღონიამ, ი. ბაზაძემ, შ. ფორჩხიძემ. „განთიადის" განყოფილების გამგემ — ზ. ებანოიძემ დიდი მადლობა გადაუხადა მომხსენებელს, ყველა დამსწრეს, კამათში მონაწილეებს და გამოთქვა იმედი, რომ კოლექტივი კვლავაც არ დაიშურებს ენერგიას, ცოდნას, რათა ჟურნალი პასუხობდეს დღევანდელი საქართველოს საჭირბოროტო მოთხოვნებს.

მთავარი რედაქტორი **ელიზბარ ჯაველიძე**

სარედაქციო კოლეგია: **თამაზ ბიბილური** (მთავარი რედაქტორის მოადგილე), **ზვიად გამსახურდია, ლაშა თაბუკაშვილი, ჯუმბერ თითმერია** (მთავარი რედაქტორის მოადგილე), **ანა კალანდაძე, ნოდარ ნათაძე, გურამ ფანჯიკიძე, ოთარ ჩხეიძე, თამაზ ჩხენკელი, სარგის ცაიშვილი, გივი ძნელაძე, თამაზ წივწივაძე, თამაზ ჭილაძე.**

პასუხისმგებელი მდივანი **გივი ჯოხაძე**

მორიგე რედაქტორი **ნინო ქაჯაია**



რედაქციის მისამართი:
380008, თბილისი,
გუდიაშვილის
მოედანი №2

ტელეფონები:
მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-91-89
პასუხისმგებელი მდივნის — 99-67-10
განყოფილებების — 99-72-89; 99-71-63; 99-03-65.
რედაქციაში შემოსული მასალა არ უნდა აღემატებოდეს მანქანაზე ნაბეჭდ 14 გვერდს.
მასალებს ავტორებს არ ვუბრუნებთ.

ლიტერატურული საქართველო

«ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО»
ОРГАН ПРАВЛЕНИЯ
СП ГРУЗИИ

გამოდის პარასკეობით